რუსეთის სამხედრო დოქტრინა - ცარიელი სიტყვები თუ რეალური საფრთხე? A2

პრეზიდენტის ბრძანებულებით ბიუჯეტი 22 მილიონს კარგავს A4

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 2003 წელი. №266 (478)

ფასი 50 თეთრი

# პირდაპირი შეფასებები და რეკომენდაციები

ლევან ხარჩევნიძის ფოტო

*ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამერიკელებს ქართველებზე მეტად უნდათ საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარება.*

თამარ მჭედლიშვილი

"ისინი, ვისაც ხელისუფლების სადავეები უჭირავს და ვის კომპეტენციაშიც შედის დღეს არჩევნების ორგანიზება, პასუხს აგებენ საქართველოს მომავალზე. პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პოლიტიკოსებსაც, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლა სურთ. თითოეული ადამიანის მოვალეობაა, რომ ორი ნოემბრის შემდეგ საქართველოს უკეთესი მომავალი დაუდგეს. საქართველოს ეკონომიკური წინსვლა და დემოკრატიულ სამყაროში ადგილის დამკვიდრება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ქართველებს შესწევთ პროგრესის უნარი. დელეგაცია მოუწოდებს ქართველ ხალხს, მიიღონ მონაწილეობა საარჩევნო პროცესში, გამოხატონ თავისი ნება და ხელი შეუწყონ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების წარმართვას," – საქართველოდან გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ასე დაგვიბარეს საპატიო ამერიკელმა სტუმრებმა: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მეთაურთა გაერთიანებული შტაბის ყოფილმა სარდალმა ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მრჩეველმა სტროუბ ტელბოტმა, აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა წევრმა სემ გეჯდენსონმა, ქალთა კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის წევრმა ბრუკ შირერმა და NDI-ის პროგრამების დირექტორმა პატრიკ მერლოუმ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საარჩევნო სიები უნდა გადამოწმდეს

გუშინ, დიდი ხმაურისა და დავის შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საკმაოდ არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო, რასაც, შესაძლოა, სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელთა სერიოზული გაღიზიანება მოჰყვეს.

ცესკო-ს გუშინდელი დადგენილების თანახმად, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, უშიშროების, იუსტიციის და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროები, ასევე დაზვერვის დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებულები არიან, ამომრჩეველთა სიებში არსებული უზუსტობების აღმოფხვრა 18 ოქტომბრამდე უზრუნველყონ.

656 ათასი ამომრჩევლით გაბერილი სიები – ეს ის ფაქტობრივი მასალაა, რომელიც გუშინ "ახალმა მემარჯვენეებმა" ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე წარადგინეს და რომლის საფუძველზე საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმება დაჟინებით მოსთხოვეს.

ბუნებრივია, მოვლენების ამდაგვარმა განვითარებამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გუშინდელი სხდომა საკმაოდ დაძაბა. ცესკო-ს იმ წევრებმა, რომლებიც კომისიაში პრეზიდენტის კვოტით არიან შესულები, პირდაპირ განაცხადეს,

გაგრძელება A3 გვერდზე

## პრეზიდენტის უბანში 110 მკვდარი სულია

*ცოტა ხანში თითოეულ ხმას ოქროს ფასი დაედება. არადა, ამომრჩეველთა სიები სრულყოფილებისგან შორს რომ არის, თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემაც იცის.*

ლელა მჭედლიძე

ნანა დევდარიანმა სიების დასაზუსტებლად შესაბამის უწყებებს "დავალება" უკვე მისცა. პოლიტიკური პარტიები კი ამ სიებს საკუთარი ინიციატივით აზუსტებენ. მაგალითად, "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა პეტრე ცისკარიშვილმა აღმოაჩინა, რომ კრწანისის რაიონში ამომრჩეველთა სიები 50 პროცენტით არის გაზრდილი, ამ რაიონში ამომრჩეველთა რაოდენობა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 43 000-ს შეადგენს; სინამდვილეში კი, 27 000-ს არ აღემატება. სიები, როგორც წესი, გაზრდილია არასრულწოვანების და მიცვალებულების ხარჯზე. მაგალითად, ცისკარიშვილმა აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ ქუჩაზე სამეზობლოში ერთბაშად რამდენიმე ოჯახი 1 იანვარს არის დაბადებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გალში სიტუაცია კვლავ დაიძაბა

*გალში სიტუაცია კიდევ ერთხელ დაიძაბა. ბოლო დღეებში ერთმანეთის მიყოლებით მომხდარი ინციდენტების გამო, სოხუმმა თბილისსა და გაერო-ს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. არძინბას ხელისუფლება გაერო-სგან კატეგორიულად მოითხოვს, შეფასება მიეცეს ქართველი ტერორისტების ქმედებებს. საქართველოს ხელისუფლებისგან კი, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა ითხოვს ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ ქმედითი ზომების გატარებასა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტერორისტული ბაზების ლიკვიდაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზური მხარე უფლებას იტოვებს, "ადეკვატური რეაგირება მოახდინოს საქართველოდან მომდინარე ტერორიზმის საფრთხეზე".*

ინგა ალავიძე

აფხაზური მხარის ნოტა მიღებულია, ამიტომ დღეს, გალში, თბილისისა და სოხუმის დელეგაციებს შორის (გაერო-ს შუამდგომლობითა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების მონაწილეობით) მოლაპარაკებები გაიმართება. საგანგებო შეხვედრის დაგეგმვა ბოლო პერიოდში გალის რაიონში კრიმინოგენური სიტუაციის გართულებამ გამოიწვია. სწორედ ამის გამო გუშინ ჭუბურხინჯის რიგგარეშე შეკრებაც შედგა, სადაც 4-5 ოქტომბერს გალის სოფლებში - გაგიდასა და დიხაზურგაში მომხდარი ინციდენტების გამოსაძიებლად ოთხმხრივი საგამოძიებო კომისია შეიქმნა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## სოჭის ფარული შეთანხმების კონტურები

გია ხუხაშვილი

პრეზიდენტმა მთავრობის ბოლო სხდომაზე PA-consulting-ის მისამართით ისროლა იგივე "მესიჯი", რაც თავის დროზე ეი-ი-ეს-ის წინააღმდეგ. უნდა ვივარაუდოთ, რომ შედეგად მეორე ამერიკული კომპანიის განდევნას მივიღებთ.

მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ ამერიკელებისგან ვერ მიიღო ხელისუფლების შენარჩუნების გარანტიები, უკვე აშკარად გამოიკვეთა სოჭის ფარული შეთანხმების კონტურები. ჯერ ენერგეტიკული სექტორი, შემდგომ კი მთლიანად ეკონომიკა მიზანმიმართულად ბარდება რუსეთს, ანუ ჩვენ სწრაფი ტემპით მივისწრაფით იმ უფსკრულისკენ, რასაც რუსეთის ერთიანი ეკონომიკური სივრცე ჰქვია. ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ სანაცვლოდ ძლიერდება აშშ-ს სამხედრო გავლენა საქართველოში და ჩვენი მიზანი "ნატოში" შესვლაა, ეს მხოლოდ უაღრესად არაკომპეტენტურმა ან პირდაპირ დაინტერესებულმა ხალხმა შეიძლება ილაპარაკოს, რადგან ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ასეთი დაყოფა დღევანდელ მსოფლიოში უბრალოდ შეუძლებელია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის "აქცია", რომელიც რუსეთის ძალებმა ჩაატარეს ბოლო დღეებში ზუგდიდში. აქ არაფერ შუაში იყო რუსი ჯარისკაცის ე.წ. გატაცება. ამით რუსეთმა აჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ ბატონ-პატრონები ამ ტერიტორიაზე ისინი არიან. ჩვენი ხელისუფლების რეაქცია კი ყოველივე ამაზე იყო, პრაქტიკულად, ნულოვანი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე არაფრისმთქმელ კომენტარს.

რას აკეთებს პოლიტიკური სპექტრი. მათი ერთი ნაწილი, რომელმაც "აატალახა" სასამართლოს კარები ეი-ი-ეს თელასის წინააღმდეგ პროცესების ინიცირებით, რაო ეესის შემოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია უარესობისკენ შეიცვალა, ხმას აღარ იღებს, რაც ნორმალურ ქვეყანაში სპეცსამსახურების დაინტერესებას უნდა იწვევდეს. მეორე ნაწილი კი - ან ვერ აცნობიერებს მოსალოდნელ საფრთხეს, ან ერიდება არჩევნების წინ რუსეთის გაღიზიანებას. ყველა თამაშობს პოლიტიკურ თამაშებს, ქვეყნის ინტერესები კი მეორე პლანზეა გადასული.

გაგრძელება A3 გვერდზე

## შვარცნეგერი გამარჯვების მოლოდინში

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ აშშ-ს ყველაზე მდიდარი შტატი გუბერნატორს ირჩევდა. არჩევნების შედეგები დღეს გახდება ცნობილი.

კანდიდატები მაქსიმალურად ცდილობდნენ საარჩევნო უბნების გახსნამდე დარჩენილი უკანასკნელი საათების გამოყენებას.

მათ შორის ყველაზე დიდი შანსი ჰოლივუდის ცნობილ მსახიობს არნოლდ შვარცნეგერს აქვს, ხოლო ყველაზე მცირე - ამჟამინდელ გუბერნატორს გრეი დევისს. თუმცა, ჰოლივუდის ვარსკვლავს ბოლო დღეების გატარება საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში მოუხდა, რადგანაც იგი ცდილობდა იმ ბრალდებების მოგერიებას, რომლებიც მის წინააღმდეგ ნიაღვარივით წამოვიდა. საინტერესოა, რომ ყველა მათგანი არნოლდის წარსული ცხოვრებიდან არის ამოქექილი და უკლებლივ ამტკიცებს ქალების მიმართ არნოლდის გაძლიერებულ ლტოლვასა და მათზე ძალადობას. მხოლოდ ერთადერთი ბრალდება შეეხება განსხვავებულ ფაქტს; კერძოდ, არნოლდმა ერთხელ ადოლფ ჰიტლერი შეაქო.

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

*შვარცნეგერი ქალებისადმი პატივისცემას ამტკიცებს.*

## აზერბაიჯანი: ოპოზიციას უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ხელისუფლებას

აზერბაიჯანში გამართული სოციოლოგიური გამოკითხვები მოწმობს, რომ ხელისუფლების კანდიდატის, ილჰამ ალიევის პოპულარობა ბოლოხანს საგრძნობლად დაეცა, მაშინ, როდესაც ოპოზიციის რეიტინგები მუდმივად იმატებს.

გამოკითხულთა 36 პროცენტი მხარს უჭერს ოპოზიციური მუსავატური პარტიის ლიდერს, იზა გამბარს, ილჰამ ალიევი მხოლოდ მეორეა - 27 პროცენტით, მესამე ადგილზე კიდევ ერთი ოპოზიციური ლიდერი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ეტიბარ მამედოვია 7 პროცენტით. გამოკითხვა მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა. იგი აშშ-ს დემოკრატიის ეროვნულმა ფონდმა შეუკვეთა და ადგილობრივმა პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრმა განახორციელა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტმა განაცხადა, რომ ჯერ არ იცის, ვის მისცემს ხმას.

მაისში გამართულ გამოკითხვასთან შედარებით, ალიევის რეიტინგი 13 პროცენტით დავარდა, მაშინ, როდესაც გამბარის პოპულარობამ 15 პროცენტით მოიმატა. 3 პროცენტით გაიზარდა მამედოვის მხარდამჭერთა რაოდენობაც.

სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის დროს, მოსახლეობის 54 პროცენტმა განაცხადა, რომ ქვეყანას სასწრაფოდ სჭირდება ცვლილებები, კიდევ 12 პროცენტმა განაცხადა, რომ ცვლილებები საჭიროა, მხოლოდ არა უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში, 18 პროცენტი კი ფიქრობდა, რომ ყველაფერი კარგადაა. მაისში ჩატარებული კვლევის დროს, ცვლილებების გატარების სურვილი სულ 44 პროცენტმა გამოთქვა, მაშინ როდესაც 22 პროცენტი აცხადებდა, რომ სჯობს ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

მოსახლეობის დიდ ნაწილს ეჭვიც არ ეპარება, რომ არჩევნები დარღვევებით ჩაივლის. გამოკითხულთა 46 პროცენტის აზრით, გაყალბება გარდაუვალია, 27 პროცენტის აზრით, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის, კიდევ 27 პროცენტმა არ იცის, რა მოხდება.

გაგრძელება A5 გვერდზე

 პოლიტიკა

"მკვდარი სულები" და უვიცი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები

კახეთის რიგი რაიონების საოლქო კომისიებში სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა. "სამართლიანი არჩევნების" რაიონული სამსახურის განცხადებით, დედოფლისწყაროს რაიონში ამომრჩეველთა სიებში მკვდარი სულებია აღმოჩენილი, ხოლო გურჯაანში კომისიის თავმჯდომარემ კანონსაწინააღმდეგოდ იმოქმედა. A3

ეკონომიკა

როგორ შეიძლება უკანონო ქონების ჩამორთმევა

უკანონო შემოსავლების კონფისკაცია, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, საეჭვო საბანკო ანგარიშების ანულირება და ამ ყველაფრის ხალხისთვის გადაცემა. შეძლებენ თუ არა პოლიტიკოსები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საკუთარი დანაპირების რეალიზებას? რას ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა? A4

უცხოეთი

ჩრდილოეთ კორეა იაპონიას უპირისპირდება

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადებით, მათ არ სურთ, რომ მომავალში ფხენიანის ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებში, რაიმენაირი ფორმით, იაპონიამ მონაწილეობა მიიღოს. A5

საზოგადოება

შეღავათები გაუქმდა და ... არ გაუქმდა

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ომის ვეტერანებს ტელეფონები გაუთიშეს. წესით, მათთვის სატელეფონო კავშირით სარგებლობის სააბონენტო გადასახადს თბილისის მერია უნდა იხდიდეს... A6

სამართალი

ფოთში ტელეკომპანიის შენობა დაიწვა

საინტერესოა, რეგიონში დამოუკიდებელ მასმედიასთან დაკავშირებული ინციდენტები ჩვეულებრივი შემთხვევითობაა, თუ მათ უკან დაინტერესებული ძალა დგას? A7

თქვენი აფხაზეთი

მენაღარიშვილი ბრალს სდებს და „VII თავს" ითხოვს!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის გამოსვლა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 58-ე სესიაზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. A8

ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 25 |
| ქუთაისი | 33 |
| ბათუმი | 31 |
| სოხუმი | 32 |
| ფოთი | 33 |
| თელავი | 24 |
| ზუგდიდი | 34 |
| გორი | 22 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.4748 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5332 |
| რუბლი | 0.0694 |

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# თავისუფლების ინსტიტუტს პედაგოგებთან შეხვედრა აუკრძალეს

*ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის ხელმძღვანელმა თავისუფლების ინსტიტუტს რუსთაველ პედაგოგებთან შეხვედრა აუკრძალა, მეორე დღეს კი, იგივე პედაგოგები შეკრიბა და სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, გიორგი სალაყაიას შეახვედრა.*

მაია მოსიაშვილი

რამდენიმე თვის წინ ასოციაცია ALPE-ს სამოქალაქო მონაწილეობის პროგრამის ფარგლებში, USAID-ის დაფინანსებით, განათლების რეფორმის დახმარების ახალი პროექტის - "ავაშენოთ ჩვენი სკოლა" - განხორციელება დაიწყო. პროექტის განმახორციელებელი კოალიციაა: ALPE, თავისუფლების ინსტიტუტი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება და რეგიონების საკრებულოთა ასოციაციები. პროექტის მიზანია საქართველოში სამართლიანი არჩევნებისათვის და დემოკრატიული პროცესისადმი მტკიცე ნიადაგის შექმნა, საქართველოს საშუალო განათლების სიტემაში დემოკრატიული ღირებულებების და მართვის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა, სკოლების მართვის დეცენტრალიზება და მათი მდგრად ავტონომიურ ერთეულებად ჩამოყალიბება.

რუსთავში ამ ახალი პროექტის გასაცნობად ქალაქის პედაგოგებთან შეხვედრა იმ უბრალო მიზეზის გამო ჩაიშალა, რომ ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის ხელმძღვანელმა მისი ჩატარება საჭიროდ არ მიიჩნია.

როგორც თავისუფლების ინსიტუტის ქვემო ქართლის რეგიონული წარმომადგენლობის კოორდინატორი ია მიმინოშვილი აცხადებს, სემინარის თაობაზე მათ ქალაქის განათლების განყოფილებას შეატყობინეს და პედაგოგების ინფორმირებაში დახმარება სთხოვეს. განყოფილების გამგემ საკითხის ოლქთან შეთახმების აუცილებლობის გამო, თავისუფლების ინსტიტუტთან თანამშრომლობა ვერ გაბედა.

**"ჩვენ მივმართეთ სასკოლო ოლქის უფროსს დავით კაპანაძეს, რომელმაც განგვიცხადა, რომ თავისუფლების ინსტიტუტს არაფერი ესაქმება სასკოლო რეფორმასთან და მინისტრის პირდაპირი მითითების გარეშე შეხვედრას არ ჩაგვატარებინებდა, რადგან მისგან აქვს მითითება, თავი შეიკავოს მსგავსი შეხვედრებისაგან. კაპანაძემ უარი ასე განმარტა: "მე ვარ დათო კაპანაძე და შეხვედრა არ ჩატარდება, რადგან შესაძლებელია პედაგოგების გონება სადღაც სხვაგან წაიყვანოთ,"**(?!) - აცხადებს ია მიმინოშვილი.

თავად კაპანაძე არ უარყოფს, რომ უარი უთხრა თავისუფლების ინსტიტუტს სემინარის ჩატარებაზე, მიზეზად კი იმას ასახელებს, რომ მათ "შეხვედრის პროგრამა" წინასწარ არ შეათანხმეს, ანუ მასთან არ ითანამშრომლეს.

გუშინ თავისუფლების ინსტიტუტის რუსთავის ოფისმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც მათ განაცხადეს, რომ მასწავლებლებს აქვთ უფლება, განათლების რეფორმასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოხატონ და ამისათვის მინისტრის განსაკუთრებული მითითება ნამდვილად არ არის საჭირო.

# „აღორძინება" NDI-ს შეურიგდა

*ამერიკელი სტუმრების ხუთკაციანი ჯგუფი საქართველოს ეწვია აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ინიციატივით. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის დეპუტატიას სერიოზული პრეტენზიები აქვს საქრთველოში NDI-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელ მარკ მალენის მიმართ, გუშინ ჯემალ გოგიტიძე და ცოტნე ბაკურია დაახლოებით ერთი საათი ესაუბრნენ სტუმრებს.*

ლელა მჭედლიძე

"აღორძინების" ლიდერებმა სხვა პარტიებს ტოლი არ დაუდეს და ამერიკელ სტუმრებს ის დოკუმენტაცია გადასცეს, რითაც სახელისუფლებო ბლოკის მიერ არჩევნების გაყალბებისთვის სამზადისი დასტურდება. "აღორძინება" ამტკიცებს, რომ გამზადებულია დალუქული ბიულეტენები, რომელშიც პირველ ნომრად რეგისტრირებული ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" წინასწარ არის შემოხაზული.

ამერიკული დელგაციის წევრები საბოლოო დასკვნების გაკეთებას პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ აპირებენ. რაც შეეხება NDI-ს მიმართ პრეტენზიებს, ჯემალ გოგიტიძემ წინა არჩევნები გაიხსენა და მარკ მალენიც "დაბეზღა". მან მალენი ჟვანიას გუნდისადმი სიმპათიაში ამხილა და წინა არჩევნებში გაყალბებული ბიულეტენებით ჟვანიას მხარდაჭერაში დასდო ბრალი. საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი საკუთარი უნდობლობა აჭარის ხელმძღვანელობას არასოდეს დაუმლავს. როგორც გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, ერთადერთი გამონაკლისი მათთვის ევროპის საბჭო ყოფილა, რომელმაც 1999 წლის არჩევნების დროს "აღორძინების" დასაცავი განცხადებები გააკეთა. ამერიკელმა სტუმრებმა აჭარის წარმომადგენლებს ურჩიეს ძველის დავიწყება და მარკ მალენსა და მის ორგანიზაციასთან ხელახალი ურთიერთობის დამყარება. თავის მხრივ, ბაკურია და გოგიტიძე შეეცადნენ, აჭარის მიმართ არსებული ეჭვები მაქსიმალურად გაეფანტათ სტუმრებისთვის. ტელბოტისთვის იმის განმარტებაც არ დავიწყებიათ, რომ აჭარის ლიდერი საპარლამენტო არჩევნების დროს "საქართველოში საერთაშორისო დამკვირვებლების მაქსიმალური რაოდენობის მიზიდვის მომხრეა".

შეხვედრამ სტუმრებსა და მასპინძლებს შორის წყნარ ატმოსფეროში ჩაიარა. როგორც "აღორძინების" წარმომადგენლები აცხადებენ, ამერიკელი სტუმრების კეთილი ნების ნიშნად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა გადაწყვიტა, საქართველოდან წასვლამდე ასლან აბაშიძეს ტელეფონით ესაუბროს.

# ბუნდესვერის დელეგაცია თბილისში

თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ სამშაბათს თბილისის სასტუმრო "თორში" გამართულ შეხვედრაზე გერმანიის სამხედრო უწყების დელეგაციის წევრებთან სამხედრო თანამშრომლობის საკითხები განიხილა.

ბუნდესვერის დელეგაციას ხელმძღვანელობენ გენერალ-მაიორი ფერენც ვერნერი და სამხედრო უწყების საპარლამენტო მდივანი ვალტერ კოლბო.

როგორც დავით თევზაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრის დროს რაიმე ოფიციალური დოკუმენტები ხელმოწერილი არ ყოფილა.

მისი თქმით, განხილვის თემა იყო რამდენიმე ერთობლივი პროგრამა, რომლებიც უახლოეს მომავალში განხორციელდება.

კერძოდ: დავით თევზაძის თქმით, დღეისათვის საქართველოსა და გერმანიის თანამშრომლობა სამხედრო სფეროში ოთხი ძირითადი მიმართულებით ვითარდება.

"ეს არის ქართველი ოფიცრების მომზადება ბუნდესვერის სასწავლებლებში, გერმანიის დახმარება გორში უნტერ-ოფიცრების სკოლის შექმნაში, კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში ერთობლივი მონაწილეობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გერმანული მხარის დახმარების შესაძლებლობა", - თქვა მან.

ბუნდესვერის წარმომადგენლები ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში შეხვდებიან პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის სპიკერს ნინო ბურჯანაძეს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი ბათიაშვილს, ეწვევიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ბაზას ვაზიანში და სასწავლო ცენტრს გორში.

*პრაიმ-ნიუსი*

# ხელისუფლების წვრილმანი მავნებლობები

## როგორ უპირისპირდება ბურჭანაძის მაღალ რეიტინგს სახელისუფლებო ბლოკი

სოფო ბუკია

"ბურჯანაძე-დემოკრატები" სახელისუფლებო ბლოკს ადანაშაულებენ მათ წინააღმდეგ შავი პიარის აგორებაში. გუშინ, ვაშლიჯვრის ოფისში, "ტრადიციონალისტმა" აკაკი ასათიანმა ჟურნალისტები ორიგინალური კონვერტის პრეზენტაციაზე მიიწვია. კონვერტზე გამოსახულია ნინო ბურჯანაძის ფოტო მინაწერით: "ხმა მიეცით "ბურჯანაძე-დემოკრატებს" ხუთი დოლარის სანაცვლოდ". ასათიანის თქმით, ამგვარად გაფორმებულ კონვერტებს კარგად იცნობს საბურთალოს მოსახლეობა, რადგან სწორედ ამ რაიონში ხდება მათი დარიგება.

**"ხელისუფლება წინასაარჩევნო კამპანიას არ ატარებს, იგი გადასულია წვრილმან მავნებლობაზე და სხვადასხვა სასაცილო მეთოდებით ცდილობს ოპოზიციის იმიჯის შელახვას,"** – აცხადებს ასათიანი "ბურჯანაძე-დემოკრატების" ოფისში გამართულ თავის პირველ პრესკონფერენციაზე.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, სახელისუფლებო ბლოკის "წვრილმანი მავნებლობის" არეალი საბურთალოსაც გასცდა. ასათიანის თქმით, სამცხე-ჯავახეთში, როდესაც მოსახლეობას შუქს არ აძლევენ, უხსნიან, რომ ელექტროენერგიის გათიშვის ბრძანება უშუალოდ ნინო ბურჯანაძემ

ლევან ხოსიტაშვილის ფოტო

*აკაკი ასათიანი იმ კონვერტებით ხელში, რომლითაც "ბურჭანაძე დემოკრატების" სახელის გატეხვას ცდილობენ.*

გასცა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხელისუფლების მხრიდან ამგვარი ქცევა ძალაუფლების დაკარგვის შიშითა და ქალბატონი ბურჯანაძის მაღალი რეიტინგით აიხსნება.

**"ნებისმიერი მცდელობა ნინოს წინააღმდეგ გამოსვლისა მიმართულია იმ იმედის წინააღმდეგ, რომელიც ქალბატონმა ნინომ მოსახლეობას გაუღვიძა,"** – აცხადებს ასათიანი.

ხელისუფლების "ბინძური ხრიკების" წინააღმდეგ ბრძოლას "ბურჯანაძე-დემოკრატები" კვლავ "თამაშის სრული წესების დაცვით" გააგრძელებენ და სახელისუფლებო ბლოკსაც იმავეს ურჩევენ.

ასათიანი ასევე კომენტარს აკეთებს ირინა სარიშვილის განცხადებაზეც. სარიშვილმა "ბურჯანაძე-დემოკრატები" პრორუსულ ორიენტაციაში დაადანაშაულა. ასათიანმა სინანულით აღნიშნა, რომ **"სხვა დროს ქალბატონი ირინას მსჯელობა უფრო თანმიმდევრული და ლოგიკური იყო".** ბურჯანაძე-ჟვანიას პრორუსულ ორიენტაციაზე გაკეთებული განცხადება კი, მისი აზრით, ხელისუფლების მორიგი დარტყმაა "ყველაზე რეიტინგულ ბლოკზე". **"ეს ის ხალხი არაა, ამერიკელები რომ საქართველოდან გააგდეს და მთელი ენერგეტიკა რუსეთს გადაულოცეს?"** – იკითხა ასათიანმა.

# რუსეთის სამხედრო დოქტრინა - ცარიელი სიტყვები თუ რეალური საფრთხე?

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"*

*სამხედრო ძლიერება მეზობლებთან და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობებში, რუსეთის ფედერაციისთვის კვლავ გადამწყვეტ ფაქტორად რჩება. ამაზე განსაკუთრებით ცხადად მიუთითებს ორი გარემოება: ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, რუსეთი მხოლოდ შეერთებულ შტატებს უთმობს პირველობას იარაღით ვაჭრობაში. გასულ კვირას კი, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ გამორიცხავს პრევენციული დარტყმების განხორციელებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.*

ბარუჩა აბულაძეს ფოტო

*2002 წლის 22 აგვისტოს რუსეთის მიერ ამ ავტომობილის დაბომბვას ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.*

რუსეთი ამ მხრივ არ არის გამონაკლისი. პრევენციული სამხედრო მოქმედებების მამამთავრად მსოფლიოში შეერთებული შტატები ითვლება, რომელმაც ე.წ. "დასწრების ომის ტაქტიკა" ავღანეთსა და ერაყში გამოიყენა. კლასიკური გაგებით, პრევენციულ ოპერაციად შეიძლება ჩაითვალოს ისრაელის ავიაციის მიერ მეზობელი სირიის ტერიტორიის დაბომბვაც, ხაიფაში შაბათს მომხდარი ტერაქტის საპასუხოდ. ცნობილი რუსი სამხედრო ექსპერტი ალექსანდრ გოლცი მიიჩნევს, რომ რუსეთის მთავრობამაც სწორედ ვაშინგტონელი სამხედრო თეორეტიკოსების მიბაძვით შეიტანა შეიარაღებული ძალების დოქტრინაში შესაბამისი პუნქტი.

**"ეს არის ზუსტი ასლი ამერიკული დოკუმენტებისა, რომლებშიც ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები იტოვებს უფლებას, რათა იმოქმედოს პრევენციულად იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ამერიკის უსაფრთხოებას. რუსულ დოკუმენტში ლაპარაკიც არ არის პრევენციულ დარტყმებზე. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი არ გამორიცხავს სამხედრო ძალის პრევენციულ გამოყენებას. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს იყოს დარტყმები. ეს შეიძლება იყოს, ვთქვათ, სამშვიდობო ოპერაცია,"** - ამბობს სამხედრო ექსპერტი.

ამერიკისგან ნასესხები სამხედრო თეორიის ძირითადი არსი რუსეთის თავდაცვის მინისტრმა 2 ოქტომბერს, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მონაწილეობით ჩატარებულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე გაახმოვანა. **"თანამედროვე საგარეო საფრთხეთა თავისებურებანი, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, რუსეთის შეიარაღებული ძალებისგან სხვადასხვა ხასიათის საბრძოლო ამოცანების შესრულებას მოითხოვს. და ჩვენ არ შეგვიძლია, აბსოლუტურად გამოვრიცხოთ ძალების პრევენციული გამოყენებაც, თუ ამას მოითხოვენ რუსეთის ინტერესები ან მისი სამოკავშირეო ვალდებულებები."**

საქართველოსთვის, რომელმაც, პანკისის ხეობის პრობლემის გამო, პირველმა გამოსცადა ამგვარი პრევენციული დარტყმების სიმწარე, რუსეთის ახალი დოქტრინა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. საგულისხმოა, რომ ჩეჩნური სამხედრო ბაზების განადგურების მიზნით რუსეთის მხრიდან საჰაერო ძალების პრევენციული გამოყენების შემთხვევას საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი. ერთხელ ასეთი საავიაციო რეიდი მსხვერპლითაც დამთავრდა. თანაც, ეს სამხედრო აქციები შეუთანხმებელი იყო საქართველოს ხელისუფლებასთან, რომელთანაც რუსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელწმიფოთა თანამეგობრობის წევრს, უამრავი სამოკავშირეო ვალდებულება აკავშირებს. მაგრამ, ახალ დოქტრინაში რუსმა სამხედრო თეორეტიკოსებმა ეს მომენტი გაითვალისწინეს. დოკუმენტში მითითებულია, რომ **"რუსეთმა შეიძლება თავისი სამხედრო გეგმების კორექტირებაც მოახდინოს დსთ-ს ქვეყნებში არასტაბილური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში."**

ჩვენთან საუბარში საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლის სამხედრო ინსპექციის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა გივი იუკურიძემ რუსეთის მხრიდან პრევენციულ მოქმედებაზე გამაფრთხილებელ განცხადებებს **"სახიფათო, მაგრამ ნაკლებად განხორციელებადი სურვილი უწოდა".** გივი იუკურიძე აცხადებს, რომ იურიდიულად ამ სურვილის რეალიზებას, თანამეგობრობის შემთხვევევაში, ხელს შეუშლის ის გარემოება, რომ საქართველო არ არის კოლექტიური უსაფრთხოების წევრი ქვეყანა.

ძალის პრევენციული გამოყენების საფრთხეს, სერიოზულად არც საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს. იგი დარწმუნებულია, რომ **"პანკისის პრობლემის მოგვარების შემდეგ, რუსეთს ასეთი საბაბი აღარ აქვს."** უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ერთობ სუსტი არგუმენტია, რადგან პრევენციული სამხედრო მოქმედებისთვის საბაბი ყოველთვის გამოიძებნება. ვთქვათ, ამისათვის გამოდგება ისეთი შემთხვევაც კი, როგორიც რიგითი დერეევაინიხინის გატაცება იყო, როდესაც სამშვიდობო ძალების ნაწილებმა ზუგდიდის ორდღიანი ოკუპაცია განახორციელეს.

ერთადერთი სუსტი იმედი, რომ ეს არ მოხდება, შეიძლება თავად რუსეთის ორჭოფული მდგომარეობა იყოს. როგორც ალექსანდრ გოლცი აცხადებს, ლაპარაკი პრევენციულ დარტყმებზე მხოლოდ ცარიელი სიტყვებია: **"ჰიპოთეტურად ეს შესაძლებელია, მაგრამ როგორც შარშანდელმა გაზაფხულმა აჩვენა, ყველა მუქარანარევი ჟესტის მიუხედავად, რუსეთმა მაინც ვერ გაბედა მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის განხორციელება პანკისის ხეობაში. და ამის უკან დგას მკაფიო შეგნება იმისა, რომ რუსეთს დღეისთვის არ აქვს ამგვარი პრევენციული ოპერაციის შესაძლებლობა და ეს ყველაფერი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია."**

მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთი იარაღის ექსპორტის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა და წელს საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები გადადგა ე.წ. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის გასაძლიერებლად, **"ცარიელი სიტყვები"** ნამდვილად არ არის. თანაც, რაც არ წერია დოქტრინაში, ოთხშაბათის სამხედრო საბჭოზე რუსეთის პრეზიდენტმა დააკონკრეტა. ვლადიმირ პუტინის თქმით, რუსეთი ფლობს პრევენციული დარტყმის ისეთ მრისხანე იარაღს, როგორიცაა მიწისზედა ბაზირების მძიმე სტარტეგიული რაკეტები, კოდური სახელწოდებით UR-100-NU, რომელსაც ნებისმიერი თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემის გადალახვა შეუძლია.

კარგი ინფორმაციაა, ურწმუნო თომების გამოსაფხიზლებლად.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ტერიტორიაზე, 2004 წელს, ნატო-ს სწავლებების ჩატარების გეგმა მუშავდება.

აღნიშნული სწავლებები შეიძლება ტრადიციული გახდეს სამხრეთ კავკასიისათვის, აცნობა პრაიმ-ნიუსს გენშტაბის ნატოს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ირაკლი ბატკუაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წინასწარი განაცხადი ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში უკვე გაგზავნილია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის სრულმასშტაბიან დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ ჰოლანდიაში, 13-17 ოქტომბერს დაგეგმილ მოლაპარაკებებზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო უუნარო აღმოჩნდა დაეცვა თავისი საზღვაო საზღვრები ფინანსური სახსრების უქონლობის გამო, რომლებიც აუცილებელია სანაპირო დაცვის სამსახურის ფუნქციონირებისათვის, აცხადებენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის" თავმჯდომარე, საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი კობახიძე უკმაყოფილოა "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" საარჩევნო სიაში მათთვის გამოყოფილი კვოტებით და შესაძლოა პროტესტის ნიშნად საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატების" ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვალერი გიორგობიანი თავის კონკურენტს სახელისუფლებო ბლოკ "ახალი საქართველოდან", ქონების მართვის ყოფილ მინისტრს ავთანდილ სილაგაძეს, რაიონის გამგებელს ზურაბ ხეცურიანს და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს იური ლარცულიანს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებიდან მისი კანდიდატურის მოხსნის მცდელობაში ადანაშაულებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს ვალერი გიორგობიანმა განუცხადა, სილაგაძემ და რაიონის გამგებელმა, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიამ, სადაც 15 წევრიდან 14 სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატის ნათესავია, მის მხარდამჭერთა 1654 კაციანი სია გააყალბეს და რეგისტრაციაზე უარი უთხრეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"არასახელისუფლებო ბლოკი სამშობლო" საქართველოს მასშტაბით მასიურ სერიულ საპროტესტო აქციებს გამართავს იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრს, 1995 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილს და ამჟამად ინტერპოლის მიერ ძებნილ იგორ გიორგაძეს ბლოკის საარჩევნო სიიდან მოხსნის, სადაც იგი პირველ ნომრად სახელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესმა სასამართლომ სამშაბათს არ დააკმაყოფილა "ტრადიციონალისტთა კავშირის" საარჩელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, რომელმაც ორი კვირის წინ უარი უთხრა რეგისტრაციაზე "ტრადიციონალისტების" ინიციატივით შექმნილ საინიციატივო ჯგუფს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასამბლეის წევრები, რომლებიც მეორე კვირაა სოციალური მოთხოვნებით აქციას მართავენ სახელმწიფო კანცელარიასთან, ოთხშაბათს დედაქალაქის ცენტრალური ავტომაგისტრალების გადაკეტვით იმუქრებიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ბრიუს ჯორჯი საქართველოსა და რუსეთში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** აშშ-ში, კლივლენდის კლინიკაში სამკურნალოდ მყოფი აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი სამშობლოში ოქტომბერში დაბრუნდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამშაბათს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლად მონაწილის სტატუსით 45 არასამთავრობო ორგანიზაცია გაატარა რეგისტრაციაში, ხოლო ხუთს უარი უთხრა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 2 ნოემბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით 8 ოქტომბერს დანიშნული მთავრობის გაფართოებული თათბირი გადადო.

თათბირის გადადების ფაქტი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნულ თათბირზე მის მიერ დაგეგმილი სიტყვით გამოსვლის შიშით ახსნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალიდან დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" საარჩევნო სიაში მათი წარმომადგენლის რობერტ მამისაშვილის 90-ე ნომრად ჩაწერის გამო და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მათთვის ორი თვის წინ მიცემულ პირობას ახსენებენ, რომელმაც დევნილებს პარლამენტში ერთი მათი წარმომადგენლის გაყვანა აღუთქვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკის "ჯუმბერ პატიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება ერთობა" მხარდამჭერი სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", რომლის თავმჯდომარეც არის "ერთობის" თანათავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭია, ამ ბლოკის საარჩევნო სიაში "სახალხო პარტიის" ლიდერის მამუკა გიორგაძის შეყვანას აპროტესტებს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# გუშინ გორში ხელოვნება და პოლიტიკა მხარდამხარ იდგნენ

გიორგი ასანიშვილი

*მცირე პაუზის შემდეგ, რაც მოსკოვში ოფიციალური ვიზიტითა და საქართველოში ამერიკელთა დელეგაციის სტუმრობით იყო გამოწვეული, პარლამენტის თავმჯდომარემ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ამომრჩევლებთან შეხვედრები განაახლა. "მე შეძრწუნებული ვარ იმ მდგომარეობით, რომელიც საქართველოში არის შექმნილი. მთავრობა და პრეზიდენტი ყველაფერზე თვალს ხუჭავენ და არ უნდათ მწარე სიმართლის გაგება", - შეშფოთებით საუბრობს პარლამენტის სპიკერი. მისი ვარაუდით, სახელისუფლებო კურსს, თუ მასში გონივრული კორექტივები არ გაკეთდა, გარდაუვლად მოჰყვება სამოქალაქო დაპირისპირება და დესტაბილიზაცია.*

დაპირისპირების ყველა ვექტორი 2 ნოემბრის არჩევნებზე იკვეთება. ამიტომაც, ბურჯანაძე მოუწოდებს ყველა ოპოზიციურ ძალას, ერთად აღუდგნენ წინ მთავრობის მცდელობას, განახორციელოს ხალხის პოლიტიკური ნების ფალსიფიცირება და ძალადობის გზით ძალაუფლების შენარჩუნება.

ბურჯანაძეს ეეჭვება, რომ შევარდნაძის გუნდმა უკვე ძალიან "შეტოპა" და იგი ანგარიშს საერთაშორისო რეკომენდაციებსაც კი აღარ უწევს. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი დღეს საარჩევნო შტაბის საგანგებო სხდომის მოწვევას აპირებს, რომელზეც ის მთელ ოპოზიციას საგანგებო რეჟიმზე გადასვლისკენ მოუწოდებს.

რა იგულისხმება "ოპოზიციის საგანგებო რეჟიმში" და რომელი ძალების მიერ შეიძლება იყოს ის მხარდაჭერილი? ამ კითხვაზე პასუხისგან ბურჯანაძე გუშინ თავს იკავებდა და მხოლოდ იმას დასძენდა, რომ ყველა დეტალი ბლოკის საარჩევნო შტაბის სხდომის შემდეგ გახდება ცნობილი.

საერთოდ, რაც უფრო ახლოვდება 2 ნოემბერი, ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ხელმძღვანელის წინასაარჩევნო გამოსვლებში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა მმართველი ძალის მხრიდან წამოსულ ბრალდებებზე რეაგირებას.

ისე, მისკენ მიმართული ცილისწამებების ტალღა ბურჯანაძისთვის სულაც არ ყოფილა მოულოდნელი. **"ხელისუფლების ფანტაზია ამოუწურავია: ადრე გაისმოდა ბრალდებები, რომ მე პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში 18 მილიონის შოვნა მოვახერხე, რუსეთში ერთდღიანი ვიზიტის დროს მოვასწარი შეხვედრა არაერთ ოდიოზურ ფიგურასთან, მათ შორის, იგორ გიორგაძესთან და ა.შ. ახლა ტაქტიკა შეიცვალა და უკვე ხელისუფლებასთან ფარულ ალიანსში მედება ბრალი",** - საკუთარ "ცოდვებზე" გორელების წინაშე გუშინ ღიად საუბრობდა პარლამენტის თავმჯდომარე.

ერთ-ერთი ყველაზე "მომაკვდინებელი ბრალდება", რომელიც ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერის მისამართით გაისმის, საზოგადოებისთვის თვალის ახვევა და მის მიერ შევარდნაძის ნების აღსრულებაა, რაც მათი ოჯახების მეგობრობიდან მომდინარეობს.

**"ჩემთვისაც და ჩემი ოჯახისთვისაც მეგობრობა ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ამ ყველაფერზე გაცილებით მეტია",** - პარლამენტის თავმჯდომარის ამ "აღსარებას" ნინო ბურჯანაძესთან შესახვედრად გორში შეკრებილი საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

ქართლის მთავარი ქალაქის ელექტორატს პარლამენტის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მაშინ "გამოსტყუა" აპლოდისმენტები, როდესაც განაცხადა: **"ხელისუფლებაში ყოფნა თვითმიზანი რომ ყოფილიყო, ეს ჩემთვის პრობლემა არ იქნებოდა - თუ ხელისუფლებას "დავუშაქრდებოდი", სამთავრობო ბლოკის სიებში სულ იოლად ჩავჯდებოდი და პარლამენტის თავმჯდომარეობას შევინარჩუნებდი. ყოველ შემთხვევაში, თუ ვიტალი ხაზარაძე პარტიულ სიებში მეათეა, მასზე წინ ნამდვილად ვიქნებოდი და მხარდამჭერების საძებნელად, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, ასე სოფელ-სოფელ სიარული არ დამჭირდებოდა".**

გორის რაიონში ნინო ბურჯანაძის გუშინდელი სტუმრობის ერთ-ერთი მიზანი მასპინძლებისთვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შეთავაზებაც იყო. ბლოკ " ბურჯანაძე-დემოკრატების" ხელმძღვანელმა მოუწოდა ქართლელებს, 2 ნოემბერს თავის რჩეულად დაასახელონ გორის მრავალპროფილიანი მცირე აკადემიის რექტორი, პროფესორი ვალერი სუხიშვილი.

სხვათა შორის, ბატონი ვალერი ქართული ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელის, თენგიზ სუხიშვილის (იგი გუშინ გორის რაიონში თან ახლდა ნინო ბურჯანაძის გუნდს) ნათესავია. დეპუტატობის კანდიდატის "ძალა" გორელებმა უმალ იგრძნეს: ნაციონალური ბალეტის კოლექტივმა მათ დაუვიწყარი საღამო აჩუქა.

# პრეზიდენტის უბანში 110 მკვდარი სულია

პირველი გვერდიდან

*პეტრე ცისკარიშვილის აზრით, ხელისუფლება გაყალბებას ახლავე იწყებს.*

ეკო ბასილაია, ფოტო

იმ უბანში, სადაც პრეზიდენტმა უნდა მისცეს ხმა (კრწანისის რაიონის მე-9 საარჩევნო უბანი), 110 "მკვდარი სულია" აღმოჩენილი. გარდა ამისა, კრწანისის რაიონის მოსახლეობის სიებში აღმოჩნდნენ, რატომღაც, მთაწმინდის, გლდანის და თემქის მაცხოვრებლები.

ცისკარიშვილი აცხადებს, რომ საკუთარ დამარცხებაში დარწმუნებული ხელისუფლება მდგომარეობის გამოსწორებას სწორედ ამგვარი ხერხებით ცდილობს. "ნაციონალს" ეჭვი აქვს, რომ ამომრჩეველთა სიის "დეფორმირებას" ხელისუფლება ახლა მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატის, გია გეწაძის სასარგებლოდ ახდენს. პეტრე ცისკარიშვილს, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" სიაში მე-12 ნომერია, მაჟორიტარობას გეწაძის გარდა, "ლეიბორისტი" სოსო შატბერაშვილი, "ახლებიდან" - დავით ჭეიშვილი და "აღორძინებიდან" - თამაზ დაუშვილი ეცილებიან. სხვათა შორის, დაუშვილიცა და ჭეიშვილიც ყოფილი "სახლახო პარტიის" და პარლამენტის წევრები არიან. 1995-1999 წლებში კი დაუშვილს კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატის "წოდებაც" ჰქონდა. რა შანსები აქვს ამ კანდიდატებს შორის ცისკარიშვილს? თავად ბატონი პეტრე ოპტიმისტურად არის განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თავად აცხადებს, **"ზოგიერთი კანდიდატისგან განსხვავებით, ასფალტის დასაგები ფული არ აქვს."** წინასაარჩევნო ბიუჯეტის სიმწირის მიუხედავად, მას გამარჯვების იმედს იმ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებიც აძლევს, რომელიც მისი პარტიის ძალებით და საკმაოდ ლოკალურ გარემოში (376 კაცი) ჩატარდა. ამ გამოკითხვის შედეგებით, ცისკარიშვილი პირველ ადგილზეა, მეორე და მესამე ადგილები კი ჭეიშვილსა და შატბერაშვილს ერგოთ.

# პირდაპირი შეფასებები და რეკომენდაციები

პირველი გვერდიდან

ორდღიანი შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდგომ, ამერიკელი დიპლომატები კვლავ დაჟინებით გვიმეორებენ, რომ საქართველოს მომავალი, მისი საერთაშორისო იმიჯი და ეკონომიკური პერსპექტივები ყველაზე მეტად სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გაართმევს თავს საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური სპექტრი და თავად ქვეყნის მოსახლეობა იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რასაც მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჰქვია.

ბუნებრივია, დიპლომატიური სასაუბრო ენა არ ითვალისწინებს პირდაპირ კრიტიკას და პერსონალიებზე ღიად, დაუფარავად საუბარს, მაგრამ ე.წ. გზავნილი, რომელიც ამერიკელმა დიპლომატებმა დაგვიტოვეს, ისედაც საკმაოდ გამჭვირვალეა.

**"საქართველოს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები გადამწყვეტი გამოცდა იქნება ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე. თუკი არჩევნები ჩატარდება სამართლიანად, გამჭვირვალედ და ძალადობის გარეშე, ქართველი ხალხი აღიარებს მის შედეგებს. ამ შემთხვევაში ქვეყანა პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევას და დემოკრატიულ სახელმწიფოთა რიგებში გაერთიანებას შეძლებს. თუკი ეს არჩევნები არ ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობისა და მის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვით, ქვეყნის წარმომადგენლობითი ინსტიტუტი დაკარგავს საზოგადოების ნდობას და საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტიც სერიოზულ დარტყმას მიიღებს,"** – ნათქვამია იმ ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც სტუმრებმა გუშინ გაავრცელეს.

მართლაც, ამაზე მეტი პირდაპირობა, ალბათ, საჭირო არც არის. მით უფრო, რომ 2 ნოემბრის არჩევნების ისტორიული მნიშვნელობა ქართულ საზოგადოებასაც მშვენივრად ესმის. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არჩევნებს გაყალბების საფრთხე არ ემუქრება. პირიქით - თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რაც ამომრჩეველთა სიებთან, ადმინისტრაციული მანქანის მხრიდან მოსახლეობის ზეწოლასთან დაკავშირებით არის შექმნილი, უკვე თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაყალბების საფრთხე ნამდვილად რეალურია.

ამერიკელმა სტუმრებმა საქართველოს ხელისუფლებას და პოლიტიკურ პარტიებს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებისთვის რამდენიმე რეკომენდაცია დაუტოვეს. ამ რეკომენდაციების მიხედვით, დროულად უნდა გამოქვეყნდეს ამომრჩეველთა სიები, რათა მოქალაქეებს მასში შესწორებების შეტანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდეთ.

კენჭისყრის, დათვლისა და შეჯამების პროცედურები როგორც საუბნო, ასევე საოლქო კომისიებში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის.

და რაც მთავარია: ამერიკელი დიპლომატები ურჩევენ ხელისუფლებას, აუცილებლად დაიცვას ნეიტრალიტეტი როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების მიმდინარეობის დროს და მისცეს საშუალება პოლიტიკურ პარტიებს, საკუთარი წინასაარჩევნო კამპანია აწარმოონ.

**"არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლა დემოკრატიის წესია,"** - განაცხადა გუშინ ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა. ამერიკელები ტრაგიკულს ვერაფერს ხედავენ იმაში, თუკი საქართველოში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლება მთლიანად შეიცვლება. სტროუბ ტელბოტი კი აცხადებს, რომ საქართველოს ტოვებს სრულიად დარწმუნებული ერთ რამეში - 2005 წელს ქართულ სახელმწიფოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება და ეს ცვლა მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით მოხდება.


HEINRICH BÖLL STIFTUNG

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

**აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის**

უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

**უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):**
- სოციალური ცვლილებები ქალაქურ ცხოვრებაში
- მიგრაცია
- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების მნიშვნელობის ტრანსფორმაცია
- მას-მედიის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებაში

**სოციოლოგია:**
- ხელისუფლების ფორმალური და არაფორმალური განხორციელების მექანიზმები
- რელიგია თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული წარმოდგენების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში
- მიგრაციული პროცესები

**მდგრადი ქალაქგანვითარება:**
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- არსებული საცხოვრებელი გარემოს კომპლექსური რეაბილიტაციის პრინციპები და მეთოდები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- ქალაქი, როგორც ბუნებრივ-ეკოლოგიური კომპლექსი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელი შექმნას.

**ზოგადი მითითებები:**
- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისთვის არ არის საავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დანესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დაუკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით და სტიპენდიატების არჩევისას ითვალისწინებს 50%-იან კვოტას.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

**ხანგრძლივობა და მოცულობა:**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 13 თვით - 1.12.2003 - 31.12.2004. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**კონკურსის პირობები:**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1968-1981 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. საავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა.

**საჭირო საბუთები:**
1. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
2. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
3. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიული და პირადული მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ ნლიური სამუშაო გეგმა)
4. 2 მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელის რეკომენდაცია, რომელშიც გიმუშავიათ
5. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-ნლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
6. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5 0179 თბილისი info@boell.ge ფაქსი: 912897**


# სოჭის ფარული შეთანხმების კონტურები

პირველი გვერდიდან

მე ვეკითხები პოლიტიკოსებს, თუ ენერგეტიკის მართვის ყველა ბერკეტი რუსეთს ჩაუვარდა ხელში, თუ პორტები, ტელესაკომუნიკაციო სისტემები, მედია-ჰოლდინგები მათი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, როგორ აპირებენ ქვეყნის მართვას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ? მათი სავარძელი ხომ მხოლოდ ვირტუალური ძალაუფლების მატარებელი იქნება და პროცესების რეალურად მართვა კრემლიდან განხორციელდება. სადღაა თავისუფლება, რასაც ათასობით მამულიშვილი შეეწირა და მილიონობით ადამიანი სიდუხჭირის უკანასკნელ ზღვრამდე მიიყვანა? იდეა, რომლისთვისაც ეს ყველაფერი მოხდა, სულს ღაფავს.

რაც შეეხება რუსეთსა და ამერიკას შორის სხვადასხვა შეთანხმებებს, სამკუთხედისმაგვარ და ჯვარედინ თეორიებს, ინტერესების გაყოფას საქართველოში და ა.შ., ეს ინტერესები თავისი ბუნებით ანტაგონისტურია, რადგან აშშ-სთვის პოლიტიკა მხოლოდ ინსტრუმენტია ეკონომიკური ინტერესების განხორციელებისთვის, ხოლო რუსეთისთვის პირიქით, გზა პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვებისაკენ ეკონომიკაზე გადის.

დასკვნა ერთადერთი შეიძლება იყოს: საქართველოში დღეს პრაქტიკულად არ არის პროდასავლური პოლიტიკური ძალა, რომელიც რეალურად შეეწინააღმდეგება რუსულ ექსპანსიას და თუ არის და არ მოქმედებს, ამის ისტორიული გამართლების პოვნა ძალიან გაუჭირდება.

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ რუსეთიდან მიღებულ გარანტიებს: აქ შეიძლება ოსტაპ ბენდერის ცნობილი ციტატით ვისარგებლოთ, რომელიც ჩუბაისმა გამოიყენა რაო ეესი-ს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით - "გარანტიებს მხოლოდ სადაზღვევო პოლისი იძლევა", ანუ რუსეთს ჩვენი მთავრობის "გადაგდება" აქვს განზრახული და გადააგდებს კიდეც. შევარდნაძე და მისი გარემოცვა 21-ე საუკუნეში, სხვადასხვა მიზეზებით, მაგრამ ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც დასავლეთისთვის, ასევე რუსეთისთვის.

# საარჩევნო სიები უნდა გადამოწმდეს

პირველი გვერდიდან

რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივა არ იყო. თუმცა, გადამწყვეტი სიტყვა მაინც კომისიის თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა თქვა, როდესაც განაცხადა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა ამომრჩეველთა მონაცემები რაც შეიძლება სწრაფად გადამოწმდეს და დაზუსტდეს. გუშინვე გადაწყდა, რომ შეიქმნება სპეციალური ექვსკაციანი კომისია, რომელიც ამ პროცესს გააკონტროლებს.

როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, მათი მონაცემები ზუსტია. შესაბამისად, პასუხისმგებლობა გაბერილ სიებზე იმ ოფიციალურმა სტრუქტურებმა უნდა აიღონ, რომლებსაც უშუალოდ ევალებოდათ ამომრჩეველთა პირველადი მონაცემების დაზუსტება. ეს კი, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტრო და გამგეობებია.

თავის მხრივ, ძნელი დასაჯერებელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასეთი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ივნისში მინისტრის მოადგილე დავით თოდუა აცხადებდა, რომ მოპოვებული ინფორმაცია აბსოლუტურად სწორია და მას გადამოწმება არ ესაჭიროება.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, უკვე დღეს იმავე შსს-მ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გუშინდელი გადაწყვეტილება ან ოფიციალურად გაასაჩივროს, ან სულაც, იგი არ შეასრულოს იმ მოტივით, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში ამის გაკეთება შეუძლებელია.

არადა, როგორც უკვე ცნობილია, ძალიან ბევრი ამომრჩეველი საარჩევნო სიებში ან არ არის შეყვანილი, ან მისი გვარი რამდენჯერმე მეორდება.

და, რაც მთავარია – თუკი ეს, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომა უახლოეს დღეებში არ გამოსწორდება, მაშინ არჩევნების გამართვას აზრიც დაეკარგება – სახელისუფლებო ბლოკს შეეძლება, არჩევნების გარეშეც უპრობლემოდ დაეპატრონოს აგრერიგად ნანატრ სავარძლებს.

***24 საათი***

# "მკვდარი სულები" და უვიცი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები

*კახეთის რიგი რაიონების საოლქო კომისიებში სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა. "სამართლიანი არჩევნების" რაიონული სამსახურის განცხადებით, დედოფლისწყაროს რაიონში ამომრჩეველთა სიებში მკვდარი სულებია აღმოჩენილი, ხოლო გურჯაანში კომისიის თავმჯდომარემ კანონსაწინააღმდეგოდ იმოქმედა და დეპუტატობის სამ კანდიდატს კენჭისყრის უფლება ჩამოართვა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კახეთის რეგიონში წინასაარჩევნო მარათონი დაძაბულად მიმდინარეობს. აქ ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს არ უთმობს. ამის გამო, რიგი რაიონების საარჩევნო ოლქებში მუშაობა სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობს.

დედოფლისწყაროში "სამართლიანი არჩევნების" რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნინო ქუსიკაშვილმა ამომრჩეველთა გამოკრულ სიებში გარდაცვლილ ადამიანთა სახელები აღმოაჩინა. **"იმ ადმიანთა სახელები, რომლებიც მე ვნახე სიებში, ათი წელია, რაც ჩვენს გვერდით აღარ არიან. არ გამოვრიცხავ, რომ მათი სახელები კომისიამ გაყალბების მიზნით სპეციალურად შეიტანა,"** - ამბობს იგი. სანაცვლოდ კი, სიებში არ არიან შეყვანილნი ის ადამიანები, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან. ამის დასტურად, ქალბატონ ნინოს მისი 18 მეზობელი მოჰყავს: **"ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ამ მთავრობას უნდობლობას უცხადებენ და პროტესტის ნიშნად არჩევნებზე არ მიდიან",** - ამბობს ქუსიკაშვილი.

გარდა ამისა, დედოფლისწყაროში კიდევ ერთი "საინტერესო" ფაქტი დაფიქსირდა. მე-4 საარჩევნო საუბნო კომისიაში ამავე რაიონის მკვიდრი ქალბატონი შეიჭრა და ამომრჩეველთა სიები გაიტაცა. როგორც გაირკვა, "დამნაშავემ" (გვარს და სახელს არ ამხელენ) წინა არჩევნებზე, რაიონის ხელმძღვანელობის დავალებით, გაყალბების მიზნით საუბნო სიები თავიდან ბოლომდე ხელით გადაწერა, მაგრამ "შემკვეთს" მისთვის შრომის საფასური არ გადაუხდია.

**"ასეთი გადაწყვეტილება საოლქომ იმიტომ მიიღო, რომ კვეზერელს "მწვანეზე გაევლო,"** - ამბობს ლექსო გილიგაშვილის ერთ-ერთი მხარდამჭერი, რომელმაც სახელი იმ მიზეზით არ გაგვიმხილა, რომ მას რაიონის ხელმძღვანელობა პრობლემებს შეუქმნიდა.

ამჯერად კი გილიგაშვილმა თავს იმით უშველა, რომ "ლეიბორისტებს" შეეკრა და კენჭს არჩევნებზე მათი სახელით იყრის. ნაცვლიშვილის ბედი გაურკვეველია; როინ ქოჩორაშვილმა კი რაიონის საოლქო კომისიის წინააღმდეგ სარჩელი საოლქო სასამართლოში შეიტანა. **"მე დავამტკიცებ, რომ საოლქოს თავმჯდომარე ვაჟა ბერულაშვილი და მისი კომისიის წევრები, ყველანაირად ცდილობენ, კვეზერელის კონკურენტები არჩევნებს ჩამოგვაშორონ,"** - ამბობს ქოჩორაშვილი.

# "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბელადი

*ბურჯანაძე-დემოკრატების ბელადი ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი, ბატონ ზურაბ ჟვანიას ბოდიშს ეუბნება ბ-ნ ბურჯანაძეს, ბ-ნ ბურჯანაძეს

# როგორ შეიძლება უკანონო ქონების ჩამორთმევა

*არჩევნების წინ გარკვეული ოპოზიციური ძალები მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად არსენა ოძელაშვილის როლსაც სიამოვნებით თამაშობენ, თუმცა მცირეოდენი ინტერპრეტაციით. უკანონო შემოსავლების კონფისკაცია, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, საეჭვო საბანკო ანგარიშების ანულირება და ამ ყველაფრის ხალხისთვის გადაცემა - დაახლოებით ამ შინაარსის წინადადებებით იწყება ოპოზიციური პარტიების თითქმის ყოველი თავშეყრა, ხალხთან შეხვედრა თუ საეთერო გამოსვლა.*
*შეძლებენ თუ არა პოლიტიკოსები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საკუთარი დანაპირების რეალიზებას? რას ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა და რა ცვლილებებია მასში მოსალოდნელი?*

ეთერ მამულაშვილი

მართალია, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის საკითხი არახალია, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური იგი 2 ნოემბრის წინ გახდა. უკანონო გზით მიღებული შემოსავლების კონფისკაციის თემის პირველი ავტორი "ნაციონალური მოძრაობა" იყო, თუმცა ამის პარლამენტში გატანა მათ დღემდე ვერ მოახერხეს. პირველი, რასაც "ნაციონალები" პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შემდეგ გეგამევენ, "დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის" შესახებ კანონის მიღებაა. კობა დავითაშვილის განმარტებით, ეს ნიშნავს: ხელფასზე მომუშავე სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც, სახელმწიფო სამსახურის გარდა, სხვა დამატებითი საქმიანობა აკრძალული აქვს, არ უნდა აღმოაჩნდეს ისეთი ქონება, რომლის შეძენას მისი ხელფასი ვერ განვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ამ ქონების კანონიერი წარმომავლობის დასაბუთება მოუწევს. თუ ხსენებულმა ჩინოვნიკმა ეს ვერ მოახერხა, მას, სულ ცოტა, ამ ქონებასთან დამშვიდობება მოუხდება.

იურისტი თინა ხიდაშელი განმარტავს, რომ უკანონო გზებით შეძენილი ქონების ჩამორთმევის საკითხი, ზოგადად, მისთვის მისაღები და მისასალმებელია, მაგრამ **"მეორე საკითხია, ეს როგორ, რა ფორმით და თვალსაზრისით მოხდება. ვფიქრობ, რომ საკითხის ეს მხარე კარგად მოსაფიქრებელი და დასახვეწია. ეს არ უნდა იყოს საკუთრების უფლებების შემზღუდავი და, თავისთავად, სხვა რამე უკანონობის გამომწვევი. რაც მთავარია, ეს არ უნდა იყოს ანგარიშსწორება ვინმეს მიმართ".** დაახლოებით იმავე აზრს იზიარებს იურისტების უმრავლესობა, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე ქონების ჩამორთმევა დაუშვებელია.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევას მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით ითვალისწინებს.

მაგრამ თუ ბოლო რამდენიმე წლის წინათ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გადავავლებთ თვალს, მსგავსი პრეცედენტის მოძებნა, ან გახსენება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. "24 საათთან" საუბრის დროს იურისტებსაც გაუჭირდათ თუნდაც ერთი მაგალითის დასახელება, როცა სასამართლოს ძალით თანამდებობის პირს უკანონო ქონება ჩამოერთვა. უფრო მეტიც, ამ საკითხზე, როგორც წესი, დღემდე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც იშვიათობაა.

თინა ხიდაშელი განმარტავს, რომ ამის მიზეზი შესაბამისი პოლიტიკური ნების დეფიციტია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც რიგით ამომრჩეველს პოლიტიკური დებატების დროს ძალიან ხშირად ესმის. ეს თანამდებობის პირთა სხვადასხვა ქვეყნებში გახსნილ საბანკო ანგარიშებს ეხება.

თავისთავად, დივიდენდების მიღების მიზნით ბანკში ანგარიშის გახსნა არც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და არც დიდი დანაშაული. საუბარია საეჭვო საბანკო ანგარიშებზე, ანუ იმაზე, რასაც ჩვენში "ბინძურ ფულს" ეძახიან. იუსტიციის სამინისტროს იურისტი გიორგი გოგიბერიძე განმარტავს, რომ აქაც, ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე ამ თანხის ანულირება დღევანდელი კანონმდებლობით შეუძლებელია.

თუკი რამდენიმე წლის წინათ საბანკო სექტორში შეღწევა და ამა თუ იმ პირზე საბანკო ინფორმაციის მოპოვება, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო, 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ ამ კუთხით გარკვეული ლიბერალიზება მოხდა.

სექტემბრის ტრაგიკული მოვლენიდან ძალიან მალე ძალაში შევიდა რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება და ნორმატიული აქტი, სადაც პირდაპირ არის გათვალისწინებული ცალკეულ დანაშაულებზე საბანკო საიდუმლოების დაუყოვნებლივ გაცემა - ანუ იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული პირი ეჭვმიტანილია ისეთ დანაშაულში, როგორიც არის: ტერორისტული აქტების ორგანიზება, იარაღით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და სხვა, ესა თუ ის ბანკი ვალდებულია, გასცეს ინფორმაცია. ამას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტრასბურგის ცნობილი კონვენციაც ითვალისწინებს. სხვათაშორის, სხვადასხვა საერთაშორისო ფინასური ინსტიტუტების მიერ საქართველოს მიმართ შემუშავებულ რეკომენდაციათა ნუსხაში შეტანილია პარლამენტის მიერ ამ კონვენციის რატიფიცირება.

# ახალგაზრდა ფინანსისტები ეკონომიკური პროგრამების ავტორებს სამიანებს უწერენ

ეთერ მამულაშვილი

*გუშინ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ (აფბა) პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამები მიმოიხილა. შეფასება ხუთბალიანი სისტემით მოხდა და ვერც ერთმა პარტიამ ხსენებული პროგრამებისთვის სამიანზე მეტი ვერ დაიმსახურა. სხვადასხვა თეორიისა და დებულებათა ეკლექტიკური ნაზავი, კეთილი სურვილებისა და ოცნებათა თემაზე დაწერილი თხზულებები – ეს არის ის ზოგადი შენიშვნები, რის გამოც ასოციაციამ პოლიტიკურ პარტიათა ეკონომიკური პროგრამები დაიწუნა.*

ბუსო გელაშვილი, ფოტო

*აფბა-მ პოლიტიკურ პარტიათა ეკონომიკური პროგრამები დაიწუნა.*

ყველაზე დიდი "შეცდომა", რაც ასოციაციამ "მემარჯვენეებს" ეკონომიკურ პროგრამაში აღმოუჩინა, ეს რამდენიმე მემარცხენე იდეა იყო; კერძოდ - გაყინული პენსიებისა და ხელფასების დაბრუნების პროგრამის შემუშავება, ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება მზრუნველობას მოკლებულ ოჯახებზე და სხვა. გარდა ამისა, აფბა-ს დაუშვებლად მიაჩნია "ახლების" იმ დაპირების შესრულება, რომელიც ითვალისწინებს 2003 წლამდე სახელმწიფოსადმი დაგროვილი საგადასახადო დავალიანებების გაუქმებას. **"საგადასახადო ამინისტია, ანუ ის, რასაც მემარჯვენეები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გვპირდებიან, ჩვენი მწირი ბიუჯეტის პირობებში გაუმართლებლად მიმაჩნია. სახელმწიფოსადმი დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს მოქმედ მსხვილ საწარმოებსა და კომპანიებზე მოდის. გარდა ამისა, ამის პრაქტიკა ქვეყანას 97 წელს ჰქონდა, რასაც მასობრივი კრიზისი მოჰყვა და რაც დღემდე გრძელდება",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს აფბა-ს პრეზიდიუმის წევრმა ირაკლი ლექვანიძემ.

რაც შეეხება "ბურჯანაძე-დემოკრატების" ეკონომიკურ პროგრამას: აფბა-ს შეფასებით, ის ძალიან ზოგადია, აუცილებლად მოითხოვს დახვეწასა და დაკონკრეტებას. **"ის ეკონომიკური სტრატეგია, რაც ამ ბლოკმა მოსახლეობას შესთავაზა, ჩვენთვის მისაღებია და აბსოლუტურად ვეთანხმებით, მაგრამ ამ სტრატეგიას სჭირდება კონკრეტული ეკონომიკური პროგრამა, ანუ როგორ აპირებს ეს პარტია ამ მიზნების მიღწევას",** - დასძინეს ასოციაციის წევრებმა.

საუკეთესო ფილოსოფიური ნაშრომი - დაახლოებით ასეთ შეფასებას აძლევს აფბა "ნაციონალური მოძრაობის" ახალი სახის, გია მაისაშვილის მიერ შემუშავებულ ეკონომიკურ პროგრამას. ახალგაზრდა ფინანსისტებისა და ბიზნესმენებისთვის მიუღებელია "ნაციონალების" ის წინადადება, რომელიც სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად ითვალისწინებს მოგების გადასახადიდან დამატებით ერთი პროცენტის გაღებას.

ლეიბორისტების ის საჯარო გამოსვლები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ეხება, აფბა-ს შეფასებით ლეიბორისტული აბსტრაქციონზმია.

**"სახელმწიფო ქონების დეპრივატიზაცია, ნაციონალიზაცია, რეპრივატიზაცია, მაღალი ხელფასები და პენსიები, ანუ ის რასაც ნათელაშვილის გუნდი გვპირდება, იმდენად არარეალურია, რომ მისი განხორციელებისა არც პარტიის წევრებს სჯერათ",** - გვითხრა ირაკლი ლექვინაძემ.

სახელისუფლებო ბლოკი საარჩევნო ეკონომიკური პროგრამის შემუშავებას რატომღაც არ ჩქარობს. ასოციაციის წევრების შეფასებით, ის მათ მაინც არაფერში სჭირდებათ.

# პრეზიდენტის ბრძანებულებით ბიუჯეტი 22 მილიონს კარგავს

*4 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 22 მილიონ 111 ათას 941 ლარს კარგავს.*

თამარ ხორბალაძე

ბრძანებულებაში - "მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებულ ბუნებრივ გაზზე დავალიანების დაფარვისა და სს "აზოტის" გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ" - საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ კომპანია "იტერასადმი" მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება შეადგენს 22.111.941 ლარს. "იტერა" გადასცემს ამ 22 მილიონ 111 ათას 941 ლარზე დავალიანების მოთხოვნის უფლებას დღეს, ფაქტობრივად, "იტერას" მფლობელობაში მყოფ "აზოტს", რომელსაც, თავის მხრივ, ბიუჯეტის დავალიანება აქვს. ამის საფუძველზე პრეზიდენტი ფინანსთა სამინისტროს ავალებს ამ დავალიანებების "ურთიერთჩათვლის" შესახებ წინადადებების წარმოდგენას.

ბრძანებულებაში არ არის ნახსენები "თბილგაზი", რომელიც რეალურად არის ამ თანხით ანგარიშვალდებული "იტერას" წინაშე, ანუ არ არის ნახსენები ის, რომ ბრძანებულებით ბიუჯეტმა "აზოტს" "იტერასადმი" ბიუჯეტის კი არა, "თბილგაზის" დავალიანება უნდა "ჩაუთვალოს".

ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში (ანუ ბიუჯეტიდან "იტერასათვის" "თბილგაზის" კუთვნილი ვალების გადახდის შემდეგ) ახალი მფლობელის ხელში გადასულ "თბილგაზს" რომ ვალებს აღარავინ გაუხსენებს, ამაში ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ აქ რამდენიმე მიმართულებით არის კანონი დარღვეული:

**"აზოტს" აქვს ბიუჯეტის ვალი. პრეზიდენტი ბრძანებულებაში ამბობს, რომ მან არ უნდა გადაიხადოს ბიუჯეტში ეს ფული, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რადგან პრეზიდენტს ვალის მხოლოდ 3 წლით გადავადების უფლება აქვს და ეს "აზოტთან" მიმართებაში ერთხელ უკვე განახორციელა;**

**სამაგიეროდ, "იტერა" ეუბნება მთავრობას: მე არ მოვთხოვ ვალს "თბილგაზს"-ო. "თბილგაზი" არის კომერციული სტრუქტურა და ამ მაქინაციით ბიუჯეტში ფულის გადახდის თავიდან აცილებას არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს."**

საინტერესოა, რომ ბრძანებულების საფუძვლად გამოცხადებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი, რომელიც, რომან გოცირიძის აზრით, ბიუჯეტისადმი დავალიანების ბიუჯეტის მხრიდან დავალიანებით "ჩათვლას" ითვალისწინებს და არა ასეთ გარიგებას.

რომან გოცირიძე აღნიშნავს, რომ ეს ბრძანებულება ლოგიკური გაგრძელებაა "თბილგაზის" ახალი მმართველისა და მათი ლობისტებისადმი გაკეთებული იმ სერიოზული რევერანსებისა, რომლის შესახებაც "24 საათი" უკვე წერდა.

საინტერესოა, რომ ამ ბრძანებულებას, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ჯერ კიდევ არ აქვს ადრესატის და შემსრულებლის - ფინანსთა სამინისტროს ვიზა.

ჩვენი ინფორმაციით, საგულისხმოა ისიც, რომ ამ ბრძანებულების შექმნის ისტორიით დაინტერესდა "ანტიკორუფციული ბიურო", სადაც საკითხის შესწავლამდე კომენტარების გაკეთებისგან თავს იკავებენ.

"24 საათი" ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით ჟურნალისტურ კვლევას მომავალშიც გააგრძელებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სს „თბილგაზი" დედაქალაქის რაიონებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენას განაგრძობს. „თბილგაზში" შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, ამჟამად გაზის მიწოდების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს სანზონის და თემქის დასახლებაში, მისი მიმდებარე მიკრორაიონებითურთ; სამუშაოები 6 ოქტომბერს დაიწყო და 9 ოქტომბრისთვის დასრულდება.

10 ოქტომბერს დასრულდება ისან-სამგორის რაიონის სრული გაზმომარაგება, ამ რიცხვამდე გაზის მიწოდება არ აღუდგება მხოლოდ ავლაბრის მოსახლეობას, იქ მიმდინარე გაზგაყვანილობის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო.

10-11 ოქტომბერს გაზს წყნეთის მოსახლეობაც მიიღებს.

„თბილგაზმა" აღნიშნული სამუშაოები 2 ოქტომბერს დაიწყო და მათ დამთავრებას 11 ოქტომბრისთვის ვარაუდობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ არ შედგა დაგეგმილი სამმხრივი შეხვედრა ენგურჰესზე, სადაც აფხაზური, ქართული მხარეებისა და "თელასის" ახალი მფლობელის მონაწილეობით, ენგურჰესის მუშაობის გრაფიკი უნდა შემუშავებულიყო. შეხვედრის გადადების ოფიციალურ მიზეზად "თელასის" წარმომადგენლების მოუცლელობას ასახელებენ. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილავიამშენისა" და კომპანია "ბოინგის" ერთობლივი პროექტის თანახმად, ახლო მომავალში საქართველოში "ბოინგის" ტიპის თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურების სპეციალური ცენტრი გაიხსნება.

"თბილავიამშენის" პრეს-მდივნის გიორგი ბერიძის ინფორმაციით, ცენტრის გახსნა მიმდინარე წლის ბოლომდეა ნავარაუდევი.

მისი ინფორმაციით, ქართული ცენტრის ბაზაზე მოხდება თვითმფრინავების ტექნიკური დათვალიერება, რემონტი და საწვავით გამართვა.

გიორგი ბერიძემ აღნიშნა, რომ "თბილავიამშენი" უკვე შეუდგა თავისი აეროდრომის მომზადებას "ბოინგების" დასაჯდომად და იგი ევროპული სტანდარტებით იქნება აღჭურვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლევანდელი ბიუჯეტის შეუსრულებლობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნავთობპროდუქტების იმპორტის სფეროში არსებულმა კორუფციამ განაპირობა.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ განაცხადა, წლეულს, 9 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტში ნავთობპროდუქტების იმპორტიდან მხოლოდ 18 მილიონი ლარი შევიდა, მაშინ, როცა ამ პერიოდისთვის 40 მილიონი ლარის მობილიზება იყო დაგეგმილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში შემოტანილი 500 ათასი ტონა ბენზინიდან გადასახადი მხოლოდ 150 ათასი ტონიდან არის გადახდილი, დანარჩენი 350 ათასი ტონა ბენზინის ფული კი არსად ჩანს. **მედია-ნიუსი**

# რა ხდება ბიუჯეტში

ნინო ნარჩემაშვილი

**"გასული ცხრა თვის განმავლობაში 2003 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 146 მილიონი ლარით გაირღვა, ანუ დარჩენილ სამ თვეში შესასრულებელი დარჩა მთლიანი გეგმის 40 პროცენტი, რაც 500 მილიონ ლარს შეადგენს. ამის განხორციელება კი არარეალურია,"** - განაცხადა პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ. მისი თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში მოსალოდნელი 200-მილიონიანი დანაკლისი, პირველ რიგში, ურთულეს მდგომარეობაში ჩააყენებს პენსიონერებს, რომელთა დავალიანების დასაფარავად მხოლოდ მაისის თვიდან დღემდე 37,5 მილიონი ლარია საჭირო.

რაც შეეხება 2004 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წინა წელთან შედარებით კიდევ 180 მილიონით არის გაზრდილი: დავით სალარიძის აზრით, იგი უფრო ნაკლებად რეალისტურია, მით უმეტეს, რომ ამასობაში ქართულ სახელმწიფოს ოთხი მილიონი ლარი საგარეო და 690 მილიონი ლარი შიდა ვალი დაუგროვდა.

მისივე თქმით, 2004 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხელფასების 35 ლარამდე გაზრდის არავითარი შანსი არ არსებობს. დიდი პრობლემაა ფინანსთა სამინისტროში დაგეგმილი ახალი რეფორმაც, რომელიც სამინისტროსათვის საგამოძიებო ფუნქციის მინიჭებას გულისხმობს.

ამასთან, საგანგებო ლეგიონის დაშლის შემდეგ მისი 400 თანამშრომელი სხვადასხვა სტრუქტურებში უნდა გადანაწილდნენ. დავით სალარიძის განცხადებით, კონტრაბანდასთან ბრძოლა, რომელიც საგანგებო ლეგიონის მოვალეობა იყო, ფულის კეთების კარგი საშუალებაც არის და ამიტომ საჭიროა, აქ მომუშავე პერსონალის საგანგებოდ შერჩევა. ასე რომ, აუცილებელია საკადრო ცვლილებების განხორციელება და არა მარტო ფინანსთა სამინისტროში.

აღსანიშნავია, რომ 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ახალი პარლამენტი მუშაობას, სავარაუდოდ, 20 ნოემბრისთვის დაიწყებს. ბიუჯეტზე მსჯელობა კი, დავით სალარიძის ინფორმაციით, იანვარში გადაინაცვლებს.

# ჰესებში წყლის დონე დაბალია

საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავების ათვისების წლიური გრაფიკი დარღვეულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰესებში წყლის დონე საჭიროზე მკვეთრად დაბალია. ყოველივე ეს თბოელექტროსადგურების უმოქმედობამ გამოიწვია. ამის შესახებ ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი აცხადებს.

ფირცხელანი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის შეცდომას უწოდებს სათანადო გეგმის არარსებობას, რის გამოც "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკი და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ენერგობლოკები დღემდე არ მუშაობს.

**"თუ ასე გაგრძელდა, დეკემბერში და იანვარში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნება. ყველაფერში დამნაშავე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარია, რადგან შემოდგომა-ზამორის სეზონს ის უნდა გეგმავდეს. ბაზარმა უნდა იზრუნოს ენერგობლოკებისთვის საწვავის შეძენაზე, დააწესოს ჰესების მუშაობის გრაფიკი და უნდა ჰქონდეს ფულადი რეზერვი იმპორტის განსახორციელებლად,"** - აღნიშნა ფირცხელანმა.

მას შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლად ენერგოსისტემის ერთიანი მართვა მიაჩნია. მისი თქმით, ენერგოსისტემას ერთი ორგანიზაცია უნდა მართავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას არაფერი ეშველება.

რა მდგომარეობა იქნება ელექტრომომარაგების მხრივ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ფირცხელანი ამასთან დაკავშირებით პროგნოზს არ აკეთებს, თუმცა აცხადებს, რომ მთავრობა თავის საწინააღმდეგო ქმედებას არ განახორციელებს და არჩევნებამდე წყალსაცავებს არ დაცლის. **"თუ ასე მოიქცევა, მისი მხრიდან ეს უგუნური ქმედება იქნება, რადგან არჩევნების შემდეგ ხალხი ელექტროენერგიის გარეშე ცხოვრებას ვერ მოითმენს,"** - მიაჩნია ფირცხელანს.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს
მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, ხუთშაბათიდან 15 დეკემბრამდე ბახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს ბენეფიტრის.
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

| | | | |
|---|---|---|---|
| სენტრალური ფილიალი<br>0112 თბილისი<br>თამარ მეფის გამზ. 18<br>ტელ: (995 32) 20-16-16<br>ფაქსი: (995 32) 77-96-11<br>central@procreditbank.ge | ქუთაისის ბანკომანქანა<br>4600 ქუთაისი<br>წერეთლის ქუჩის ს. 4<br>ტელ: (995 231) 4-87-05<br>kutaisioutlet@procreditbank.ge | გლდანის ფილიალი<br>0167 თბილისი<br>ოთარ ხიზანიშვილის ქ. 1<br>ტელ: (995 32) 57-01-01<br>ფაქსი: (995 32) 57-10-01<br>gldani@procreditbank.ge | ფოთის ფილიალი<br>4400 ფოთი<br>მ. აღლაძეების ქ. 23<br>ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3<br>ფაქსი: (995 293) 28-28-4<br>poti@procreditbank.ge |
| ვაკის ბანკომანქანა<br>0179 თბილისი<br>მეხეთის ქ. 8<br>ტელ: (995 32) 25-28-06<br>ფაქსი: (995 32) 25-28-07<br>vake@procreditbank.ge | ზუგდიდის ბანკომანქანა<br>2100 ზუგდიდი<br>თამარაშვილის ქ. 1<br>ტელ: (995 215) 5-11-23<br>ფაქსი: (995 32) 93-43-74<br>zugdidi@procreditbank.ge | ვაჟა-ფშაველას ფილიალი<br>0182 თბილისი<br>ჯავახეთის ქ. მე-2 ჩიხი<br>ტელ: (995 32) 76-44-82<br>ფაქსი: (995 32) 76-44-81<br>varketili@procreditbank.ge | ბათუმის ფილიალი<br>6000 ბათუმი<br>ლეონ სასანიანის ქ. 18<br>ტელ: (995 222) 7-24-20<br>ფაქსი: (995 222) 7-19-54<br>batumi@procreditbank.ge |
| საბურთალოს ბანკომანქანა<br>0177 თბილისი<br>ვაჟა-ფშაველას გამზ. 46<br>ტელ: (995 32) 20-17-17<br>ფაქსი: (995 32) 20-17-18<br>saburtalo@procreditbank.ge | გორის ფილიალი<br>1400 გორი<br>ჭავჭავაძის ქ. 10<br>ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64<br>ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58<br>gori@procreditbank.ge | ლილოს ბანკომანქანა<br>0115 თბილისი<br>ვახტანგ გორგასლის 118<br>ტელ: (995 32) 77-96-35<br>ფაქსი: (995 32) 77-96-36<br>lilo@procreditbank.ge | ბათუმის ბანკომანქანა<br>6000 ბათუმი<br>ჭავჭავაძის ქ. 10<br>ტელ: (995 222) 7-74-19<br>ფაქსი: (995 222) 7-74-19<br>batumioutlet@procreditbank.ge |
| ვაზიანის ბანკომანქანა<br>0112 თბილისი<br>თელეფონის მოედანი 3/32<br>ტელ: (995 32) 92-16-16<br>ფაქსი: (995 32) 77-96-11<br>stationsquare@procreditbank.ge | მარნეულის ბანკომანქანა<br>3000 მარნეული<br>ჩოღოყაშვილის ქ. 3<br>ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50<br>ფაქსი: (995 32) 94-31-36<br>marneuli@procreditbank.ge | ქუთაისის ფილიალი<br>4600 ქუთაისი<br>თამარ მეფის ქ. 85<br>ტელ: (995 231) 4-14-14<br>ფაქსი: (995 231) 4-51-64<br>kutaisi@procreditbank.ge | ჯავახეთის ბანკომანქანა<br>6201 ახალქალაქი<br>მ. აღლაძეების ქ. 2<br>ტელ/ფაქსი: (995 256) 66-439<br>kobuleti@procreditbank.ge |

## ჩრდილოეთ კორეა იაპონიას უპირისპირდება

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადებით, მათ არ სურთ, რომ მომავალში ფხენიანის ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებში, რაიმენაირი ფორმით, იაპონიამ მონაწილეობა მიიღოს. ამ საკითხის გარშემო მოლაპარაკებებში მონაწილეობას ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენლები ღებულობდნენ, მათ შორის იაპონიაც იყო. ექვსმხრივი შეხვედრები ა.წ. აგვისტოში პეკინში გაიმართა. გუშინ კი, ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეხვედრების დროს იაპონიამ დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი საკითხი დააყენა განსახილველად და ამიტომ, ტოკიო ფხენიანისათვის სანდო პარტნიორს აღარ წარმოადგენს.

**"აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ბირთვული პროგრამის დარეგულირების საკითხში იაპონია ამიერიდან მხოლოდ დაბრკოლებებს შექმნის,"** - ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს განცხადებაში.

რამ განაპირობა ჩრდილოეთ კორეის ასეთი გაღიზიანება ტოკიოს მიმართ? როგორც ცნობილია, იაპონიამ მოლაპარაკებების დღის წესრიგში იმ იაპონელი ტყვეების საკითხი დააყენა, რომლებიც 70-80-იან წლებში ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს.

ფხენიანი ცდილობს, ამ საკითხის განხილვას როგორმე თავი აარიდოს და სწორედ ეს იწვევს მის გაღიზიანებას.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფხენიანის ამ განცხადების კომენტირება უკვე მოასწრო. ტოკიო აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეას იაპონიის მოლაპარაკებებიდან გამორიცხვის არანაირი უფლება არ გააჩნია. **"ბირთვული პროგრამა იაპონიასა და ჩრდილოეთ კორეას შორის ორმხრივ ურთიერთობებში ერთადერთ განსახილველ საკითხს არ წარმოადგენს, თუმცა ამას, როგორც რეგიონისათვის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია,"** - განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. მისი თქმით, იაპონიისათვის მიუღებელია ჩრდილოეთ კორეის პოზიცია, რომელიც ექვსმხრივი ფორმატიდან ტოკიოს გამორიცხვას ითვალისწინებს.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კორეა დიდი ხანია ცდილობს, აშშ-სთან მოლაპარაკებები ორმხრივ ფორმატში აწარმოოს, თუმცა ვაშინგტონი ფხენიანის ბირთვული პროგრამის პრობლემას მთელ რეგიონს უკავშირებს.

## აშშ და დიდი ბრიტანეთი ჩეჩნეთის არჩევნების შესახებ

ჩეჩნეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკვე მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება. კერძოდ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც "დამაჯერებელი" გამარჯვება მოსკოვის მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა ახმად კადიროვმა მოიპოვა, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ვაშინგტონის აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, აღიარებს თუ არა ჩეჩენი ხალხი ახალ ხელისუფლებას.

სახელმწიფო დეპარტამენტის ეს პოზიცია უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა წარმოადგინა. მისი თქმით, არჩევნებმა ნათლად მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ კეთილი მიზნების განხორციელება ვერ მოხერხდა. **"კადიროვის ყველა სერიოზული კონკურენტი საარჩევნო მარათონს ჩამოაშორეს, რეგიონული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მთლიანად კადიროვის ძალების მიერ კონტროლდებოდა. ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ არჩევნები თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა,"** - განაცხადა ბაუჩერმა.

მისი თქმით, აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა არაერთხელ გამოხატეს თავიანთი შეშფოთება საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის დროს. მან ეჭვი გამოთქვა, რომ კადიროვის ხელისუფლებას თავად ჩეჩნები ლეგიტიმურად აღიარებენ.

ვაშინგტონმა თავისი უარყოფითი პოზიცია ჯერ კიდევ მარტის თვეში ჩატარებული რეფერენდუმის მიმართ დააფიქსირა, რომელზეც მოსახლეობას ქვეყნის კონსტიტუციისათვის უნდა მიეცა ხმა.

ვაშინგტონის პარალელურად, საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობაში ეჭვი შეიტანა დიდმა ბრიტანეთმაც. კერძოდ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ არჩევნები ტოტალური დარღვევებით ჩატარდა და კადიროვის ხელისუფლების კანონიერება ეჭვს იწვევს.

# შვარცნეგერი გამარჯვების მოლოდინში

პირველი გვერდიდან



REUTERS

*არნოლდ შვარცნეგერი მეუღლესთან ერთად.*

რაც შეხება ქალებთან ცუდად მოქცევას: ერთ-ერთი "დაზარალებული" აცხადებდა, რომ არნოლდმა მას ერთხელ უხერხულ ადგილზე უჩქმიტა. შვარცნეგერმა მას და სხვა "განაწყენებულ" მანდილოსნებს სახალხოდ მოუხადა ბოდიში. რაც შეეხება ჰიტლერს, მან კატეგორიულად უარყო ეს ბრალდება და განაცხადა, რომ გერმანიის ყოფილი დიქტატორის მიმართ არანაირ სიმპათიას არ განიცდიდა.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ეს ბრალდებები არნოლდის რეიტინგზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს. გასათვალისწინებელია ამჟამინდელი გუბერნატორის, დემოკრატი დევისის უაღრესად დაბალი რეიტინგიც, რაც, ძირითადად, მისი წარუმატებელი ეკონომიკური პოლიტიკით არის განპირობებული. მისი მმართველობის დროს მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კუთხის - კალიფორნიის ეკონომიკამ საგრძნობი ვარდნა განიცადა. ამჟამინდელი არჩევნები რიგგარეშედ ჩატარდა და ერთგვარი რეფერენდუმის სახეც ჰქონდა. ამომრჩევლებს მხოლოდ ორ კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი: უნდა დატოვოს თუ არა დევისმა გუბერნატორის პოსტი და ვინ უნდა შეცვალოს ის.

არჩევნების წინა საღამო დევისმა სან-ფრანცისკოში გაატარა, სადაც მის მხარდამჭერ აქციაზე ორიათასზე მეტი მეხანძრე შეიკრიბა.

**"თუ მომცემთ შანსს, ვადის გასვლამდე ამ პოსტზე დავრჩე, ჩემს შესაძლებლობებს მაქსიმალურად გავზრდი, რათა თქვენი ცხოვრება უფრო უკეთესი გახდეს,"** - განაცხადა გუბერნატორმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ შვარცნეგერის მიმართ წაყენებული ბრალდებები სექსუალური ძალადობის შესახებ, აშკარად მიუთითებს - იგი არ შეიძლება გახდეს გუბერნატორი.

**"ჩემთვის ძნელია იმის დაჯერება, რომ ამ ქალებიდან რომელიმე ცრუობს,"** - დასძინა დევისმა.

თავის მხრივ, შვარცნეგერმა არჩევნების წინა დღეს დევისის კრიტიკისათვის თავი არ დაზოგა. **"მოვიდა დრო, რომ დევისი საკრამენტოდან გავაძევოთ,"** - განაცხადა შვარცნეგერმა, რომელსაც დიდი იმედი აქვს, რომ რამდენიმე დღეში კალიფორნიის გუბერნატორის სავარძელს დაიკავებს.

ეს მოხდება თუ არა, დღეს გავიგებთ.

## აზერბაიჯანი: ოპოზიციას უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ხელისუფლებას

პირველი გვერდიდან

*აზერბაიჯანის არჩევნების პირველი მსხვერპლი.*

სექტემბერში გამოკითხულთა 75 პროცენტი აცხადებს, რომ არჩევნებზე წავა, 24 პროცენტი კი დასძენს, რომ გაყალბების შემთხვევაში მზადაა, მასობრივ პროტესტებში მონაწილეობა მიიღოს.

სოციოლოგთა დასკვნით, ხელისუფლების გეგმა - ჰეიდარ ალიევი ილჰამით შეცვალონ - მოსახლეობის უმეტესობის უკმაყოფილებას იწვევს. ხალხი მიიჩნევს, რომ შვილი ვერ იქნება მამის ღირსეული შემცვლელი. ოპოზიციას რომ საერთო კანდიდატის გამოყვანა მოეხერხებინა, იგი ილჰამ ალიევს პირველივე ტურში დაამარცხებდა (რასაკვირველია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში).

ალიევის რეიტინგის დაცემის ფონზე, ოპოზიციის აქტივისტებსა და ხელისუფლების მხარდამჭერებს შორის შეხლა-შემოხლა სულ უფრო ხშირად ხდება. ყველაზე სერიოზული ინციდენტი 2 ოქტომბერს საათლის რაიონში მოხდა, როდესაც ხელისუფლების რამდენიმე ასეულმა მომხრემ ოპოზიციის მიტინგი დაარბია. მოჩხუბრები ხელკეტებით, რკინის მილებითა და ნაჯახებით იყვნენ შეიარაღებულნი. ცემა-ტყეპის შემდეგ ორივე მხრიდან რამდენიმე ათეული ადამიანი სერიოზულად დაშავდა. ოპოზიცია ამ ინციდენტს მაშინვე გამოეხმაურა და ხელისუფლების ქმედებას "საშიში" უწოდა.

"ქვეყანა ანარქიისაკენ მიექანება, – განაცხადა მამედოვმა, – და ეს შეგნებულად კეთდება იმისათვის, რომ ხელისუფლების გარკვეულმა წრეებმა ეს ახალგაზრდა ბიჭი, ალიევი პრეზიდენტად გაიყვანონ და მერე თავად აკონტროლონ ქვეყანა".

აზერბაიჯანში დაძაბულობის ესკალაციამ დასავლეთში შეშფოთება გამოიწვია. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გადამწყვეტი ფაქტორია აზერბაიჯანული დემოკრატიის განვითარებისათვის. ბრიტანეთის საელჩომაც მხარეებს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა და სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ მოუნოდა.

სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, არჩევნების გამჭვირვალობის გაზრდისათვის აშშ-მ ორი მილიონი დოლარი გამოყო. ამ თანხით 150 საერთაშორისო დამკვირვებელი დაფინანსდება. დეპარტამენტმა გაკიცხა აზერბაიჯანის მთავრობა ოპოზიციის ლიდერებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობისათვის. კრიტიკა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასაც შეეხო, რომელმაც საარჩევნო სიები წინასწარ არ გამოაქვეყნა.

ანდრეას გროსი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი და მომხსენებელი აზერბაიჯანის საკითხებზე, აცხადებს, რომ არჩევნებამდე, არჩევნების დროს და არჩევნების შემდეგ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. "მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია რეგიონებში, სადაც დემოკრატიული ნორმების დარღვევა ცხოვრების ნორმაა," – ამბობს იგი.

*ეურაზიანეტ. ორგ*

## ბრაზილია ბირთვული პროგრამის ამოქმედებას აპირებს

*პრეზიდენტ სილვას ბირთვული ამბიციები გაუჩნდა*

ბრაზილიის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მომავალ წელს ურანის გამდიდრებას გეგმავს. გამდიდრებული ურანის ექსპორტირებას ბრაზილია უკვე ათი წლის შემდეგ შეუდგება. ტექნიკური თვალსაზრისით, ეს ბრაზილიას ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობას მისცემს. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის რობერტ ამარალის განცხადებით, ურანის გამდიდრებას მხოლოდ ქვეყნის ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მისია აკისრია. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება უკვე მოიწონა ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ, ხოლო მთავრობა ამჟამად განიხილავს საკითხს, რომელიც შეეხება ქვეყანაში მესამე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას.

პირველად ბრაზილიამ ურანის გამდიდრების სურვილი 1980-იანი წლების ბოლოს გამოთქვა, თუმცა ეს ჩანაფიქრი არ განუხორციელებია.

ბრაზილიის ატომური ელექტროსადგურების მიერ გადამუშავებული ბირთვული საწვავი დღემდე ევროპის ტერიტორიაზე მდიდრდება.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ თუ ბრაზილია ურანის გამდიდრებას შეუდგება, ეს აშშ-ის და არგენტინის უკიდურეს გაღიზიანებას გამოიწვევს.

ბრაზილიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მინისტრი კი აცხადებს, რომ ურანის გამდიდრების პროცესის საბოლოო მიზანს 2014 წლისათვის სრულყოფილი ბირთვული საწვავის მიღება წარმოადგენს, რომლის ექსპორტირებასაც ბრაზილია 2014 წლიდან აშშ-სა და საფრანგეთში აპირებს.

ბრაზილია ურანით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა. მისი რესურსები 600 ათას ტონად არის შეფასებული. მინისტრის თქმით, ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ბრაზილია, დაახლოებით, ათასი წლის მანძილზე ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი იყოს.

## თურქეთი ერაყში ჯარების გასაგზავნად ემზადება

REUTERS

*თურქეთის მოსახლეობის 64 პროცენტი ერაყში ჯარების გაგზავნის წინააღმდეგია.*

ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, თურქეთი მაინც დაჰყვა ამერიკის თხოვნას და ერაყში გასაგზავნად ჯარების გამზადება დაიწყო.

თურქეთის მთავრობამ პარლამენტს სთხოვა, დაამტკიცოს დადგენილება ჯარების გაგზავნის შესახებ. მთავრობა აცხადებს, რომ კანონმდებლები დადგენილებას მხარს დაუჭერენ. 1 მარტს, ჯერ კიდევ ომის დაწყების წინ, თურქეთმა უარი უთხრა აშშ-ს არამხოლოდ ერაყში თურქული ჯარების გაგზავნაზე, არამედ საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული ჯარების გატარებაზეც, რამაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები სერიოზულად დაძაბა. სამაგიეროდ, თურქეთის მთავრობის ავტორიტეტი ერთიორად გაიზარდა ომის მოწინააღმდეგე ევროპულ სახელმწიფოებში (საფრანგეთი, გერმანია...), არაბულ ქვეყნებში და საკუთარი მოსახლეობის თვალში.

ანალიტიკოსების თქმით, ერაყთან დაკავშირებით პოლიტიკის შეცვლით, ანკარა ვაშინგტონთან ძველი ურთიერთობების აღდგენას ისახავს მიზნად, თუმცა თურქი ექსპერტები ფიქრობენ, რომ ევროპულ და ისლამურ ქვეყნებთან ურთიერთობაზე ამ ნაბიჯმა, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს.

გამოკითხვების თანახმად, თურქეთის მოსახლეობის 64 პროცენტი ერაყში ჯარების გაგზავნის წინააღმდეგია, თუმცა ოპოზიცია არ არის ისეთი ძლიერი, როგორც ომის წინ იყო.

საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ამერიკა თურქეთს ათი ათასი ჯარისკაცის გაგზავნას სთხოვს, ანკარა კი რამდენიმე ათასით ნაკლების გაგზავნას აპირებს. თურქული ნაწილები ბაღდადის ჩრდილოეთითა და დასავლეთით, არაბი სუნიტებით დასახლებულ რაიონებში განლაგდებიან.

ამ რაიონებში ამერიკელებს განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა ხვდებათ. მათ იმედი აქვთ, რომ აქ სუნიტი ჯარისკაცების ჩაყენება წინააღმდეგობის მოძრაობას შეასუსტებს. საერთოდ, ამერიკა ცდილობს, ერაყში რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცი განალაგოს ისლამური ქვეყნებიდან, და ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქეთთან, პაკისტანთან და ინდოეთთან.

ომის დაწყებიდან დღემდე ერაყში 300-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. მშვიდობის დამყარებისა და ქვეყნის აღდგენის საქმეში პროგრესი არც ისე სწრაფია, როგორც თავიდან იმედოვნებდნენ. ვაშინგტონი გამოსავლის მოძებნას ცდილობს.

ორშაბათს გამოცხადდა ერაყის მმართველი ახალი ორგანოს, "ერაყის სტაბილიზაციის ჯგუფის" შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში კონდოლიზა რაისი ჩაუდგა. მართალია, ადმინისტრაცია ამას უარყოფს, მაგრამ ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ სტრუქტურის შეცვლით, პრეზიდენტმა პენტაგონი ერაყის მართვას, პრაქტიკულად, ჩამოაცილა. ერაყისათვის გამოყოფილი 87 მილიარდი დოლარის ხარჯვას სწორედ ეს ჯგუფი გააკონტროლებს. მასში თანაბრად არიან წარმოდგენილნი პენტაგონის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და თეთრი სახლის წარმომადგენლები.

ჯარების გაგზავნის სანაცვლოდ, ამერიკელებმა თურქებს რამდენიმე მაცდუნებელი წინადადება შესთავაზეს. სულ ახლახან აშშ-მ თურქეთს გამოუყო ძალზე შეღავათიანი კრედიტი 8,5 მილიარდი დოლარის მოცულობით, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიტერორისტული სამსახურის უფროსმა კოფერ ბლეკმა კი განაცხადა, რომ ამერიკა თავის თავზე იღებს ერაყში განლაგებული ტერორისტული ორგანიზაცია "კადეკის" (ყოფილი ქურთ მუშათა პარტია) ნეიტრალიზებას.

ჯარების გაგზავნის ზუსტი თარიღი და კონტინგენტის რაოდენობა, ჯერჯერობით, უცნობია.

## მსოფლიოს ყველაზე პატიოსანი და კორუმპირებული ქვეყნები

ანალიტიკურმა-კვლევითმა ჯგუფმა "Transparancy International"–მა მსოფლიოს კორუმპირებული ქვეყნების სია გამოაქვეყნა. ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოთა რიცხვში მოხვდნენ: ბანგლადეში, ნიგერია, ჰაიტი, პანამა, ბირმა, ტაჯიკეთი, საქართველო, კამერუნი, აზერბაიჯანი, ანგოლა, კენია და ინდონეზია. მათ შორის ყველაზე კატასტროფული მდგომარეობაა ბანგლადეშში, ნიგერიასა და ჰაიტიში. კორუფცია თითქმის არ არსებობს ფინეთში, დანიასა და ისლანდიაში. სულ სიაში 133 სახელმწიფოა შეყვანილი.

ისინი, კორუფციის დონის შესაბამისად, ათბალიანი სისტემით არიან განაწილებულები, რიგითობის მიხედვით. სიის თავში მყოფ ქვეყნებს ათი ბალი უწერიათ. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ სახელმწიფოებში კორუფცია არ არსებობს. ხოლო სიის ბოლოში მყოფ ქვეყნებს, შესაბამისად, ერთი ბალი უწერიათ, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სახელმწიფოებში ყველაფერი იყიდება და მექრთამეობას მოსახლეობის ყველა ფენა აქვს მოცული. რაც შეეხება რუსეთს, აქ არსებული კორუფცია 2,8 ბალით არის შეფასებული და, შესაბამისად, სიაში 47-ე ადგილი უკავია. ის კორუფციის დონით უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ინდოეთი, რუმინეთი და მალავი.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განცხადებით, წინა წელთან შედარებით, მდგომარეობა გაუარესებულია აშშ-ში, ლუქსემბურგსა და კანადაში, სადაც კორუფციის ტემპების ზრდა აშკარად შეინიშნება.

# შელავათები გაუქმდა და ... არ გაუქმდა

*უკვე რამდენიმე დღეა, რაც ომის ვეტერანებს ტელეფონები გაუთიშეს. წესით, მათთვის სატელეფონო კავშირით სარგებლობის სააბონენტო გადასახადს თბილისის მერია უნდა იხდიდეს. თუმცა, მერია ვეტერანების მიმართ აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. "საქართველოს ელექტროკავშირის" მონაცემებით, შარშან ოქტომბრიდან დღემდე, ვეტერანთა სააბონენტო გადასახადზე დაგროვილი დავალიანება 400 ათას ლარს აღწევს.*

თამარ დვალი

**"პენსიონერებისთვის ტელეფონი კომუნიკაციის თითქმის ერთადერთი საშუალებაა. რამდენიმე დღეა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაგვითიშეს ტელეფონი. ჯერ მეგონა, რომ დაზიანება იყო. როცა ფოსტაში მივედი მითხრეს, რომ ის შეღავათები, რომელიც ომის ვეტერანებზე ვრცელდებოდა და სააბონენტო გადასახადს 50 პროცენტით ამცირებდა, სექტემბრიდან გაუქმებულა. მერია არ გვისტუმრებს ვალსო, ასე მითხრეს. სახელმწიფოსგან ეს მინიმალური დახმარება გვქონდა და ისიც შეგვიწყდა. ყველაფერი უკან-უკან მიდის, "** – განაცხადა ფოსტაში ამბის გასაგებად მოსულმა პენსიონერმა.

ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე შეღავათები მხოლოდ პენსიონერებს არ ეხებათ, იგი მთლიანად ომის ვეტერანებზე ვრცელდება და მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებიც არიან. "საქართველოს ელექტროკავშირში" აცხადებენ, რომ მათ არც შეღავათები დაუწესებიათ და არც მისი გაუქმების გადაწყვეტილება მიუღიათ. რაც შეეხება აბონენტების წინასწარ გაფრთხილებას, ეს წარმოუდგენელი იყო, რადგან მათ ათასობით აბონენტი ჰყავთ და რომელს ეხება შეღავათები ძნელი გასარკვევია.

როგორც მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსმა ამირან ჯღებისაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, სააბონენტო შეღავათები ომის ვეტერანებზე არ გაუქმებულა. **"ჩვენ არანაირი შეღავათები არ გაგვიუქმებია. ვეტერანებს ეს შეღავათები კანონით ეკუთვნით და მათი გაუქმების უფლება ჩვენ არ გვაქვს. იგი ისევ კანონით უნდა გაუქმდეს. ამ ეტაპზე ამ საკითხზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ჩვენს სამსახურს "საქართველოს ელექტროკავშირის" 120 ათასი ლარის დავალიანება აქვს გასასტუმრებელი და ამის გამო გამორთეს ტელეფონები. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს და იმედი გვაქვს, რომ "ელექტროკავშირთან" გადახდის გრაფიკებსა და მექანიზმებზე შევთანხმდებით."**

მერიას უკვე ორი წელიწადია, რაც შეღავათების გადახდა დაეკისრა. ჯღებისაშვილის თქმით, მათი სამსახურის დავალიანება, ცენტრალურ ბიუჯეტში საკითხის გაუთვალისწინებლობის ბრალია.

სანამ მერია და "საქართველოს ელექტროკავშირი" გადახდის გრაფიკებსა და მექანიზმებზე შეთანხმდება, გაუგებრობაში აღმოჩენილ ომის ვეტერანებს გადასახადს სრულად ახდევინებენ. ყველა, ვინც ტელეფონის გათიშვის მიზეზს კითხულობს პასუხად შეღავათების გაუქმებას უსახელებენ. მერიის სამსახური კი აცხადებს, რომ აბონენტებმა ეს გადასახადი არ უნდა გადაიხადონ. **"ყველას, ვისაც გადასახადის სრულად გადახდას მოსთხოვენ, უნდა იცოდეს, რომ ატყუებენ. ჩვენ შეღავათები არ გაგვიუქმებია და როგორც კი შევძლებთ, დავალიანებას ჩვენვე დავფარავთ. ეს კი, ალბათ მაქსიმუმ ერთ კვირაში მოხდება, "** – განაცხადა ჯღებისაშვილმა.

როგორც გაირკვა, საბიუჯეტო ორგანიზაციებს "ელექტროკავშირის" 4.5 მილიონი ვალი მართებს. ურჩ გადამხდელთა შორის არიან: პარლამენტი, თავდაცვის სამინისტრო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და სხვა სამინისტროები. ყველა ამ უწყებაში ჩართულია მხოლოდ მისაღების, პირველი პირების და მორიგის ტელეფონები, დანარჩენი ნომრები კი გამორთულია.

# „ლეიბორისტების" მორიგი ენერგიული სარჩელი

*გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ "ლეიბორისტული" პარტიის სარჩელი, ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით, არსებით განხილვაში მიიღო. "ლეიბორისტები" ამჯერადაც ტარიფის შესაძლო მომატებას აპროტესტებენ. მას შემდეგ, რაც "თელასი" რუსულმა "რაო-ეეს"-მა შეიძინა, ტარიფის შესაძლო შემცირებასთან ერთად, ხელისუფლებაში მის მომატებაზეც ალაპარაკდნენ.*

თამარ დვალი

სემეკმა ელექტროენერგიის დიფერენცირებული ტარიფის შესახებ დადგენილება აგვისტოში მიიღო. დადგენილების მიხედვით, 100 კილოვატამდე ელექტროენერგიის მომხმარებელმა ერთ კილოვატსაათში 12,18 თეთრი, 200 კილოვატამდე 13,7 თეთრი, 400 კილოვატამდე 15,1 თეთრი, ხოლო 410 კილოვატის ზემოთ 16,8 თეთრი უნდა გადაიხადოს. "ლეიბორისტების" განმარტებით, სემეკის დადგენილება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2002 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, გუშინ საქმე წარმოებაში მხოლოდ განსახილველად მიიღო და საბოლოო გადაწყვეტილებამდე ჯერ შორია, "ლეიბორისტები" დარწმუნებულები არიან, რომ გამარჯვებას უკვე მიაღწიეს. **"დღეს ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. "რაო-ეეს"-მა საქართველოში შემოსვლისთანავე გადასახადის 17 თეთრამდე გაზრდა მოინდომა. სანამ ამას ხმამაღლა გამოაცხადებდა, ჩვენ მაშინვე მოვახდინეთ პიკეტირება და ტარიფი ძველ ნიშნულზე დავატოვებინეთ. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას იგნორირებას გაუკეთებენ და ხელისუფლება კვლავ დაუშვებს ტარიფის გაზრდას, მაშინ პროკურატურაში შევიტანთ სარჩელს და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოვითხოვთ დაუმორჩილებლობის მუხლით,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, "ლეიბორისტმა" იოსებ შატბერაშვილმა.

თანაპარტიელებისგან განსხვავებით, პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი არ მიიჩნევს, რომ გამარჯვებას უკვე მიაღწიეს, თუმცა გამარჯვების დიდი იმედი ნამდვილად აქვს და აცხადებს: **"სარჩელის განსახილველად მიღება პრაქტიკულად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების "წინა დღეა". საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 30 დეკემბერს მომატებული ტარიფი ერთხელ უკვე ანტიკონსტიტუციურად სცნო. ჩვენი პარტია დენის ტარიფზე გადასახადის შემცირების კამპანიის მეორე ეტაპს იწყებს. პირველი ეტაპი ენერგომაფიის მიერ ათეული მილიონი დოლარის დაკარგვით დამთავრდა. მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ კი, საქართველოს ქცევის სავალდებულო ნორმებს აღარ დაუწესებენ."**

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწის სოფო გელუკაშვილის თქმით, დააკმაყოფილებენ თუ არა "ლეიბორისტების" სარჩელს, ჯერჯერობით, გაურკვეველია. სასამართლომ მხოლოდ საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

# ოფიციალურად - 75 ათასი

საქართველოში, ოფიციალურად, 75 ათასი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანია რეგისტრირებული. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის გიორგი ნანეიშვილის თქმით, ეს რიცხვი შორსაა რეალობისგან, რადგან ფსიქიკურად დაავადებულთა დიდი ნაწილი ამა თუ იმ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ექიმს ვერ მიმართავს. ფსიქიატრიის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საქართველოში 1995 წლიდან ხორციელდება, მხოლოდ 23-25 ათასი პაციენტის გადაუდებელ, აუცილებელ მკურნალობას უზრუნველყოფს, ანუ ამ პროგრამით ოფიციალურად აღრიცხულ პაციენტთა 30 პროცენტი სარგებლობს. თუმცა ვერც ისინი იღებენ სრულყოფილად ამ დახმარებას, რადგან წლეულს ფსიქიატრიის პროგრამა, ჯერჯერობით, მხოლოდ ივნისის თვის ჩათვლით არის დაფინანსებული.

*მედია-ნიუსი*

# ორი დღე არჩევნამდე

*ვანო ზოდელავა ფიროსმანის ქუჩელებს "აშენებას" ჰპირდება.*

ეროვნული ლიბერალური ფორუმი

*მერია ორ დღეში ფიროსმანის ქ.N36-38-ში დანგრევის პირას მისული სახლების ადგილას მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის დაწყებას აპირებს. ინვესტორის ვინაობას ჯერ არ ახმაურებენ. მოსახლეობა ამ ამბავმა გაახარა, თუმცა, ზოგიერთს მერიის მიერ შეთავაზებული პირობები არ აკმაყოფილებს.*

ნანა ქადაგიძვილი

ფიროსმანის ქ.№36-38-ში მდებარე სახლები კარგა ხანია წითელ ზოლშია შესული. მინისძვრის შემდეგ №38 საერთოდ დაინგრა, №36-ს კი დანგრევამდე ბევრი აღარაფერი უკლია. №38-ის მობინადრეები მალევე გაასახლეს და ბინებით დააკმაყოფილეს. №36-ში მცხოვრებ 5 ოჯახს მერიამ ფული შესთავაზა, მაგრამ მოსახლეობას ეს თანხა ეცოტავა და არ დათანხმდა. ამჯერად მათ უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ. ინვესტორი (როგორც შევიტყვეთ, იგი უცხოელი უნდა იყოს) აღნიშნული ორი სახლის ადგილას ერთ მრავალსართულიან სახლს ააშენებს, სადაც, როგორც ქალაქის მთავარი არქიტექტორი ამბობს, პირველი სართულები ოფისებსა და სავაჭრო ობიექტებს დაეთმობა, ზედა სართულები კი საცხოვრებელი იქნება. მოსახლეობას შეუძლია აირჩიოს: ან ახლად აშენებულ სახლში კუთვნილი ფართის ბინით დააკმაყოფილებენ, ან ბინას სხვა ადგილას უყიდიან. **"ეს სახლი, მაქსიმუმ, წელიწადნახევარში აშენდება, მის მშენებლობას სამ დღეში დავიწყებთ. თუკი აქ დარჩენას გადაწყვეტთ, მის აშენებამდე ბინის ქირას გადაგიხდით და ხელშეკრულებებსაც გაგიფორმებთ. ეს ყველაფერი ამ სამ დღეში მოგვარდება,"** – განუცხადა გუშინ ქალაქის მერმა ფიროსმანის №36-ის მობინადრეებს.

აღნიშნულ სახლში მცხოვრები 5 ოჯახიდან ბინის სხვა ადგილას ყიდვას მხოლოდ ერთი მათგანი ითხოვს, დანარჩენს ადგილზე დარჩენა უნდა, თუმცა, როგორც მათი საუბრიდან ირკვევა, მერიის მიერ შეთავაზებულ პირობებზე დათანხმებას იოლად არ აპირებენ. **"მერიას, მაინც და მაინც, არჩევნების წინ გავახსენდით. 3 დღეში უნდა ყველაფრის გადაწყვეტა. ხელშეკრულებას კი გაგვიფორმებენ, მაგრამ მაინც გვიჭირს ამ მთავრობის ნდობა - რამდენი ხელშეკრულება გაუფორმებია და არ შეუსრულებია. აქედან იმ შემთხვევაში გავალთ, თუკი საცხოვრებელ პირობებს გაგვიუმჯობესებენ, მაგალითად, მრავალშვილიანი ოჯახი ორ ოთახში ცხოვრობს, მას სამი ოთახი მაინც უნდა მისცენ. თუ არადა, აქ მშენებლობას ვერავინ დაიწყებს,"** – გვითხრეს ფიროსმანის №36-ში მცხოვრებლებმა. თუმცა, მათ შორის უფრო შორსმჭვრეტელებიც აღმოჩნდნენ. ჩვენი სახლი დღითიდღე ინგრევა და ზედმეტს ნუ მოვინდომებთ, ისიც არ დავკარგოთ, რასაც გვთავაზობენო, ურჩია მეზობლებს ერთ-ერთმა მობინადრემ.

ასე რომ, ფიროსმანის №36-ის მობინადრეებს მოსაფიქრებლად ორი დღე დარჩათ. მერია მათთვის კუთვნილ ფართზე მეტის მიცემას არ აპირებს.

ზღვარზე

# საშუალო ფენა - ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გარანტია

*განვითარებულ ქვეყნებში ქვეყნის ორიენტაციასა და მის კურსს საშუალო ფენა განსაზღვრავს და არა ერთი მუჭა ოლიგარქიული ჯგუფები. ეს ბუნებრივია, რადგან ეს ფენა, როგორც წესი, საზოგადოების უდიდეს ნაწილს შეადგენს, თანაც სწორედ იმ ნაწილს, რომლის კეთილდღეობაც უშუალოდ არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ არჩეულ კურსზე, მის პოლიტიკასა და ეკონომიკურ მოწყობაზე. "საშუალო ფენის განმტკიცება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საფუძველია," – ასე მიიჩნევენ ექსპერტები. საქართველოში კი, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს სახელმწიფო საარსებო მინიმუმზე ნაკლებ თანხას უხდის, ხოლო პენსიონერები თვეობით ელოდებიან კუთვნილ ხელფასებს, ხალხი, ვინც ეს ფენა უნდა შექმნას, სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.*

მაია ურუშაძე

საშუალო ფენის წარმომადგენლებისთვის არ არის განსაზღვრული შემოსავალი, რაც მათ ამ სოციალურ ჯგუფს მიაკუთვნებს. იმისათვის, რომ ჩინოვნიკი თავის თავს ამ ფენასთან აიგივებდეს, მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო – მას უნდა შეეძლოს თანხების დაგროვება და ინვესტირება. აქედან გამომდინარე, დღეს საქართველოში საშუალო ფენას პირობითად ის ერთეულები შეიძლება მივაკუთვნოთ, ვინც საბანკო სექტორში ან უცხოურ კომპანიებში მუშაობენ და მათი ხელფასები 1000-დან 3000 ლარამდე მერყეობს. ან ის თითზე ჩამოსათვლელი წარმატებული ბიზნესმენები, რომელთაც ამ ოდენობის თანხა თავისი ბიზნესიდან მოგების სახით რჩებათ. ამ ადამიანთა შემოსავლები, ხშირ შემთხვევაში, შურის საგანი ხდება. ასეთი შურის ობიექტები კი, რეალურად, იმდენად ცოტანი არიან, რომ მათი ცალკეულ სოციალურ ჯგუფად გამოყოფა შეუძლებელია.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, საქართველოში საშუალო ფენის, როგორც საზოგადოების ნაწილის არარსებობის ძირითად მიზეზად ეკონომისტები ქვეყნის სიღატაკეს ასახელებენ. არ არსებობდეს საშუალო ფენა, ეს ნიშნავს, რომ არიან მხოლოდ ერთეულები, ვისაც საშუალება აქვს, საკუთარი შრომით უზრუნველყოს ოჯახის კეთილდღეობა და საკუთარი სიბერე.

ადრე, საბჭოთა პერიოდში მთელი საზოგადოება, ფაქტობრივად, საშუალო ფენას მიეკუთვნებოდა. ადამიანები დროულად იღებდნენ პენსიებს, ხელფასებს. მათ ჰქონდათ საშუალება, დაეგროვებინათ თანხა. იმის გარანტიებს კი, რომ მათი სიბერე უზრუნველყოფილი იქნებოდა, სახელმწიფო იძლეოდა.

**"საბჭოთა პერიოდში დიდი ქონების დაგროვება ნიშნავდა ქურდობას,** - იხსენებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი რომან გოცირიძე, - **ამიტომ არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები. საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ კი, საშუალო ფენა მას შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო, რაც ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა დაიწყო."**

რეალურად, საშუალო ფენა მასწავლებლების, ექიმების, ინჟინრების, სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტთა მიერ უნდა წარმოქმნილიყო. თუმცა, იმის გამო, რომ საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც ეს ფენა უნდა შეექმნა, ბიუჯეტის ამარა აღმოჩნდა, ეს ფენა გაღატაკდა. **"გაუცემელი ხელფასები, დაგვიანებული პენსიები, დაუფინანსებელი დახმარებები – ეს ყველაფერი ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას უშლის ხელს,"** – აცხადებს ფინანსთა ყოფილი მინისტრი და საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძის" ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ზურაბ ნოღაიდელი.

საშუალო ფენის პოტენციურ წარმომადგენელთა მეორე ნაწილისთვის კი – საშუალო ან მცირე ბიზნესმენებისთვის – სახელმწიფომ ვერ შეძლო ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. დაბეგვრის მოუქნელმა სისტემამ და კონტრაბანდული ნაკადების უკონტროლობამ მცირე ბიზნესის წარმოების არარენტაბელობა განაპირობა. ამის გამო, **"დღეს საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესი. ის კი, რასაც დღეს მსხვილ ბიზნესს ვეძახით (ერთი-ორი მსხვილი სახელმწიფო საწარმოს გარდა), რეალურად საშუალო ბიზნესია,"** – ასე აფასებს ქვეყნის ეკონომიკურ სპეექტრს რომან გოცირიძე.

ყოველივე ამან ხელი შეუშალა საშუალო ფენის წარმოქმნას და შედეგად მივიღეთ საზოგადოება, სადაც უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, აბსოლუტური უმცირესობა კი ძალიან მდიდარია.

ამავე დროს, **"საშუალო ფენის არსებობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მყარ საფუძველს იძლევა, რადგან ადამიანები, ვინც თავის მატერიალური საკუთრების დაცულობას გრძნობს, ვინც მომავლის გარანტიებს ხედავს, ქვეყანაში წესრიგისა და სტაბილურობის დაცვას ცდილობს და მემარჯვენე იდეოლოგიას ემხრობა,"** – მიიჩნევს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და მრავალი მაკროეკონომიკური სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი ლადო პაპავა. მისი შეფასებით, სწორედ საშუალო ფენის არარსებობა განაპირობებს იმას, რომ დღეს საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა მემარცხენე იდეოლოგიის მატარებელია.

სად არის გამოსავალი? რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ არავითარი სოციალური პროგრამა საშუალო ფენის ფორმირებაზე ზეგავლენას არ ახდენს. **"სოციალური პროგრამები – ეს ძალიან მწირი შემოსავლებია, რაც სიღარიბის ზღვრის დონეზე გაიცემა. 118 ლარია საარსებო მინიმუმი, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს კი ხელფასები 100 ლარიც არა აქვთ."** გოცირიძე გამოსავალს სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობასა და სოციალურ დარგებში საბაზრო ნორმების დამკვიდრებაში ხედავს. **"სოციალური დარგების ბაზრის განვითარება, ანუ კერძო უმაღლესი სასწავლებლები და ჯანდაცვის ობიექტები – აი გზა საშუალო ფენის ფორმირებისაკენ. კერძო კლინიკისა თუ სასწავლებლის თანამშრომლები საშუალო ფენას შექმნიან, სახელმწიფომ კი ღარიბებსა და სიღარიბის შემცირებაზე, ანუ დაუცველთა დაცვაზე უნდა იზრუნოს,"** - მიიჩნევს ექსპერტი.

ლადო პაპავას აზრით, სოციალური პროგრამები არ არის მთავარი. "საშუალო ფენის ფორმირებისთვის აუცილებელია, რომ დაცული იყოს საკუთრების უფლება და კრიმინოგენული ვითარება გაუმჯობესდეს. **"როცა მცირე მეწარმეები კრიმინალების მხრიდან მუდმივ საფრთხეში არიან, ისინი ვერ შექმნიან ძლიერ ბიზნესს,"** – მიიჩნევს პაპავა.

ზურაბ ნოღაიდელი კი თვლის, რომ საქართველოსთვის სოციალურ პროგრამებს გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შეიძლება ჰქონდეს სხვა ქვეყანაში. **"საქართველოში სოციალური სტაბილურობა ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია, რაც მთელმა მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში,"** – აცხადებს ექსპერტი. მისი შეფასებით, სწორედ სოციალური სტაბილურობაა ამოსავალი წერტილი იმისათვის, რომ ქვეყანაში არ მოხდეს სოციალური აფეთქება, ხოლო უცხო ძალებმა ღარიბი ხალხის უკიდურესი გაღიზიანება ქვეყნის საწინააღმდეგო ინტერესებისთვის არ გამოიყენონ.

ექსპერტთა შეფასებით, საბოლოოდ, იმისათვის, რომ საშუალო ფენა ბოლოსდაბოლოს ჩამოყალიბდეს, საჭიროა წამდაუწუმ არ ირღვეოდეს ბიუჯეტი და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებსა და პენსიონერებს კუთვნილი თანხები დროულად ეძლეოდეთ.

**"ეკონომიკა ინერციული სფეროა,** - აცხადებს ნოღაიდელი, - **ამის გამო, თუ ხელფასებისა და პენსიების პრობლემა არ მოგვარდა, სიღარიბის გაღრმავება 2004 წლიდან კვლავ გაგრძელდება. იმის გარანტიები კი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არ გაირღვევა და ჯანდაცვისა და სოციალური ხარჯები შეუფერხებლად დაფინანსდება, არ ჩანს."**

*პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.*

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** გუშინ ბოლნისსა და დმანისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ეწვია. უწმინდესის ქვემო ქართლში სტუმრობა ბოლნისით დაიწყო, სადაც ეპარქიის საკათედრო ტაძარში, ბოლნისის სიონში წირვა აღავლინა. დაათვალიერა რეგიონის ახალაშენებული და მშენებარე ეკლესია-მონასტრები, რესტავრირებული წუღრუღაშენის ეკლესია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა კატეგორიულად მოითხოვა მარნეულისა და გარდაბანის რაიონების ხელმძღვანელებისგან, გადაიხადონ სასმელი წყლის საფასური, რომელმაც უკვე მილიონ ლარს მიაღწია. ქალაქის მერმა მკაცრად გააფრთხილა „რუსთავწყალის" დირექტორი ბონდო გონგაძე, 10 ოქტომბრამდე დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, შეუწყვიტოს სასმელი წყლის მიწოდება დავალიანების მქონე რაიონებს. მისი თქმით, სასმელი წყლის დეფიციტი ისედაც მწვავედ იგრძნობა ქალაქში და ურჩი გადამხდელებისათვის დახმარების გაწევას აღარ აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მესტია.** მესტიის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ათასამდე მუშაკი კვლავ უიმედოდ ელის კუთვნილი 2001 წლის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს ხელფასებს, რომლებიც წლეულს დაუდგენელმა პირებმა ყოფილი „აგრობანკის" (ამჟამინდელი „სახალხო ბანკის") ავტომანქანაზე თავდასხმის შედეგას გიტაცეს. როგორც მესტიის რაიონის განათლების მუშაკთა პროფესიული რაიონული კავშირის თავმჯდომარემ ეთერ რატიანმა განაცხადა, 2001-2002 წლებში დახმარებისთვის ორჯერ წერილობით მიმართეს პრეზიდენტ შევარდნაძეს და სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, თუმცა დღემდე პასუხი არავის გაუცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა" 9 აპრილის ბაღში მიმდინარე თეატრ „გლობუსის" მშენებლობას აპროტესტებს. როგორც ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა რუსუდან სიმონიძემ განაცხადა, თეატრის მშენებლობა ბაღში უკანონოდ მიმდინარეობს. „მწვანეთა მოძრაობა" 9 აპრილის პარკში ხვალ საპროტესტო ლოზუნგებით აპირებს გამოსვლას. მათ ხელოვნების მოღვაწეები და მხატვართა კავშირის წევრებიც შეუერთდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციისა და მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით, 15 ოქტომბერს ჰარვარდის უნივერსიტეტის ორი ექსპერტი განათლების სამინისტროს ეწვევა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ექსპერტები ქართველი სპეციალისტებისთვის რეკომენდაციებს მოამზადებენ, თუმცა მანამდე უცხოელები შეეცდებიან გაერკვნენ, რა თანხები იხარჯება საქართველოში მთლიანად საგანმანათლებლო სისტემაზე და მისთვის განკუთვნილი თანხები როგორ ნაწილდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს „თბილგაზი" დედაქალაქის რაიონებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენას განაგრძობს. „თბილგაზში" შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, ამჟამად აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს სანზონის და თემქის დასახლებაში, მისი მიმდებარე მიკრორაიონებითურთ; სამუშაოები 6 ოქტომბერს დაიწყო და 9 ოქტომბრისთვის დასრულდება. 10 ოქტომბერს დასრულდება ისან-სამგორის რაიონის სრული გაზმომარაგება, ამ რიცხვამდე გაზის მიწოდება არ აღუდგება მხოლოდ ავლაბრის მოსახლეობას, იქ მიმდინარე გაზგაყვანილობის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ფოთი.** საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის რამაზ ურუშაძის განცხადებით, ფოთში ნაწლავური ინფექციის აფეთქება დაფიქსირდა. 250 ადამიანი, სავარაუდოდ, წყლისმიერი მოწამვლით, მკურნალობას ფოთის ინფექციურ საავადმყოფოში გადის. ინფიცირებულთაგან სხვადასხვა ასაკის 60 ბავშვია, მათ შორის ერთი - წლისა და 8 თვის. ურუშაძის თქმით, ინფექციის გავრცელება ძლიერმა წვიმამ განაპირობა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში 9 თვის შედეგების მიხედვით, 34 მლნ. ლარის გარღვევა დაფიქსირდა. ფონდის გენერალური დირექტორის ირაკლი კოპლატაძის განცხადებით, ეს ის თანხაა, რისი დაფინანსებაც ფონდმა პენსიებისა და ჯანდაცვის პროგრამების სახით ვერ შეძლო. ამჟამად საპენსიო ფონდი ქვეყნის მასშტაბით მაისის თვის პენსიებს აფინანსებს, ხოლო თბილისში აგვისტოს თვეს. მაისის დაფინანსებაც მხოლოდ გუშინ დაასრულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტერენტი გრანელის ქუჩაზე უახლოეს მომავალში წყლის მილები და ძველი კომუნიკაციები შეიცვლება. როგორც თბილისის მერიაში განაცხადეს, „თბილწყალკანალმა" სამუშაოები უკვე დაიწყო, ძველი კომუნიკაცია მთლიანად იცვლება და ახალი სანიაღვრე კოლექტორები კეთდება. სამუშაოები, სავარაუდოდ, თბილისობის დღესასწაულისთვის დასრულდება, რის შემდეგაც ტერენტი გრანელის ქუჩაზე ახალი ასფალტიც დაიგება. სამუშაოები მთლიანად თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდება. **ინტერ-პრესი**

## ორ უკრაინელს ერაყში სამუდამო პატიმრობა ემუქრება

ერაყის სასამართლომ ორშაბათს დაიწყო უკრაინის ორი მოქალაქის საქმის განხილვა. მათ ბრალდებათ დიზელის საწვავის კონტრაბანდა. ტანკერ "ნავსტარის" კაპიტანი ნიკოლაი მაზურენკო და მისი თანაშემწე ივან სოშჩენკო აგვისტოში დააპატიმრეს. ისინი 3,5 ათასი ტონა საწვავის უკანონოდ შეძენაში დაადანაშაულეს. ორივე მათგანს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. სასამართლო პროცესზე მაზურენკომ მოყვა, რომ "ნავსტარმა" საწვავი ბახრეინიდან ერაყის პორტ უმ-კასრში ჩაიტანა. რის შემდეგაც მას დუბაიში მცხოვრები გემის მეპატრონის სახელით დაურეკა ვინმე მუსტაფამ და გაშლილ ზღვაში მყოფი თევზსაჭერი გემებიდან დიზელის საწვავის შეძენა დაავალა. კაპიტანი აცხადებს, რომ ამ დავალების შესრულებაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** შსს-ს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის აეროპორტში ყაჩაღობისა და მკვლელობისათვის ძებნილი, 25 წლის როსტევან სახოკია დააკავეს.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, 24 აგვისტოს სახოკიამ, ამჟამად უკვე პატიმრობაში მყოფ გოჩა და ლაშა მიქავებთან ერთად, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფეს ტერიტორიაზე დააყაჩაღა მიკროავტობუსი და დაჭრა ძმები - ბაკურ და მერაბ გახარიძეები, რომლებიც გარდაიცვალნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ მესხეთში დააკავეს ავტომანქანების გატაცებაში ეჭვმიტანილი ორი ქუთაისელი ახალგაზრდა. დაკავებისას ეჭვმიტანილებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს.

14 სექტემბერს ეჭვმიტანილებმა ქუთაისიდან გაიტაცეს მიკროავტობუსი "ფორდი", მოგვიანებით კი ბაღდათის რაიონიდან - "ვაზ-21-06" მარკის ავტომანქანა.

ბოროტმოქმედების დაკავებისას ატეხილი ორმხრივი სროლის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო ქუთაისის პოლიციის თანამშრომელმა თამაზ პაპიძემ, ზვიად სირბილაძე კი ფეხის არეში დაიჭრა და ამჟამად პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ წყალტუბოს საავადმყოფოში იმყოფება. უღრელიძე დროებითი დაკავების საკანშია მოთავსებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის "პრესისა და მასობრივი ინფორმაციების სხვა საშუალებების შესახებ" კანონების მთელი რიგი მუხლების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას მოითხოვს.

დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია განიხილავს " ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სარჩელს. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონებით წესდება ცენზურა, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება, გაერთიანების თავისუფლება და საკუთრების უფლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციელებმა ძარცვის ბრალდებით დააკავეს სამი არასრულწლოვანი, რომელთაც ბრალად ედებათ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სოფიო დემეტრაშვილისთვის ხელჩანთის წართმევა, რომელშიც 180 ლარი იდო.

საქმეს იძიებს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, დილით, ავჭალის №6 მკაცრი რეჟიმის დანესებულების თანამშრომლებმა კოლონიის შემოწმებისას საცხოვრებელი კორპუსის სხვენზე აღმოაჩინეს 20 ლიტრი ალკოჰოლური სასმელი „ბრაგა“. „ბრაგას“ პატიმრები პურის საფუარის გამოყენებით ამზადებენ. ავჭალის კოლონიიდან ბოლო ორი კვირის განმავლობაში ალკოჰოლური სასმელი მესამედ ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა ანაზღაურება დღიური 3 ლარიდან 6,5 ლარამდე გაიზრდება. უზენაეს სასამართლოში მსაჯულები მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას ჰყავს. მსაჯულები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან, რომლებიც საქმის განხილვაში მონაწილეობენ. უზენაეს სასამართლოს 20-მდე მსაჯული ჰყავს. სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი სასამართლო რეფორმის შემდეგ მხოლოდ უზენაეს სასამართლოში დარჩა. რაიონულ სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებს მოსამართლეები ერთპიროვნულად იხილავენ. **მედია-ნიუსი**

# ფოთში ტელეკომპანიის შენობა დაიწვა

თამარ კაკიტაძე

*მეხანძრეებმა ტელეკომპანიის შენობის გადარჩენა ვერ მოახერხეს.*

რამდენიმე დღის წინ ქალაქ ფოთში დამოუკიდებელი გაზეთი "ფოთი" გაქურდეს. გუშინ კი ფოთის მუნიციპალური ტელეკომპანიის - "ფაზისის" შენობას ხანძარი გაუჩნდა.

ხანძრის შედეგად მთლიანად დაიწვა ადმინისტრაციული კორპუსის ორსართულიანი შენობა, აგრეთვე საინფორმაციოს სტუდია, სამონტაჟოები და თემატური სტუდია.

**"მართალია, სახანძრო მანქანები ხანძრის დაწყებისთანავე მოვიდნენ, მაგრამ მეხანძრეებმა ცეცხლის ჩაქრობა რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ შეძლეს. ხანძარს ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა - ორი სამონტაჟო კომპიუტერი და ორი კამერა. არადა, ახალი სამონტაჟო ტექნიკა რამდენიმე თვის წინ შევიძინეთ, მაგრამ...".** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ტელეკომპანიის დირექტორმა ლეილა კაკულიამ.

რატომ გაუჩნდა ტელევიზიის შენობას ცეცხლი, ამაზე ლეილა კაკულია ვერაფერს ამბობს; წინასწარ პროგნოზს ვერც ფოთის სახანძრო პოლიცია აკეთებს (სხვათა შორის, ტელევიზიის შენობის გადასარჩენად მობილიზებული იყო ხობის, სენაკისა და ლანჩხუთის სახანძრო რაზმები).

ადგილობრივი ენერგოკომპანიის უფროსი გამორიცხავს ვერსიას, თითქოს ხანძრის გაჩენის მიზეზი ელექტროენერგია გახდა, რადგან ის ფიდერი, რომლითაც ტელეკომპანია მარაგდება, ხანძრის გაჩენის დროს გამორთული იყო.

"ფაზისში" მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სახანძრო პოლიციამ მოკვლევა გუშინვე დაიწყო. მეხანძრეთა ვარაუდით, რამდენიმე დღეში ცნობილი გახდება ხანძრის გაჩენის მიზეზიც და, აქედან გამომდინარე, მასზე პასუხისმგებელიც. მაგრამ ვინ და როდის აანაზღაურებს ტელეკომპანიისთვის მიყენებულ ზარალს, წინასწარ ძნელი სათქმელია.

ასევე გაურკვეველი რჩება რამდენიმე დღის წინ გაქურდული გაზეთ "ფოთის" ბედიც. საერთაშორისო პროგრამებზე მომუშავე გაზეთი მეოთხედ გაიქურდა და ფოთის პოლიციის საგამოძიებო განყოფილებამ საქმის გამოძიებაც მეოთხედ დაიწყო. როგორც გაზეთის რედაქტორი ხათუნა ცომაია ვარაუდობს, დამნაშავეები არც აქამდე უპოვია ვინმეს და არც ამ შემთხვევაში იქნებიან გამოვლენილნი. ამის მიზეზი კი, დამოუკიდებელი მასმედიის წარმომადგენლების ვარაუდით, ის არის, რომ სახელმწიფო მოხელეებს დიდი ხანია "თვალში არ მოსდით" გაზეთის მუშაობა. "ფაზისი" ანტიკორუფციულ პროგრამებზე მუშაობდა და სახელწიფო მოხელეთა საფინანსო დეკლარაციებს აქვეყნებდა.

ხათუნა ცომაიას თქმით, მას გააჩნია სერიოზული მასალები იმის დასამტკიცებლად, რომ გაზეთი სწორედ სახელმწიფო მეხელეთა შეკვეთით გაქურდეს. რედაქტორი ამ ინფორმაციების გამოქვეყნებას თბილისში საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გეგმავს. გამოიღებს თუ არა შედეგს ჟურნალისტების მცდელობა - დამოუკიდებლად ეძებონ დამნაშავეები, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია; მაგრამ, როგორც ჩანს, ფოთელ ჟურნალისტებს საკუთარი საქმიანობის დასაცავად სხვა გზა არ რჩებათ...

საინტერესოა, რეგიონში დამოუკიდებელ მასმედიასთან დაკავშირებული ინციდენტები ჩვეულებრივი შემთხვევითობაა, თუ მათ უკან დაინტერესებული ძალა დგას? საბოლოო დასკვნებისგან ჩვენ მაინც თავს ვიკავებთ. ფაქტია ის, რომ საპორტო ქალაქში, რომლისთვისაც საარჩევნო პერიოდში ყოველთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღდება, თავისუფალი სიტყვის ორი საკმაოდ ძლიერი წყარო აღარ არსებობს.

# გალში სიტუაცია კვლავ დაიძაბა

პირველი გვერდიდან

ქართული მხრიდან კომისიაში შედიან: სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილე მებრძოლი ჭკადუა, გალის უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე ზურაბ ლოგუა და ზუგდიდის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე მურთაზ ჭკადუა, რუს მშვიდობისმყოფელთა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის წარმომადგენლები. 9 ოქტომბერს საგამოძიებო ჯგუფი ჭუბურხინჯში დაგეგმილ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე წარადგენს გამოძიების შედეგებს.

შეგახსენებთ, რომ 4-5 ოქტომბერს გალის რაიონის სოფლებში - გაგიდასა და დიხაზურგაში მომხდარი ინციდენტების დროს შვიდი ადამიანი დაიღუპა. აქედან ორი აფხაზია — ხაცბაია და ბებია, ხოლო დანარჩენი - ქართველები.

მომხდარი ინციდენტების გამო ენგურის ხიდზე (აფხაზეთის საზღვარზე) გადასვლის რეჟიმი გამკაცრებულია.

შეგახსენებთ, რომ ინციდენტი ხუთ ოქტომბერს, გამთენიისას მოხდა. "ვოლგის" მარკის მანქანა, რომელშიც აფხაზთა სასაზღვრო ჯარების სამხედრო მოსამსახურე მურმან ტხაიცუკი, მესაზღვრე ფაზლიბეი ბოჯგუა, ბესლან ბებია და მიმოზა გოგოხია ისხდნენ, ჩასაფრებულმა ჯგუფმა ჩაცხრილა. ტხაიცუკი, ბებია და გოგოხია ადგილზე დაიღუპნენ, ხოლო მესაზღვრე ფაზლიბეი ბოჯგუა დაიჭრა. აფხაზ სეპარატისტთა უშიშროების მინისტრის გივი აგრბას ინფორმაციით, მოკლულები ერთ-ერთი ქართული ტერორისტული დაჯგუფების წევრები იყვნენ. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ 2001 წლის ოქტომბერში განხორციელებულ რუსლან გილაევის ბატალიონის კოდორის ხეობიდან აფხაზეთში გადასვლაში. თავდამსხმელები შეიარაღებულნი იყვნენ "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატითა და ტყვიამფრქვევებით. ერთ-ერთ მოკლულს გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლის კამუფლიაჟი ეცვა.

ქართველი სამართალდამცველები კატეგორიულად უარყოფენ არძინბას ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ქართული მხარის განცხადებით, მოკლულია ქართველი ქალი, თავდასხმა კი განახორციელეს იმ აფხაზმა ბოევიკებმა, რომლებმაც ერთ-ერთი ქართული სოფლიდან გაიტაცეს ადგილობრივი მაცხოვრებელები.

**"გაუგებარია, რა ნოტა გააკეთეს აფხაზებმა, რომელ დივერსიულ ჯგუფებსა და ტერაქტებზე საუბრობენ, როცა, ჯერჯერობით, დაუდგენელია, თუ რა მოხდა რეალურად. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ნოტა, რომლის გაკეთების უფლებაც მათ არ ჰქონდათ, მტკნარ სიცრუეზეა აგებული და ეს გაკეთებულია სპეციალურად, რათა აფხაზ სეპარატისტთა დანაშაული დაიფაროს. საინტერესოა, როცა სკანდალი ატეხეს - აფხაზები მოკლესო, რატომ იქვე არ აღნიშნეს, რომ დაიხოცნენ ქართველებიც. რატომ არ გამოთქვეს შეშფოთება მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის დარბევის გამო?**

**რეალურად კი მოხდა ის, რომ ოთხ ოქტომბერს სოფელ გაგიდაში შევიდნენ აფრხაზები და მძევლად აიყვანეს ორი ქართველი - ბარქაია და კვარაცხელია, ორივე მოკლეს და ცხედრები სოფელში დაყარეს, შემდეგ ჩამოიარეს და ქართველების სახლები გადაწვეს - გაგიდაში მორიგი სადამსჯელო ღონისძიება ჩაატარეს. ახლა კი ამბობენ, მებაჟეები დაგვიხოცესო.**

**რაც შეეხება ხუთი ოქტომბრის ინციდენტს: რა შეტაკება მოხდა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. ჩემი ინფორმაციით, ეს იყო აფხაზებს შორის მომხდარი საქმის გარჩევა კონტრაბანდის წილზე. მომხდარი ინციდენტის შემდეგ აფხაზებმა კვლავ ტრადიციული წმენდა მოაწყვეს და მოკლეს ორი ქართველი - ზარანდია და კოპალიანი. სწორედ მათ შესახებ ამბობენ, რომ დაჭრილმა მესაზღვრემ ორი თავდამსხმელი მოკლაო. გაავრცელეს ასევე ინფორმაცია, რომ თითქოს ისინი რაღაც დივერსიული ჯგუფის წევრები იყვნენ და გილაევსაც კი ახლდნენ - დაამძიმეს სიტუაცია. აი, ამ ფაქტების საფუძველზე გაკეთდა ხსენებული ნოტა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ.

გუშინ გვიან ღამემდე გალში იმყოფებოდა და სოხუმელ სამართალდამცველებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი. დიალოგი რამდენიმე საათს გრძელდებოდა და მისი დასრულების შემდეგ აფხაზურმა მხარემ ქართველ სამართალდამცველებს მოკლული ბარქაიასა და კვარაცხელიას ცხედრების გადმოსვენების უფლება მისცა.

# ბერეზოვსკისა და დუბოვს ვერ მიიღებს

სოფიკო ჩხაიძე

*რუსეთი დუბოვს თაღლითობაში სდებს ბრალს.*

ბრიტანეთის ხელისუფლებამ პოლიტიკური თავშესაფარი მიანიჭა რუს ბიზნესმენს იული დუბოვს, რომლის რუსეთში ექსტრადიციის საკითხს ლონდონის სამაგისტრატო სასამართლო ბორის ბერეზოვსკისთან ერთად განიხილავდა. როგორც ცნობილია, სახელგანთქმული რუსი ოლიგარქისთვის ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებას მოჰყვა მის მიმართ დაწყებული სასამართლო პროცესის შეწყვეტა. ახლა იგივე პროცედურა გამეორდა იული დუბოვთან მიმართებაშიც.

როგორც ცნობილია, რუსეთის პროკურატურა დუბოვს თაღლითობაში სდებს ბრალს.

კერძოდ, ბერეზოვსკისაც და დუბოვსაც რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მესამე ნაწილით ედებათ ბრალი, რაც დამამძიმებელ გარემოებებში თაღლითობას გულისხმობს. დანაშაული, რომელშიც მათ ბრალი ედებათ, რუსი სამართალდამცველების მონაცემებით, 1994 წლის ნოემბრიდან 1995 წლის ივლისამდეა ჩადენილი. ამ პერიოდში ბერეზოვსკის "ლოგოვაზის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა, დუბოვი კი იმავე "ლოგოვაზის" გენერალური დირექტორი გახლდათ.

წარდგენილი ბრალდებების გამო მათზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

საერთაშორისო ნორმების თანახმად, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ 2002 წლის ნოემბერში მიმართა დიდი ბრიტანეთის შს სამინისტროს და ბერეზოვსკი-დუბოვის ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტისთვის აუცილებელი დოკუმენტებიც გადაუგზავნა. ახლა კი მათი რუსეთისთვის გადაცემა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა, რადგან ისინი გაერთიანებული სამეფოს დაცვის ქვეშ იმყოფებიან.

ბერეზოვსკის თანამოსაქმემ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით 2002 წლის შემოდგომაზე მიმართა. **"ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგვპირდნენ, რომ თავშესაფრის მინიჭების საკითხი ოქტომბრის დასაწყისისთვის გადაწყდებოდა და ასეც მოხდა. კარგია, რომ პასუხი დადებითია"**, - ამბობს დუბოვის ადვოკატი კერი მონტგომერი.

მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, დიდი ბრიტანეთის სამეფო პროკურატურის წარმომადგენლის ჯონ ჰარდის თქმით (იგი სასამართლოში რუსეთის ინტერესებს იცავს), **"რუსეთის ფედერაციას ჯერ არ გაუწვევია თავისი მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ. ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხომ რუსეთის მხარისთვის არავითარი ახსნა არ წარუდგენია, თუ რამ განაპირობა მისი გადაწყვეტილება".**

ამასთან, ჰარდიმ აღიარა, რომ მოცემულ სიტუაციაში "ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია", თუმცა აღნიშნა, რომ სამეფო პროკურატურა რუსეთის მხარესთან ერთად მოიფიქრებს მოცემულ სიტუაციაში შემდგომი სამართლებრივი მოქმედებების გეგმას.

## ვოლიცველმა ნათესავები დახოცა

ბექა სისაური
*ქუთაისი*

გუშინწინ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში, ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. ზესტაფონის პოლიციის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების ძებნის ჯგუფის უფროსმა მერაბ კუჭუხიძემ, რომელიც ჯერჯერობით დაუდგენელი წარმოების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული, ქალიშვილის - ნანა კუჭუხიძის მამამთილ-დედამთილი - ავთანდილ დალაქიშვილი და ნანა ტლაშაძე დახოცა. პოლიციელი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, მძიმე დაზიანებებით ზესტაფონის საავადმყოფოში მოათავსეს. იგი მიღებული ჭრილობისგან გუშინ გარდაიცვალა.

მეზობლები მკვლელობის მოტივად ოჯახებს შორის კონფლიქტს ასახელებენ. მერაბ კუჭუხიძის ქალიშვილი და ავთანდილ დალაქიშვილის ვაჟი დიდი ხნის გაცილებულნი ყოფილან. თვითმხილველთა განმარტებით, მკვლელობის დღეს ყოფილი სიძე კუჭუხიძეების ოჯახში მისულა და ბავშვის წაყვანა მოუთხოვია, რასაც კონფლიქტი მოჰყვა. მოგვიანებით სიძის ოჯახში საქმის გასარჩევად შეიარაღებული სიმამრი მივიდა. მერაბ კუჭუხიძეს დაპირისპირებული დალაქიშვილებიც თოფით შეიარაღებულნი დახვედრიან. ურთიერთსროლის შედეგად ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო კუჭუხიძე - საავადმყოფოში. ამჟამად, საქმეს ზესტაფონის პროკურატურა იძიებს, ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და თოფი.

ზესტაფონის პოლიციის უფროსი ადასტურებს, რომ მერაბ კუჭუხიძე პოლიციაში მუშაობდა, თუმცა მკვლელობის მოტივებს ვერ აკონკრეტებს.

სამწუხაროდ, აღნიშნული ტრაგიკული ფაქტი ერთადერთი კრიმინალური შემთხვევა არ გახლავთ, რომელიც ბოლო პერიოდში იმერეთში დაფიქსირდა. ცოტა ხნის წინათ ქუთაისელი ბიზნესმენის მურად იობიძის ეზოში, დილის 5 საათზე, გაურკვეველი ასაფეთქებელი ნივთიერება ააფეთქეს. აფეთქებას მსხვერპლი და რაიმე სახის დაზიანება არ გამოუწვევია. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული ფაქტით იობიძის დაშინება სურდათ. ეს ვერსია საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგანაც ორი თვის წინ დაფიქსირდა ქალაქის ცენტრალური მოედნიდან მერაბ იობიძის გატაცების მცდელობა. გამოძიება, ჯერჯერობით, ხელჩასაჭიდ ინფორმაციას ვერ ფლობს; კომენტარისგან თავს იკავებს თავად მურად იობიძეც.

კიდევ ერთი კრიმინალური შემთხვევა რამდენიმე დღის წინ კვლავ ქუთაისში მოხდა. საკუთარ საცხოვრებელ სახლში 38 წლის აფხაზეთიდან დევნილის ასმათ აბსავას გვამი იპოვეს. მას დაზიანებები თავის არეში ჰქონდა მიყენებული. პოლიციის ინფორმაციით, მკვლელობა, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზეა ჩადენილი და ეჭვმიტანილად მოკლული ქალბატონის ქმარი - ბოჩია წულაია მიჩნეული. იგი ამჟამად მიმალვაში იმყოფება.

გასულ კვირას, ქუთაისში, არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის ორი ფაქტი მოხდა.

ერთ-ერთი არასრულწლოვანი საკუთარ საძინებელში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს, ხოლო მეორე – ტყეში, ხეზე ჩამომხრჩვალი. ეს უკანასკნელი, თურმე, ბერად აღკვეცის მოტივით სახლიდან ერთი თვის წინ წასულა. იგი იმ პირადობის მოწმობით ამოიცნეს, რომელიც გარდაცვლილმა თვითმკვლელობამდე ხის ძირას დატოვა.

## მილოშევიჩი ციხიდან დროებით გათავისუფლებას ითხოვს

*მილოშევიჩის მომხრეების აქცია.*

REUTERS

გუშინ, ჰააგაში, მუშაობა განაახლა ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე დანიშნულმა საერთაშორისო ტრიბუნალმა. ტრიბუნალის პრესსამსახურის ცნობით, ექსპრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობა საქმეზე მოსმენების განახლებისა და მისი მოსამართლეების წინაშე წარდგომის საშუალებას იძლევა.

ამ რამდენიმე ხნის წინ სასამართლო მოსმენები სწორედ მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შეწყდა. 30 სექტემბერს გამართულ მოსამართლეთა სპეციალურ სხდომაზე ამავე მიზეზით გადაწყდა, რომ მილოშევიჩის საკითხის მოსმენებს მხოლოდ კვირაში სამი დღე დაეთმოს. კვირის სხვა დღეებში მილოშევიჩს დასვენების საშუალებას მისცემენ. ყოფილი იუგოსლავიის ლიდერის ერთ-ერთი აქტიური მომხრის თქმით, ექსპრეზიდენტი ჯერაც ძალზე დაღლილად გამოიყურება, თავს კვლავაც ცუდად გრძნობს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას სულ ოდნავ თუ ეტყობა გაუმჯობესება. მისივე აზრით, თუ სასამართლო მოსმენები განახლდება, მილოშევიჩი ვერასდროს გამომჯობინდება, რადგან სასამართლოზე დასწრება მისთვის ძალზე დიდი დატვირთვაა. მილოშევიჩის მომხრე მიიჩნევს, რომ სასამართლომ აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს მილოშევიჩის თხოვნა ციხიდან დროებით გათავისუფლების შესახებ; მაშინ იგი დაისვენებს და პროცესისთვის ნორმალურად მოემზადება.

## ხუთი ადამიანის მკვლელ ოთხ ბანდიტს დახვრეტა მიუსაჯეს

ყაზახეთის სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა დანაშაულებრივი დაჯგუფების ოთხ წევრს, რომელთაც ხუთი ადამიანის მკვლელობა ბრალდებათ.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წლის თებერვლიდან ივნისამდე ამ ოთხეულმა ხუთი ადამიანი დახოცა. ხუთივე მსხვერპლი სატვირთო მანქანა "კამაზის" მძღოლი იყო. დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები მძღოლებს კლიენტად ეცნობოდნენ და სამუშაოს – სხვა ქალაქიდან ტვირთის გადაზიდვას სთავაზობდნენ. როდესაც მანქანა უკაცრიელ ტრასაზე გავიდოდა, მძღოლს კლავდნენ, გვამს მალავდნენ, მანქანას ნაწილებად შლიდნენ და ყიდდნენ. დამნაშავეთა აქტიური ძებნა მას შემდეგ დაიწყეს, რაც სამართალდამცველებმა პირველი მსხვერპლის გვამი აღმოაჩინეს. 2002 წლის ივნისში ბანდის ხუთი წევრიდან სამი დააკავეს, ორი თვის შემდეგ დაატაპტიმრეს მეოთხეც. მეხუთე, რომელიც ბანდის ლიდერად მოიაზრება, მხოლოდ 2003 წლის თებერვალში ჩაუვარდა ხელში სამართლადამცველებს. მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, რომ ერთ-ერთი დაკავებული მკვლელობებში უშუალოდ არ მონაწილეობდა.

გამოძიების მონაცემებით, ხუთივე ადამიანის მკვლელობა ჩადენილი იყო წინასწარი განზრახვით და განსაკუთრებული სისასტიკით. ეს ფაქტი სასამართლომ განაჩენის გამოტანისას დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია.

სასამართლო პროცესი 10 თვის მანძილზე მიმდინარეობდა.

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## მენაღარიშვილი ბრალს სდებს და „VII თავს" ითხოვს!

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის გამოსვლა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 58-ე სესიაზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით**

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ირაკლი მენაღარიშვილი*

ბატონო თავმჯდომარეო!

აფხაზეთი, რომელიც სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონტროლირდება, ადამიანებით, ნარკოტიკებით, იარაღით მოვაჭრეების, დამნაშავეებისა და ტერორისტული ჯგუფების თავშესაფრად იქცა. ანტიტერორისტული კომიტეტის ნუსხაში ახლახან შეყვანილი ავადცნობილი შამილ ბასაევი, რომელმაც კიდევ ერთხელ აღუთქვა მეგობრობა სეპარატისტულ რეჟიმს, აფხაზეთში მოქმედ ტერორისტულ ჯგუფებთან აქტიურ კავშირებს ინარჩუნებს (კონფლიქტის პერიოდში ბასაევი სეპარატისტების რეჟიმს ემსახურებოდა თავდაცვის მინისტრის მოადგილის რანგში და განსაკუთრებული დამსახურებისათვის მას უმაღლესი ხარისხის ჯილდო მიენიჭა). უახლოეს მომავალში ანტიტერორისტულ კომიტეტს გადავცემთ შესაბამის ინფორმაციას აფხაზეთში ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულ პირთა შესახებ.

გაერო-ს ძალისხმევა აფხაზეთში, საქართველოს კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით, აშკარად არადამაკმაყოფილებელია. გაერო-ს მონაწილეობის ათ წელზე მეტი დროის განმავლობაში კონფლიქტის მოგვარების რეალურ პერსპექტივას ერთი ნაბიჯითაც ვერ მივუახლოვდით. აფხაზეთში ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები და ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა კვლავაც გრძელდება და ყურადღების გარეშე რჩება. მრავალრიცხოვანი მოწოდების მიუხედავად, წარუმატებელი აღმოჩნდა ჩვენი მცდელობა, გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ფუნდამენტური ნაკლოვანებები გამოგვესწორებინა.

მივესალმებით იმ ფაქტს, რომ გენერალური ასამბლეის ბოლო სესიის შემდეგ ჟენევის პროცესმა ახალი განზომილება შეიძინა და ვიმედოვნებთ, რომ იგი სამშვიდობო ძალისხმევას ახალ სტიმულს მისცემს. თუმცა, მსურს ხაზი გავუსვა, რომ ეს შედარებით ახალი პროცესი ჯერ კიდევ მეტად მყიფეა და იგი შედეგებზე უნდა იყოს მიმართული და არა უშუალოდ პროცესზე. ასევე ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ დსთ-ს ბოლო სამტამა გაამყარა ამ ორგანიზაციის სახელმწიფოს მეთაურთა წინა გადაწყვეტილებები აფხაზეთთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი შეზღუდვების თაობაზე.

მაგრამ მიუხედავად ამ პოზიტიური ნაბიჯებისა, ადგილზე, აფხაზეთში მცირე რამ თუ შეიცვალა. მე ვგულისხმობ რუსეთის მხარის წარმომადგენელთა, განსაკუთრებით კი რეგიონების ხელისუფალთა ცალმხრივ, უკანონო ქმედებებს, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სამშვიდობო პროცესს. კვლავაც დაუბრკოლებლად ფუნქციონირებს სარკინიგზო მიმოსვლა სოჭსა და სოხუმს შორის. გენერალური ასამბლეის ბოლო სესიაზე ჩვენი მონოდებების მიუხედავად, არ შემცირებულა აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივად მინიჭების ტემპი. ქვეყნისაგან მოკვეთილი რეგიონის მცხოვრებთათვის გაცემული რუსული პასპორტები უკვე ხელთ ჩაუვარდათ ტერორისტებს, რომლებიც საუკეთესოდ იყენებენ რუსეთში მიმოსვლის საშუალებას რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზურ და ოსურ მონაკვეთებზე, სადაც რუსეთის მიერ ცალმხრივად უვიზო მიმოსვლა იქნა შემოღებული.

კვლავაც გრძელდება რუსეთის სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საკუთრების, მათ შორის - იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონების უკანონო შეძენა. ზედმეტად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ეს ქმედებები უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართალს, ლახავს საქართველოს სუვერენიტეტს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც სეპარატისტულ რეჟიმთან დადებული ნებისმიერი გარიგება ბათილად ცხადდება.

გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზის უკანონო ფუნქციონირება კიდევ ერთი ელემენტია, რომელიც აფხაზეთში ვითარებას ართულებს. საქართველო მოითხოვს, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებით (CFE) ნაკისრი ვალდებულება ამ ბაზის გაყვანის შესახებ დროულად და ტრანსპარენტულობის სრული დაცვით შესრულდეს.

ჩვენ უნდა შევძლოთ იმედის შენარჩუნება, იმედი იმისა, რომ კიდევ ერთხელ არ ვუმტყუნებთ 300 000 იძულებით გადაადგილებულ პირს და ლტოლვილს, რომელთა მოთმინება უკვე იწურება. უნდა გაორმაგდეს შუამავალთა ძალისხმევა, რათა აფხაზური მხარე დათანხმდეს პოლიტიკური მოლაპარაკებების საფუძვლად თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ, ე.წ. ბოდენის დოკუმენტის მიღებას.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს დსთ-ს სამშვიდობო ძალების უუნარობა დაბრუნებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ფაქტობრივად, ამ ძალებს, რომლებიც გაერო-ს მანდატითაც კი არ სარგებლობენ, არაფერი გაუკეთებიათ სტატუს-ქვოს შენარჩუნების გარდა და დღეს მხოლოდ მესაზღვრის ფუნქციას ასრულებენ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. ვითარების გაუმჯობესების არანაირი იმედი არ უნდა გვქონდეს, ვიდრე გაერო თავად არ განახორციელებს აფხაზეთში სრულმასშტაბიან სამშვიდობო ოპერაციას საერთაშორისო ფორმატით. მხოლოდ გაერო-ს როლის გაზრდითა და საერთაშორისო თანამეგობრობის მონდომებით იქნება შესაძლებელი აფხაზი სეპარატისტების იძულება მისაღები კომპრომისის მისაღწევად. საქართველოს ხელისუფლება ვერ ხედავს სხვა საშუალებას გარდა იმისა, რომ უშიშროების საბჭოს გაერო-ს წესდების VII თავით გათვალისწინებული ზომების გამოყენება სთხოვოს.

### მეოთხრები

## „გიგანტ მისლი"

ეს სახელი ავღანელთა ბატალიონის ბიჭებმა თანამებრძოლ კახა ჯოჯუას შეარქვეს. ფიზიკურად ისეთი სუსტი ადამიანები, საბჭოთა კანონებით, ჯარში საერთოდ არ მიჰყავდათ, მაგრამ კახამ ავღანეთში იმსახურა და სახლშიც ცოცხალი დაბრუნდა.

მერე იყო ცხინვალი და აფხაზეთი. აფხაზეთში მოხვედრა ცოტა გაუჭირდა, მის ფიზიკურ მონაცემებს იწუნებდნენ, მაგრამ კახამ ავღანელთა ბატალიონის შემადგენლობაში ჩაწერა და ომში წასვლა მაინც მოახერხა.

ყველაზე თავმდაბალი იყო, ავადმყოფ თანამებრძოლებს საკუთარი ნება-სურვილით ემსახურებოდა და "მაგარი" ბიჭებისაგან განსხვავებით შინაგანაწესით გათვალისწინებულ სამხედრო მოვალეობასაც უსიტყვოდ ასრულებდა. თუ ვინმეს ძალიან უჭირდა ღამით გაღვიძება, იმის მაგივრადაც მორიგეობდა.

მერე ისე მოხდა, რომ პირველი ტყვიაც მან მიიღო. არავინ იცის, ვის ჩაენაცვლა ამ შემთხვევაში, მაგრამ მისი ვაჟკაცობის ამბავმა ყველა განაცვიფრა. კინდღში, ფერდობზე დაკიდებულს უწია სნაიპერის ტყვიამ და მკლავი გადაუმტვრია, მაგრამ კახას, თურმე, ხმა არ ამოუღია. მაშინაც ჩუმად ყოფილა, როცა საკაცეზე დაწოლილს "ბმპ"-სკენ მიარბენინებდნენ, არც ტკივილისგან დაუკვნესია და არც მისთვის შეუგინებია, ვინც ასე ხელის გულზე დაუსვა მტერს ბიჭები.

ცოტა ხანში სნაიპერს მეორედ გაუსვრია და კახა არც ამჯერად შერცხვენილა. იმ ოთხი კაციდან, ვისაც საკაცე მიჰქონდა, ტყვია ყველას ასცდენია და კახას გულში მოხვედრია.

მაშინ გაუგიათ ყრუ ამოოხვრა. სული ამოვიდა, ალბათ, ხმაურითო.

მას შემდეგ კახა ჯოჯუას სადღეგრძელო ყოველ შეკრებაზე ისმევა. კაცი ყოფილა, ძმაო, დიდი კაციო! – ამბობენ "ავღანელი" ბიჭები.

# „მთავარია, ჩვენ ვიყოთ მზად!"

**ამბობს ისტორიკოსი ვალერი ვაშაკიძე, რომელიც 10 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი.**

*ვალერი ვაშაკიძე თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი გახდა. როგორც თავად ამბობს, ღმერთის დიდი წყალობით, მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო და დღემდე არის აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი. ისტორიის მეცნიერებათა ახალგაზრდა კანდიდატი ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალურ სტრუქტურაზე და საქართველოს ისტორიის ბერძნულ წყაროებზე მუშაობდა. შემდეგ მეგობრებთან ერთად აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და პირველი არაფორმალური ორგანიზაციის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახდა. ომიანობის დროს მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტებში, სადაც უახლოესი მეგობრები დაკარგა. შემდეგ 1992-1995 წლების პარლამენტის მოწვევის წევრი იყო. 1992 წლის 24 ნოემბრიდან 2003 წლის 10 იანვრამდე კი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ხელმძღვანელობდა. ასეთი მდიდარი ბიოგრაფიისა და გამოცდილების პატრონი, საკუთარი განცხადების საფუძველზე ისე ჩუმად გადადგა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. დღეს იგი კვლავ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა. არის ისტორიის ინსტიტუტის მშობლიური კოლექტივის წევრი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ვალერი ვაშაკიძე: "ჩვენ ვართ მზად?"*

### ზაზა ფაჩუაშვილი

**- ბატონო ვალერი, რატომ გადადექით, მით უმეტეს, პრეზიდენტი არ გიშვებდათ?**

- კი, ნამდვილად ასე იყო, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო, ჩემი ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევდა აქტიური მუშაობის საშუალებას.

გაგრაში მიღებული მძიმე ტრავმის შედეგად სერიოზულად მაწუხებდა ხერხემალი. როგორც ჩანს, თავის დროზე ყურადღება ვერ მივაქციე და ბოლოს ისე შემაწუხებელი გახდა ეს ტკივილები, რომ იძულებული გავხდი, ოპერაცია გამეკეთებინა. შემდეგ 6 თვე ვიწექი. ჩემთვის არ შეიძლებოდა დიდხანს ჯდომა, ნერვიულობა, დიდ მანძილზე გადაადგილება. მე კი მინისტრობის დროს ძალიან ხშირად მიწევდა მგზავრობა ქვეყნის ყველა კუთხეში, სადაც დევნილები არიან. აქედან გამომდინარე, ან ფორმალურად უნდა დავრჩენილიყავი თანამდებობაზე, ან სხვა საქმისთვის მომეკიდა ხელი და... დავუბრუნდი ჩემს ხელობას - სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

**- თქვენი მინისტრობის 10 წლის მანძილზე როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები დევნილთა დაბრუნების შესახებ?**

- არ მახსოვს ოდესმე, ამ ხნის განმავლობაში, შესაძლებელი ყოფილიყო დევნილთა ღირსეული, ხაზს ვუსვამ, ღირსეული დაბრუნება.

1994 წელს მე თავად გახლდით ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც სწორედ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაზე მუშაობდა. ეს ჯგუფი აწარმოებდა მოლაპარაკებებს სოჭში, რომელიც გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ეგიდით იმართებოდა და რომელშიც, ჩვენს გარდა, აფხაზური და რუსული მხარეები მონაწილეობდნენ.

ადამიანებმა უნდა იცოდნენ, სად და რა სტატუსით ბრუნდებიან, რამდენად იქნება დაცული მათი უსაფრთხოება და უფლებები (თორემ ისე ქართველების მონებად დაბრუნების წინააღმდეგნი არც მაშინ იყვნენ და არც დღეს არიან).

ღირსეული დაბრუნების პროცესი კი სისხლხორცეულად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოლიტიკური სტატუსის მქონე ტერიტორიაზე უნდა დაბრუნებულიყვნენ დევნილები.

ჩვენს მიერ ამ საკითხის წამოჭრისთანავე, მოლაპარაკებები ჩიხში შედიოდა, იმიტომ, რომ ამაზე უკვე სხვა ჯგუფი მუშაობდა, რომელიც მოლაპარაკებებს ჟენევაში აწარმოებდა.

პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, რა თქმა უნდა, დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ აქამდე ჩვენ ვერ მივედით.

დღეს აფხაზები ამბობენ: ხომ დაბრუნდნენ გალში დევნილებიო. კი, მოხდა სპონტანური დაბრუნება, მაგრამ ხალხი იქ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იმყოფება. ეს არის ცხოვრება?!

გაიხსენეთ 1998 წლის მაისის მოვლენები გალში, ამ სპონტანურად დაბრუნებული ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, გამორეკვა. აფხაზურმა დამსჯელმა რაზმებმა 90 წელს გადაცილებული ქალბატონი საკუთარ სახლში დაწვეს. ამიტომ არ მესმის, ასეთ ვითარებაში რომელ დაბრუნებაზეა ლაპარაკი.

**- აფხაზების მხრიდან თუ იყო ისეთი რაციონალური წინადადება, რომელიც პერსპექტივის საშუალებას იძლეოდა?**

- 1994 წელს, სულ ცოტა, 13-14 მოლაპარაკება გაიმართა, რომლის დროსაც აფხაზურ მხარეს არანაირი რაციონალური წინადადებები არ წამოუყენებია.

ვიმეორებ, ამ კონფლიქტში მთავარია აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. თუ გულწრფელები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი დღეს ჩიხშია შესული. საჭიროა რაღაც გარღვევა. შესაძლოა, რომელიმე დიდ სახელმწიფოში სიტუაცია ისე შეიცვალოს, რომ აფხაზებმა სხვანაირი საუბარი დაიწყონ.

აქვე ერთი რამეც უნდა ვიკითხოთ – ჩვენ თვითონ მზად ვართ აფხაზეთში დასაბრუნებლად? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდით, როგორც სახელმწიფო. აფხაზი რომ გადმოიხედავს ენგურს აქეთ და დაინახავს უშუქობას, უგზობას, უწყლობას და უამრავ სხვა პრობლემას, ჩვენთან ცხოვრების სურვილიც კი არ გაუჩნდება.

მე მარტივ პრობლემებზე ვლაპარაკობ, თორემ, სინამდვილეში ჩვენ საკუთარი ხელით აღვმართეთ გაცილებით უფრო დიდი ბარიერები, იმით, რომ არ გაგვაჩნია ღირსება, სახელმწიფოებრივი სიამაყე, ეროვნული თვითმყოფადობის მოთხოვნილება და ა.შ. სიმართლე გითხრათ, ამაზე მოფიქრალი ხალხიც ვერ ვნახე. ვინც არიან, ისინიც არ ჩანან. ყველაფერი წალეკა ცილისწამებამ, ბალღამმა და შურმა. ჩვენ რომ სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე ქმედითი ნაბიჯები გადაგვედგა, მოლაპარაკების მაგიდასთან აფხაზური მხარე უფრო დიდ პატივს გვცემდა.

სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური აზროვნება ძალიან დაბალ დონეზეა. ერთს აკვიატებული აქვს "მხოლოდ მშვიდობიანი გზა", მეორეს "მხოლოდ ძალისმიერი მეთოდი", მესამე რუსეთს შეჰყურებს, მეოთხე – ამერიკას. არც ერთს არ უთქვამს: კი, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა რა უნდა გავაკეთოთ?!

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებისთვის სახელმწიფომ ყველა გზა და ხერხი უნდა გამოიყენოს. მხოლოდ რევანშისტული მოწოდებები ძალიან სახიფათოა.

**- ვინ არიან ის ადამიანები, ვისაც საღი აზრი აქვთ, მაგრამ არ ჩანან?**

- ასე სახელებით ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ საქართველოში არის უამრავი წესიერი ადამიანი, რომელთათვის ჩვენს საზოგადოებაში აზრის გამოთქმის საშუალება და პირობები ჯერ არ შექმნილა.

ერთ რამესაც გეტყვით. ისინი, ვინც ძალიან ხშირად გამოდიან ტელევიზიით და მეომრების სახელით ლაპარაკობენ, ნამდვილად არ არიან მეომრები. ნამდვილი მეომარი კაცი, აფხაზი იქნება, თუ ქართველი, ყველაზე იოლი შესარიგებელია. იმიტომ, რომ მას თავისი ტკივილიც ახსოვს და სხვის ტკივილსაც პატივს სცემს. ეს არ არის კაცი, ვინც ორდენები დაიკიდა, ყალბი ავტორიტეტი მოიპოვა, რაღაც "სიმაღლეებზე" გავიდა და ტელევარსკვლავი გახდა. დღეს საქართველოში მამაკაცებს თავმოსაწონი არაფერი აქვთ და თავნეულები კი არა, ცოტა ჩაფიქრებული უნდა დადიოდნენ. ამიტომ ვამბობ, რომ თუ გადაფასდება გარკვეული მოვლენები, ის ადამიანებიც გამოჩნდებიან, რომლებიც გონივრულ სიტყვას იტყვიან.

ახლა ძალიან მოდაშია ე.წ. ექსპერტების აზრი, რომლითაც საზოგადოების ზომბირება ხდება. ვინ არის ეს ხალხი, რომელ ექსპერტობაზეა ლაპარაკი...

სახელმწიფოს ფუნქცია მხოლოდ მართვა კი არა, საზოგადოების აღზრდაცაა და... ბოდიშს ვიხდი, დღეს ვინ ვინ უნდა აღზარდოს?!

**- თვითონ დევნილების განწყობილება როგორია, ხომ არ შეეგუენ ისინი არსებულ მდგომარეობას?**

- ჩემთან კაბინეტში დაუბრკოლებლად შემოდიოდა ყველა დევნილი და რამდენიმე ადამიანის გარდა, რომელიც ამბობდა, რომ არ შეუძლია პირადი ტკივილის დავიწყება და ამის გამო, აფხაზეთში დაბრუნებაც, არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც კმაყოფილი იყო ამ ყოფით. ისეთი დევნილებიც კი, რომლებიც დევნილობაში საკმაოდ კარგად ცხოვრობენ, ყოველთვის ამბობდნენ, რომ ჩვენ აფხაზეთში აუცილებლად დავბრუნდებით.

**- თქვენ რამდენჯერმე გააკეთეთ დევნილთა აღრიცხვიანობა. საინტერესოა, საზღვარგარეთ რამდენი ცხოვრობს?**

- ამის შესახებ შემიძლია ვიმსჯელო იმის მიხედვით, თუ როგორ კლებულობდა მათი რიცხვი. 1994 წელს, როდესაც პირველად, პრიმიტიულ დონეზე გავაკეთეთ დევნილთა აღრიცხვა, 320 ათასი ადამიანი აღვნუსხეთ. მათ შორის სხვა ეროვნების ხალხიც ბევრი იყო: რუსები, სომხები, უკრაინელები, ესტონელები. შემდეგ ისინი თანდათანობით დაბრუნდნენ თავთავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ცხადია, საზღვარგარეთ ქართველებიც გავიდნენ. ჩემი გადადგომის პერიოდში დევნილთა რიცხვი დაახლოებით 259 ათასი იყო.

**- თქვენი აზრით, აფხაზეთში თუ არიან საქართველოსადმი ლოიალურად განწყობილი ძალები?**

- შეუძლებელია არ იყოს და მე ღრმად მწამს, რომ ერთ მშვენიერ დღეს აფხაზები და ქართველები გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ; მაგრამ ამისთვის ჯერ ჩვენ, ქართველები უნდა ვიყოთ მზად. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების აზროვნება არის წმინდა კომუნისტური. სხვათა შორის, იგივეს თქმა ოპოზიციაზეც შეიძლება. ეს არის ჩვენი მძიმე მემკვიდრეობა და ამისგან გათავისუფლება მათთვის ძალიან ძნელია.

ვინც ამისგან თავისუფალია, ისინი, გითხარით, თავისთვის არიან და პოლიტიკას და ამ ჭუჭყს არ ეკარებიან. ახალი აზროვნება კი აუცილებელია ჩვენი პრობლემების მოგვარებისთვის. იგივე და, შეიძლება უფრო მძიმე, სიტუაციაში არიან აფხაზებიც, მაგრამ მოდის ახალი თაობა. ამას ყველაფერს დრო სჭირდება.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა. შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ, ვთქვათ, სამი წლის გასაკეთებელ საქმეს, 10 წელს ვანდომებთ.

**- ასეთი დაგვიანება სუბიექტური მიზეზების გამო მოხდა?**

- არა მარტო სუბიექტური, ობიექტური მიზეზებიც იყო, მაგრამ სუბიექტური სწორედ ისაა, რომ ქართველები ვერც სხვის შეცდომებზე სწავლობენ ჭკუას, როგორც ჭკვიანების წესია და ვერც – საკუთარზე, რასაც სულელებიც კი აკეთებენ.

**- არჩევნების შემდეგ თუ ელოდებით რაიმე ცვლილებებს?**

- ყოველი ახალი დღე რაღაც სიახლის მომტანია, მაგრამ სერიოზულ ცვლილებებს პირადად მე არ ველოდები. ჩემი ღრმა რწმენით, ალბათ, 7-10 წელი იქნება საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების გზაზე სერიოზული ნაბიჯები გადაიდგას. ძალიან მეოცნებე ხალხს ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**- და თქვენ ფიქრობთ, რომ საზოგადოების ამ ცვლილებას აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაც მოჰყვება?**

- ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ აფხაზეთი მხოლოდ შეცდომების გამო არ დაგვიკარგავს. აქ იყო ორი მიზეზი - შიდა პოლიტიკური არეულობა და საგარეო ჩარევა.

### ფოტოკონკურსი

*საკონკურსო ფოტო №9*

ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული, გაზეთი "24 საათი", ტელეფონი: 20-24-24, ფაქსი: 20-24-25;
იკითხეთ პროექტი "თქვენი აფხაზეთი" YOURABKHAZIA.RUSTAVI2.COM

### ქართველთა აწიოკება

4 ოქტომბერს, გამთენიისას გალის რაიონის სოფელ გაგიდაში აფხაზი ბოევიკების 30-კაციანმა ჯგუფმა ქართული მოსახლეობა აანიოკა. მომხვდურებმა ერთ-ერთი მოსახლის - შახი ბარქაიას სახლი გადანვეს, თავად ბარქაია კი მძევლად აიყვანეს და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.

როგორც უშიშროების სამინისტროს გალის განყოფილების უფროსი ბადრი დგებუაძე აცხადებს, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ სად იმყოფება ბარქაია.

დგებუაძე მიიჩნევს, რომ ეს საკითხი ფართო განხილვის საგანი უნდა გახდეს, ვინაიდან აფხაზი ბოევიკების ამგვარი ქმედება გალის რაიონში, განსაკუთრებით კი იმ ზონაში, რომელიც რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტროლს ექვემდებარება, პირველი შემთხვევა არ არის. **ინტერ-პრესი**

### ჩვენ დავბრუნდებით!

„ აფხაზეთის კონფლიქტის გამო ხალხმა უდიდესი მნუხარება გამოიარა, მაგრამ ამავე დროს, ძალიან დიდი სულიერი ამაღლებაც ჰპოვა, რადგან ერში სარწმუნოება გაძლიერდა. ძალიან მალე, ღვთის წყალობით, აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში", — ბრძანებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

„თერთმეტი წელი ვიყავი მღვდელმთავარი აფხაზეთში და ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ქართველი ხალხი მოსულიყო ტაძარში, მაგრამ ვერაფრით მივაღწიე ამას. იქიდან ურწმუნო ქართველი ხალხი წამოვიდა და შინ მორწმუნე დაბრუნდება", — ამბობს პატრიარქი, რომელიც თავის სამწყსოს მოუწოდებს, ყოველდღე ილოცოს აფხაზეთის დაბრუნებისთვის. **მედია-ნიუსი**

### აფხაზეთისაკენ!

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია განსაკუთრებული ინტერესით აკვირდება, თუ როგორ ვითარდება მოვლენები აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მიმართულებით და რა კონკრეტული ნაბიჯები იდგმება მისი მონესრიგებისათვის.

როგორც ჟურნალისტებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ განუცხადა, კემპ-დევიდში აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების ჯორჯ ბუშისა და ვლადიმირ პუტინის მიერ ჩეჩნეთის პრობლემაზე საუბრისას, ბუშმა პირდაპირ მიუთითა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს მეთაურს პანკისის ხეობაში წარმატებული ოპერაციის თაობაზე.

**"საქართველოს, აშშ-ს და რუსეთის წარმომადგენლებმა პანკისის ხეობაში ძალიან კარგად იმუშავეს, რაც სავსებით შესაძლებელია, გახდეს მაგალითი და მოდელი რეგიონში არსებული პრობლემების მოწესრიგებისათვის".**

თედო ჯაფარიძის თქმით, ბუშისა და პუტინის დონეზე ამ პრობლემის სანიმუშოდ მოგვარების დაფიქსირება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

თედო ჯაფარიძე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დავალებით, ორი კვირის წინ იმყოფებოდა აშშ-ში, სადაც სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილეს რიჩარდ არმიტიჯს და თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს პოლ ვულფოვიცს შეხვდა.

ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ თუ ქართული, ამერიკული და რუსული მხარეები ისევე წარმატებულად ითანამშრომლებენ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, როგორც ეს პანკისის ხეობის პრობლემასთან დაკავშირებით მოხდა, აფხაზეთის საკითხის მოგვარება შესაძლებელია. **პრაიმ-ნიუსი**

### საერთო გასაჭირი

კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთაში ნაღმზე აფეთქებული ადგილობრივი მკვიდრი, 27 წლის მურმან გულედანი ზუგდიდში აფხაზების ვერტმფრენით გადმოიყვანეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში, ემზარ კვიციანმა აცნობა, აფხაზებს მას შემდეგ მიმართეს, რაც დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა და უამინდობის გამო, ხეობიდან მისი გამოყვანა ვერ ხერხდებოდა.

კვიციანის თქმით, ტელეფონით პირადად დაუკავშირდა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გარი კუპალბას, რომელმაც "მათი გასაჭირი გულთან მიიტანა და ხეობაში უამინდობის მიუხედავად, ვერტმფრენი გამოაგზავნა".

ეს იყო პირველი აფხაზური ვერტმფრენი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ კოდორის ზემო ხეობაში შემოვიდა, - თქვა კვიციანმა.

დაჭრილი გულედანი ამჟამად ზუგდიდის საავადმყოფოშია მოთავსებული. მისი გადარჩენა მოხერხდა, თუმცა ექიმები დაჭრილის ქვედა კიდურების ამპუტაციას გარდაუვლად მიიჩნევენ.

ამასთან, კვიციანის თქმით, მომხდარი აფეთქების მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. **პრაიმ-ნიუსი**

### "ახდე-აპშას" კავალრები

სოხუმის ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ "დამოუკიდებლობის დღის" ათი წლისთავთან დაკავშირებით, "კავკასიაში მეგობრული ურთიერთობებისა და მშვიდობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილის, ასევე, აფხაზეთის მხარდაჭერისა და აქტიური დახმარებისათვის" "ახდე-აპშას" ("ღირსება და სიტყვა") მეორე ხარისხის ორდენებით დააჯილდოვა თათრეთის პრეზიდენტი მინტიმერ შაიმიევი, ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტი ვალერი კოკოვი და ბაშკირეთის მეთაური მურთაზ რახიმოვი.

როგორც "აფსნიპრესი" იტყობინება, ამავე ორდენებით დაჯილდოვდნენ როსტოვის ოლქის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჩუბი, ადიღეის ექს-პრეზიდენტი ასლან ჯარიმოვი და კრასნოდარის მხარის ყოფილი გუბერნატორი ნიკოლაი კონდრატენკო. **პრაიმ-ნიუსი**

ნომრის სტუმარი

# ვერასდროს ვერავინ შეამოწმებს, ვის მივეცით ხმა...

## ხელისუფლება, უბრალოდ, გვაშინებს

*2 ოქტომბრის საღამოს 6 საათზე ყოველგვარი გაერთიანებები ისტორიას ჩაბარდა. საერთო მტერთან ბრძოლა ოპოზიციამ ცალ-ცალკე გადაწყვიტა. ხელისუფლებისგან არასდროს მოგვისმენია მოწოდება "ყველანი არჩევნებზე" (თუ არ ჩავთვლით კომუნისტურ ხელისუფლებას). დღეს ეს ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისთვის მხოლოდ ლოზუნგია, ზოგისთვის კი მუდმივი ბრძოლისა და თავის ტკივილის მიზეზი. "ახალი მემარჯვენეები" ამ უკანასკნელთ მიეკუთვნებიან, რადგან თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე ორჯერ დაითვალეს ამომრჩევლები და ამ მიზნით მესამეჯერაც აპირებენ ოჯახებში სტუმრობას. ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ მოახერხა და გაათავისუფლა მათი მხარდამჭერი გამგებლები და ტყიბულში მაჟორიტარი კანდიდატიც მოუხსნა.*

***სიები, რომელმაც ქვეყანა უნდა იხსნას*** *- გვესაუბრება პარლამენტის წევრი, "ახალი მემარჯვენეების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი.*

მაია ჭალაგანიძე

**- თქვენი ოფისი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც საარჩევნო სიების გადამოწმება დაიწყო. როგორ?**

- აჭარისა და ზოგიერთი სხვა მაღალმთიანი რეგიონის გარდა სიების გადამოწმება ყველგან მოვახერხეთ. კარდაკარ დავდიოდით. ჩვენი დათვლით, თბილისში (მცირე ცდომილებით) 300 000 ოჯახი უნდა ყოფილიყო. თითოეული აღმწერი 200 ოჯახში უნდა შესულიყო. ჩვენ მათ არა გვარები, არამედ მხოლოდ მისამართები მივეცით და მათ ინფორმაცია მოიტანეს.

**- რა დაუჯდათ ეს აქცია "ახლებს"?**

- ეს ადამიანები სპეციალურად ამ საქმისთვის არ მოგვიყვანია. ისინი ჩვენთან მუშაობენ, პარტიის წევრები არიან. ზოგს ვუხდით ხელფასს, ზოგს - არა. ძირითადი ხარჯი კომპიუტერული უზრუნველყოფისთვის გავწიეთ. ეს სერიოზული ნამუშევარი პრეზენტირებულ იქნა საკრებულოში და პარლამენტში.

**- შსს-ს მიერ შედგენილ მონაცემებთან რა განსხვავებაა?**

- ორგვარი ცდომილება არსებობს. მხოლოდ თბილისში მათი სიებით 819 625 ამომრჩეველია, ჩვენი ვარიანტით კი - 630 196. ხელისუფლების სიებით 42 საარჩევნო უბნიან საბურთალოს რაიონში ორჯერ ნაკლები ამომრჩეველი გამოვიდა, ვიდრე 20 უბნიან მთაწმინდაზე.

**- განსაკუთრებულად დიდი სხვაობა რომელ რაიონებშია?**

- პერიფერიულ რაიონებში. მაგალითად, ისანში ამომრჩეველთა რაოდენობა 100 პროცენტით არის გაზრდილი. თბილისელ ამომრჩეველთა სია 200 000-მდეა გაზრდილი. ხელისუფლების მიერ შედგენილ კრწანისის რაიონის სიებში აღმოვაჩინეთ ჩვენი ერთ-ერთი აგიტატორის ბაბუა, რომელიც 1937 წელს არის დახვრეტილი... გარდა ამისა, 20 000 ადამიანი სხვადასხვა უბნებში მეორდება. ვთქვათ, გიორგი პეტრიაშვილი სხვა მისამართზე იგივე საპასპორტო მონაცემებით გოგა პეტრიაშვილად წერია და ა.შ. შსს-ს მონაცემებით სამგორის რაიონში 4 უბანი გამოტოვებულია, ზოგ უბანში 8 კაცია, ზოგან - 30 და ა.შ. მაშინ, როდესაც კანონით, უბანი 2000 ამომრჩეველზე იქმნება. პოლიციამ სამგორის რაიონის 90 000 ამომრჩევლიდან 88 439 ადამიანი ვერც ერთ საარჩევნო უბანს ვერ მიაკუთვნა. ეს სიები ჩვენ ხელთ გვაქვს.

**- "ახლების" მიერ შედგენილ სიებს რეალურად რა იურიდიული ძალა ექნება?**

- ჩვენს სიებს ყველა აღიარებს. მაგრამ უნდა შემუშავდეს ამ სიების გადამოწმების მექანიზმი. გვინდა მივაღწიოთ ცესკო-ს დადგენილებას სიების გადამოწმების გამარტივებული წესის შესახებ. ანუ, კომისიები საკამათო მისამართებზე მივიდნენ და ადგილზე გაარკვიონ ყველაფერი. ამის საშუალება ყველა კომისიას აქვს.

გადამოწმების ბოლო ვადა 19 ოქტომბერია. თუმცა, არის შესაძლებლობა, ამ ვადამ 24 ოქტომბრამდე გადაიწიოს.

დავუშვათ, მივაღწიეთ და სხვაობა გასწორდა. დგება შინაარსობრივი შეუთავსებლობის საკითხი. იუსტიციის სამინისტრომ 1994-1999 წლებში გარდაცვლილთა სია წარმოადგინა. 2000 წლიდან დღემდე კი ამგვარი სია არ არსებობს. ანუ ხალხი ზეციური საქართველოდან დღემდე სიებშია. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლებამ აღწერა სხვა სახელმწიფოში ჩაატარა.

**- თუ შეადარეთ თქვენი სიები სხვა ოპოზიციური პარტიების მიერ შედგენილს?**

- როგორც ვიცი, "დემოკრატებმა" მაკ კეინთან შეხვედრაზე, დაახლოებით, იგივე რაოდენობის ციფრი დაასახელეს. სხვა სიებს არ ვიცნობთ.

**- და თუ ამ სიების გადამოწმება არ მოხერხდა?**

- არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს.

**- თუკი მაინც ჩატარდა არჩევნები, თქვენი აზრით, როგორ გადანაწილდება ძალები. პარლამენტში მაინც თუ გაერთიანდება ოპოზიცია?**

- ოპოზიციის გაერთიანება უფრო მარტივი წინასაარჩევნოდ უნდა ყოფილიყო, ვიდრე პარლამენტში. წინასაარჩევნო გაერთიანება არ იქნებოდა იდეოლოგიური.

**- მაინც რატომ არ შედგა ეს გაერთიანება, რომლის აუცილებლობაზეც ყველა ლიდერი ცალ-ცალკე საუბრობდა?**

- როცა სამთავრობო - საკითხების გარშემო თემატური გაერთიანებები, რა თქმა უნდა, მოხდება და არა მხოლოდ ოპოზიციურ პარტიებთან. გლობალური გაერთიანების საფუძველს ვერ ვხედავ და არა მგონია, ამით ჩვენი პარტნიორები იყვნენ დაინტერესებულნი. თუ სერიოზული კატაკლიზმები არ მოხდა და კვლავ არ აღმოვჩნდით სერიოზულ "ფორს მაჟორულ" სიტუაციაში, ოპოზიციის მობილიზება, ალბათ, არ მოხერხდება.

**- გადადგა თუ არა ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯი საგანგებო მდგომარეობის შემოღებისთვის და როგორ შეეწინააღმდეგებით ამას?**

- ეს ნაბიჯები გადაგმულია. გაიხსნეთ ციხიდან გაქცევა-გაშვება, არასტაბილური კრიმინოგენული ვითარება. ეს დიდი ხანია, გრძელდება. ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, რომ ყაზარმული მდგომარეობა, ამ უკანაკნელი 5 წლის მანძილზე, ნებისმიერ დღეს შეგვეძლო გამოგვეცხადებინა... ხელისუფლება კი ამას წინასაარჩევნოდ აპირებს.

**- ხელისუფლება არ აწარმოებს წინასაარჩევნო კამპანიას - ან საყოველთაო გაყალბების იმედი აქვს, ან ეს ხელისუფლების კაპიტულაციაა. რომელს აირჩევთ?**

- სამცხე-ჯავახეთში ბორჯომის, ასპინძისა და ახალციხის ჩვენი მხარდამჭერი გამგებლები თანამდებობიდან გაუშვეს. გაათავისუფლეს ასპინძის პოლიციის უფროსიც, რომელიც ამ რეგიონში ჩვენს მაჟორიტარ კანდიდატს ენათესავებოდა. ტყიბულში შალიკიანი უალტერნატივოდ დატოვეს... აი, ამ გზას დაადგა ხელისუფლება.

ძალზე სერიოზულად მუშაობენ ძალოვანი სტრუქტურები - დაშინება, ზეწოლაა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, განათლების სისტემაში - განცხადებებს აწერინებენ, პასპორტებს ართმევენ. სოფლის სკოლის 30 ლარიან მასწავლებელს პასპორტს ართმევენ და აშინებენ, შევამოწმებთ, ხმა ვის მიეციო... ეს ილუზიაა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამგვარი შემოწმების მექანიზმი რეალურად არ არსებობს. ეს, უბრალოდ, ფსიქოლოგიური ზეწოლაა... ბლოკი შეიქმნა და მასში მეგზეგზე-მერძევეების მასობრივი დინება დაიწყო, აშკარა იყო, რომ ამ მონსტრის წინააღმდეგ გაერთიანება აუცილებელი იყო. გახსოვთ, ალბათ, 2 ივნისს შედგა ჩვენი პირველი შეხვედრა, რომელსაც წინ პარლამენტის აქცია და გაერთიანების შესახებ ინტელიგენციის ერთობლივი მოთხოვნა უძღოდა. მაგიდასთან კი დავსხედით, მაგრამ როგორც კი ბლოკში პირველობაზე და კვოტებზე მიდგა საქმე, სამწუხაროდ, მოლაპარაკებები ჩაიშალა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ "ახლებს" პარტნიორებისთვის არანაირი პრობლემები არ შეგვიქმნია.

**- პარლამენტში შესვლის შემთხვევაში როგორღა იქნება ეს საქმე?**

- არ გამოვრიცხავ, რომ ბოლო დღეებში საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები (ყველა სამთავრობო ბლოკიდან არის), მათი მოადგილეები და მდივნები (ან "მრეწველები", ან "აღორძინების" წარმომადგენლები) მოისყიდონ.

**- ხელისუფლება ფულის უკმარისობაზე წუწუნებს...**

- მათ ფული ბილბორდებში არ ემეტებათ, რადგანაც იციან, რომ ამას აზრი არ აქვს. ურჩევნიათ, თანხებს მობილიზაცია გაუკეთონ და სხვა პარტიის წარმომადგენელთა ტოტალური მოსყიდვა დაიწყონ, რათა საარჩევნო უბნებში პირდაპირ დაწერონ ოქმები. ამაზე მუშაობა ხელისუფლებამ უკვე დაიწყო.

**- მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ამ ყველაფრის წინააღმდეგ იბრძვის (ზოგი ხმამაღლა, ზოგი "ვითომ" და ზოგი - შეფარვით), რა დილა გათენდება 3 ნოემბერს?**

- თუ ასე გაგრძელდა, რთული დღე გათენდება. მაღალრეიტინგული ოპოზიციური პარტიების ზურგს უკან ამომრჩეველთა 70 პროცენტი დგას. ამის იგნორირების შემთხვევაში არა მგონია, 3 ნოემბერი მშვიდობიანი იყოს. შემდეგ გასაჩივრებას აზრი არ აქვს და ამის გამოცდილება არსებობს. პარლამენტში დღესაც ზის სამი დეპუტატი, რომელთა უკანონობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა არსებობს.

**- "ლეიბორისტებმა" სხვა ოპოზიციური პარტიების მიერ წინასაარჩევნოდ დახარჯულ ფულს უზნეო უწოდეს. თქვენც იგულისხმებოდით...**

- ეს მათი წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილია და ამით ამომრჩეველთა ხმების მიზიდვას ცდილობენ. მათ ეს სტრატეგია აირჩიეს. სხვისი ფულის დათვლით ამომრჩევლის ხმას ვერ მიიზიდავენ, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთმანეთის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ამიტომაც ამ განცხადებას დიდი პროპაგანდისტული ეფექტი არ ექნება.

**- პოლიტიკოსთა ზოგჯერ არაკორექტული დებატები და გაუთავებელი ბრალდებები ამომრჩეველზე ცუდად მოქმედებს. როგორ არ უნდა მოაბეზრონ თავი ამომრჩეველს "ახლებმა"?**

- შინაგანი კულტურა, ეთიკა, ინტელექტი და ბიოგრაფია - ეს არის დამცავი მექანიზმი. თავად ვნახე დღევანდელი მაჟორიტარი დეპუტატების მიერ დაწერილი ნახევარგვერდიანი ბიოგრაფია, რასაც კომენტარის გარეშე დავტოვებ.

ბოლო 10 წელია, ამ "გლადიატორთა ბრძოლას" ვუყურებთ. პოლიტიკას ფიცხი ემოციები არ უხდება. თუმცა, ჩვენ გამონაკლისები არ ვართ, ეს ყველა ქვეყანაში ხდება. რამდენიც არ უნდა იჩხუბო, ყველაფერს მაინც ამომრჩეველი გადაწყვეტს.

**- "ახლების" კლიპების შტურმმა საზოგადოების აზრი ორად გაყო. ამ რეჟიმით კლიპების ტრიალმა როგორ იმოქმედა რეიტინგზე?**

- ამ რაოდენობით კლიპების ჩვენება კონკრეტულ მიზნებს ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, საზოგადოების აზრი ორად გაიყო და ჩვენი მეგობრები, ნაცნობები, თანაპარტიელები უმცირესობაში მოყვნენ.

სოციალურმა კვლევებმა, რომელიც კლიპების გაშვებას უძღოდა წინ, გამოარკვია, რომ პარტიის სახელი საკმაოდ ცნობადია, მაგრამ ლიდერებთან იდენტიფიკაცია არ ხდებოდა... ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი იყო, რომ ამომრჩეველზე ლიდერების თემით "მასობრივი შეტევა" განვითარებულიყო (კარგი გაგებით). ეს მიზანი მიღწეულია

**- მაგრამ, ამან უკუეფექტი გამოიწვია.**

- შეიძლება. ახლა სხვა თემებზე გადავდივართ. თემატური კლიპები იქნება და, სერთოდ, ამომრჩეველისთვის ბევრი სიურპრიზი გვაქვს მომზადებული.

**- თქვენმა უცხოელმა იმიჯმეიკერებმა რამდენად რეალურად შეისწავლეს ბაზარი?**

- ამ თემაზე მხოლოდ უცხოელები არ მუშაობენ.

საარჩევნო ტექნოლოგიები კლასიკურ მეცნიერებად ჩამოყალიბდა და ეს ძირითადი ჩონჩხი ყველა ქვეყანაში უცვლელია.

**- ბევრი რამ შეცვალეთ ამ დოგმებში?**

- ამერიკელები გვირჩევდნენ, ძირითადი აქცენტი სარეკლამო ღონისძიებებზე გაგვეკეთებინა, რასაც არ დავეთანხმეთ და შემდგომ, ისინიც დარწმუნდნენ ჩვენს სიმართლეში.

**- "ბურჯანაძე დემოკრატები" ყველა გამოკითხვით წინ არიან. რა კამპანიას უპირისპირებენ ამას "ახლები"?**

- ძალიან სასიამოვნოა, რომ ჟვანია-ბურჯანაძის ბლოკი წინ გავიდა. თუ ჩვენ ჟვანია-დემოკრატებს ბურჯანაძის მისვლამდე და მისი მისვლის შემდგომ პერიოდებად დავყოფთ, სურათი ნათელია. ქალბატონი ნინო, უდავოდ, სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა და მან ეს განსაკუთრებით ბოლო თვეებში დაადასტურა...

**- არც ჟვანიაა ხუმარა პოლიტიკოსი...**

- ჟვანია დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა. მას თანამდებობაზე ყოფნისას სერიოზული პოლიტიკური შეცდომები აქვს დაშვებული. არ ვიცი, მათ ბლოკში ვინ იღებს გადაწყვეტილებებს. როგორც ბილბორდებზე წერია, ლიდერი ბურჯანაძეა, ერთ-ერთ ტელეეთერში ქალბატონმა ელენე თევდორაძემ თქვა - ჩემი ლიდერი ჟვანიაააო...

ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, პარტიის თავმჯდომარე დათო გამყრელიძე უნდა იყოსო, რითიც ორხელისუფლებიანობას ავარიდეთ თავი. გადაწყვეტილებები ერთმა ადამიანმა უნდა მიიღოს. თუ იქ გადაწყვეტილებებს ბურჯანაძე იღებს, ბლოკის წევრები არ უნდა ამბობდნენ, რომ მათი ლიდერი ის არ არის, თუ ჟვანია იღებს გადაწყვეტილებებს და ბურჯანაძე, უბრალოდ, გვარისთვის არის წამოწეული, ესეც გაუგებარია, რადგან ჟვანიას შეცდომები აქვს დაშვებული და ბურჯანაძე ამაში არ უნდა ეხვეოდეს... მოკლედ, ბევრი შეკითხვებია.

**- თქვენ როგორ იმუშავებთ რეიტინგზე?**

- ამომრჩევლებმა პარტიების პროგრამებზე გადავდივართ. თემატური კლიპები იქნება და, სერთოდ, ამომრჩეველისთვის ბევრი სიურპრიზი გვაქვს მომზადებული.

**- ლევან გაჩეჩილაძემ სიის ბოლოსკენ გადაინაცვლა. ცოტა ადრე "უცნობის" განცხადება იყო ჟვანიასთან გადასვლის თაობაზე... რა უცნობ პოლიტიკას ამკვიდრებენ გაჩეჩილაძეები და, ზოგადად, ახლები?**

- არ შეიძლება, "უცნობი" პოლიტიკოსად განვიხილოთ. მისი ემოციური განცხადება სრულიად გასაგები იყო. იგი შეეცადა, ამომრჩევლისთვის არჩევანი გაეადვილებინა და ეჩვენებინა, რომ სწორედ გაერთიანებული ოპოზიციაა თეთრი ძალა.

რაც შეეხება ლევანს. აქ საუბარია პოლიტიკაში ღირსების, მორალის დაბრუნებაზე. ეს ცნებები პოლიტიკიდან საერთოდ განდევნილია და ცდილობენ, რომ საზოგადოების შეგნებიდანაც მთლიანად განდევნონ.

**- ლევან გაჩეჩილაძის ეს ნაბიჯი თუ იყო შეთანხმებული "ახლების" პიარ-ჯგუფთან?**

- არავისთან არ იყო შეთანხმებული. საკითხი ასე დგას - "თუ იმ უბანში, იმ რაიონში, სადაც დავიბადე, სკოლაში დავდიოდი, გავიზარდე - არ მენდნენ, პარლამენტში რა მინდა..."

**- ადამიანურად სავსებით გასაგებია. პოლიტიკოსისთვის რამდენად მომგებიანი ნაბიჯია?**

- ეს ნაბიჯი ქართულ პოლიტიკაში ღირსების რეანიმაციის მცდელობა გახლავთ.

**- საიდან მოვიდა ზურაბ ჩხაიძის სიაში ჩასმის იდეა. იყო თუ არა ეს რისკი "ახლების" მხრიდან?**

- მას შემდეგ, რაც ზურაბ ჩხაიძემ თავისი ნებით დაწერა განცხადება და თანამდებობიდან წავიდა, ჩვენს ეკონომიკურ პროგრამაზე მუშაობს. კერძოდ - მართლწესრიგის რეფორმასა და უსაფრთხოების სისტემებზე. მან ძალიან სერიოზულად უხელმძღვანელა ამ ბლოკს.

**- სამართალდამცავი ბლოკის ავტორს, ზურაბ ჩხაიძეს სადავო იმიჯი ჰქონდა.**

- იმიჯი კონიუნქტურამ შექმნა და როგორც შეიქმნა, ისე დაიშლება, ყველაფერი გაირკვევა. ეს კაცი აშკარა პროფესიონალი და ჩვენი მეგობარია. შექმნილი სტერეოტიპებით არ ვხელმძღვანელობთ. საზოგადოება სულ ცოტა ხანში გაიგებს ყველაფერს. და თუ საზოგადოება გვენდობა, იმასაც ირწმუნებს, რომ ჩვენს სიაში მოხვედრილი ადამიანიც სანდოა.

**- სამი რამ, რაც წინასაარჩევნოდ უნდა წამოწიოს პარტიამ საქართველოში?**

- დღეს ამომრჩეველი ირჩევს ყურით და არა გონებით.. იმედი მაქვს, რომ პოლიტიკური კულტურა დაიხვეწება, ეს მიდგომაც შეიცვლება და ადამიანი, პირველ რიგში, გონებით იმოქმედებს.

პარტიამ უნდა აჩვენოს, რა გზით და რა იდეებით მოვიდა პოლიტიკაში. მეორე - იდეის მიწოდება, წარდგენა. და დგება მესამე საკითხი - ჩვენთვის მოცემული ხმების დაცვა. სწორედ ამით ვართ დაკავებული ამ წუთას.

**- დაპირებულის, მიწოდებულის და დაცულის შესრულება რომელ ადგილზეა?**

- თუ 900 დღეში ვერ მოვახერხებთ დაპირებულის გაკეთებას, წავალთ...

**- 900 დღე საიდან უნდა დავითვალოთ?**

- იმ დღიდან, როცა პარლამენტში 118 "ახალი" ან ახლებურად მოაზროვნე ადამიანი იქნება.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘ

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡ

ᲠᲔᲖᲝ ᲗᲐᲑᲐᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

**1.** კულტურასთან შეხების პროცესი, რასაკვირველია, ინდივიდუალურია და, ჩემი აზრით, პირველ რიგში, იმ აქტივობისა და სურვილის დახასიათებაა, რომელიც კონკრეტულ ადამიანს აწუხებს. საზოგადოება და ადამიანი ერთმანეთთან გადაბმულია. თუმცა, რაიმეს შექმნა საზოგადოების კარნახით არ უნდა ხდებოდეს, ყოველ შემთხვევაში - პირდაპირი კარნახით. როცა ხელოვანი რაღაცის შექმნას ცდილობს, ის აუცილებლად ჯაჭვურ რეაქციაში იმყოფება იმ გარემოსთან, რომელშიც მას უწევს ყოფნა. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ დროზე, ეპოქაზე მუშაობს იგი.

დღეს ხშირად გაისმის პრეტენზიები ხელოვნების (ხელოვანთა) მიმართ, რომ რეალობას სათანადოდ არ აღწერენ, რომ ხალხი შიმშილობს, გაჭირვებაა და ეს არ აისახება ნაშრომებში. ჯერ ერთი, აისახება. მეორე – ხელოვნების დანიშნულება არ არის სოციალური პრობლემების გადაჭრა (ამისათვის საკმარისია ჟურნალისტიკა, ტელევიზია, მასმედია) ან, საერთოდ, რაიმე პრობლემის გადაჭრა. ყოველ შემთხვევაში, ამ მიდგომით საქმის კეთება არასწორად მიმაჩნია. ეს არ უნდა იყოს თვითმიზანი.

სამწუხაროდ, მართლა ბევრი პრობლემა არსებობს და მათი არსებობა კულტურის სახის ჭრილებს, გარკვეულწილად, გამოკვეთს. ავტორი წინასწარვე ვინმე კონკრეტულისთვის არ ქმნის. ის ცოცხალი ენერგია, რომელიც სხვადასხვა დოზირებით არსებობს ნაწერში ან ნახატში, დამოუკიდებლად აგნებს ადრესატს, იკვლევს გზებს, ხან საით გაედინება, ხან საით; ამას ავტორი ვეღარ აკონტროლებს. ამ მხრივ, მას ხშირად სახიფათო ძალა აქვს - ფართო მდინარედ დაძრული ლავასავით, რომლისგანაც საზოგადოებამ ისეთი მხარეები შეიძლება აითვისოს (მიიზიდოს), რომელიც თავად ავტორსაც არ უგულისხმია ამ დატვირთვით. პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, ავტორზეა, მაგრამ მკითხველის (მომხმარებლის) შეფასებაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული – რისი აღქმის უნარი აქვს მას და რა სურს, რომ მიიღოს. ეს საზოგადოების პროგატივაა. შესაბამისად, საზოგადოება ხშირად განმსაზღვრელია კულტურის, მისი აქტივობის. ხელოვანს და საზოგადოებას სჭირდებათ ერთმანეთი, რომელი – რომელზეა უფრო დამოკიდებული, საფიქრელია.

**2.** რასაკვირველია, შეიცვალა. აქაც იგივეა - განყენებულად ხელოვნება არ არსებობს. ერთ რიტმში, ერთი ხახუნის ძალით ტრიალებს ხელოვანიც და ისიც, ვინც მის გარშემო ცხოვრობს. ბოლო ათწლეული საკმაოდ დატვირთული იყო მოვლენებით. მათი ცვლილებების სისწრაფე ერთი-ათად გაიზარდა, რაც ხელოვნებასაც დაეტყო. ის ცოცხალი ორგანიზმია. ხშირად ხელოვნება ერთი ნაბიჯით უსწრებს დროს. მაგრამ, მიმაჩნია, რომ ესეც ნაშრომის დამოუკიდებელი ენერგიის დამსახურება უფრო უნდა იყოს, ვიდრე შორსმჭვრეტელობით გაპრანჭული ავტორისა. კულტურა ხანდახან ცდილობს, გასწროს დროს და ამით დაეხმაროს ხალხს არჩევანის გაკეთებაში. ვფიქრობ, თანამედროვე ქართული კულტურა მისთვის ორგანულ რიტმს ინარჩუნებს.

**3.** ბევრ რამეს ვკითხულობ - არ ჩამოვთვლი. გამოფენებზე ბოლო დროს არ ვყოფილვარ. ვუსმენ სხვადასხვა მუსიკას.

# ᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲡ!

ᲘᲜᲒᲐ ᲤᲝᲠᲩᲮᲣᲐ

გამოვიდა ახალი წიგნი (მემორიალური კრებული), რომელიც ეძღვნება ალექსანდრე (შურა) გვახარიას.

წიგნში საინტერესოდაა აღბეჭდილი უბადლო ინტელიგენტის, განუმეორებელი პიროვნებისა და მოქალაქის, უდიდესი ირანისტის, ბ-ნ ალექსანდრე გვახარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დეტალები.

ძნელია, ამ წიგნის წაკითხვა, ისე, რომ არ აცრემლდე... შეუძლებელია, ადრესატს სიცოცხლეშივე არ ეგრძნო ის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, რითაც ის, გარემოცული იყო ნებისმიერ საზოგადოებაში.

ამის აშკარა გამოხატულებაა წინამდებარე წიგნი.

მასში შესულია მისი გარდაცვალებიდან დღემდე პრესაში გამოქვეყნებული წერილები და საგანგებოდ დაწერილი მასალები. გაცხადდა, თუ როგორი გამოძახილი ჰპოვა ცნობილი მეცნიერებისა და სრულიად გამორჩეული პიროვნების სიტყვამ და საქმემ თანამედროვეთა გულებში.

შურა გვახარია მასშტაბურად მოაზროვნე პიროვნება იყო, სიყვარულის მფრქვეველი, უშუალო, თავმდაბალი, უკეთილშობილესი უკომპრომისო, ზნეობრივი პრინციპების, საკუთარი მსოფლმხედველობითი მრწამსის მტკიცედ და ურყევად დამცველი.

კრებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა. შემდგენელია ქ-ნი ინგა კალაძე, რედაქტორები, ბატონები თამაზ გამყრელიძე და გოგი სანიკიძე. მხატვარი თენგიზ მირზაშვილი.

დღეს, კიდევ ერთხელ გვეძლევა შესაძლებლობა თვალი გადავავლოთ მის მიერ განვლილ ღირსეულ სიცოცხლეს. და რაოდენ შეუძლებელია, სიტყვებით, ეპითეტებით შურა გვახარიაზე საუბარი.

ის არ ჰგავდა არავის!

წელიწადია რაც დაგვშორდა, უდიდესი სიცარიელეა მისი არყოფნით.

ღირდა ერთი სიცოცხლე იმად, ადამიანებში ასეთ ცხოველ სიყვარულს რომ აღძრავს. "ემსგავსე სანთელს, სხვას გაუნათე, თავად ბნელში იყავი, ემსგავსე თვალის გუგას, სხვას უმზირე, შენს თავს ნურც შეამჩნევ" - ეს სპარსული ლექსი შურა გვახარიას ცხოვრებისეული კრედო იყო.

მჯერა, როცა შურა გვახარია მრავალგზის მოგვენატრება, გადავფურცლავთ მისი ცხოვრებისადმი მიძღვნილ ამ შესანიშნავ წიგნს, რომელიც დროებით მიგვავიწყებს დიდ ტკივილს, გაგვითბობს სულს და ჩაგვაფიქრებს.

# ᲕᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲐᲚᲔᲢᲡ?!

## ლალი კანდელაკი და ირაკლი ბახტაძე თბილისის ოპერის სცენაზე

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

*5 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი "აბესალომ და ეთერით" თავისი მორიგი სეზონი გახსნა. თეატრის აფიშა 7 და 11 ოქტომბერს ჩაიკოვსკის ბალეტ "გედების ტბის" გასტროლებს იუწყება, ამჟამად ბუდაპეშტის ბალეტის სოლისტების ლალი კანდელაკის და ირაკლი ბახტაძის მონაწილეობით, თუმცა, ავადმყოფობის გამო, გუშინ ირაკლი ბახტაძემ ვერ იცეკვა, მას მხოლოდ 11 ოქტომბერს ვიხილავთ სცენაზე. ამჯერად, ლალი კანდელაკს პარტნიორობა თბილისის ოპერის სოლისტმა დავით ხოზაშვილმა გაუწია.*

ამ დღეებში ოპერის სცენაზე სწორედ ბალეტ "გედების ტბის" რეპეტიციები მიმდინარეობდა. უეცრად, რეპეტიციის მიმდინარეობის დროს ჩვენი ყურადღება კულისებიდან სცენაზე შემოჭრილმა ჟურნალისტებმა, მათმა თანმხლებმა ვიდეოკამერებით აღჭურვილმა ოპერატორებმა, მრენველთა ლიდერებმა - გოგი თოფაძემ, ზურაბ ტყემალაძემ და ოპერის თეატრის დირექტორმა ზურაბ ლომიძემ მიიპყრეს. საქმის ვითარება კი შემდეგში გახლდათ – მოგეხსენებათ, თბილისის ოპერის თეატრს საკმაოდ უჭირს, არადა ყველა ნორმალურ ქვეყანაში, არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ ბიზნესმენი და, საერთოდ, შეძლებული ხალხი კულტურისთვის, მართლაც, ზრუნავს. თუმცა, ეს ზრუნვა შესაბამისი კანონებითაცაა გამაგრებული (ქველმოქმედების თუ სხვა), რითაც ბიზნესმენებს სახელმწიფოსგან შესაბამისი შეღავათებიც ენიჭებათ. საქართველოში რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. გაუგებარია, კულტურაზე საერთოდ ვინმე თუ ზრუნავს, გარდა თავად კულტურის მოღვაწეებისა ან ამ დარგში მომუშავე ხალხისა.

გოგი თოფაძის ვიზიტი ოპერაში სწორედ ოპერის თეატრის დახმარებას ითვალისწინებს. თეატრის დირექტორის ზურაბ ლომიძის პროექტ – ბიზნეს-გეგმაში, რომელიც ქართველ ბიზნესმენებს შესთავაზეს, დაწვრილებით არის აღწერილი და დათვლილი, რა სჭირდება ოპერის თეატრს ასაღორძინებლად. თუკი თბილისის ოპერის თეატრის წლიური ბიუჯეტი 100 ათასი ლარია, მეტროპოლიტენ და სხვა წამყვან ოპერებში მილიონებზეა საუბარი და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ოპერა და ბალეტი ელიტური ხელოვნებაა, რისი პოტენციური შესაძლებლობა ყველა ქვეყანას არც აქვს (ღვთის მადლით, ქართველებს ამ მხრივ მაინც არ გვიჭირს). არსებობს მოსაზრება, რომ შეიქმნას ოპერის მზრუნველთა საბჭო, რომლის კოორდინატორი გოგი თოფაძე იქნება და იგი სხვა ქართველ ბიზნესმენებსაც შემოიკრებს, რათა სამომავლოდ საბჭომ გადაწყვიტოს ყველა ის საჭირბოროტო საკითხი, რაც ოპერას და მის კოლექტივს შეაწუხებს. ამ ეტაპზე კი გოგი თოფაძემ საქართველოს სახალხო არტისტებს ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობის დახმარება დაუნიშნა.

ახლა კვლავ ბალეტ "გედების ტბის" გასტროლებს დავუბრუნდეთ. გთავაზობთ საუბარს ბუდაპეშტის "არტ ბალეტის" სოლისტთან ლალი კანდელაკთან:

- თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრებისთანავე, 1992 წელს ოპერის თეატრში მოვედი სამუშაოდ. მოსვლისთანავე წამყვან პარტიებში ვცეკვავდი. ჩემი დებიუტი თბილისის ოპერის სცენაზე შედგა, გოგი ალექსიძის დადგმაში - "კონკია". ამის შემდეგ ჯანსუღ და ვახტანგ კახიძეების მუსიკაზე დადგმულ ბალეტში "ამორძალები" მთავარი პარტია შევასრულე. საერთოდ, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ბალეტებში ვცეკვავ. მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი გასტროლებით. 1997 წელს კი თურქეთის ქალაქ მერსინში გავემგზავრე, საქართველოდან წასულ და იქ მოღვაწე ცოლ-ქმარ მედეა (რეპეტიტორი) და ნუკრი მაღალაშვილების (ქორეოგრაფი) მიწვევით. ქალაქ მერსინის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში წამყვან სოლისტად ვმუშაობდი. შეიძლება ითქვას, თითქმის, ყველა კლასიკურ ბალეტში ვიცეკვე – "რომეო და ჯულიეტა", "ათას ერთი ღამე" და სხვა, ნუკრი მაღალაშვილის დადგმით.

**- როგორც ვიცი, თურქეთიდან ბუდაპეშტში გადახვედით...**

- 2000 წელს ვარნაში გავემგზავრე საბალეტო ხელოვნების XIX საერთაშორისო კონკურსზე, სადაც პირველი პრემიის ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი გავხდი. ამის შემდეგ ბატონმა ოლეგ ვინოგრადოვმა, რომელიც თავის დროზე კიროვის თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი იყო, ხოლო ამჟამად სამხრეთ კორეაში - სეულში იმყოფება, საგასტროლოდ მიმიწვია ევროპის ტურნეში ბალეტებით "დონ კიხოტი" და "გედების ტბა". ძალიან კარგად ჩაიარა ყველაფერმა, რის შემდეგაც ისევ თურქეთში დავბრუნდი. მოგეხსენებათ, შემოქმედს მუდმივად წარმატებისკენ სწრაფვა ახასიათებს და რაღაც ეტაპზე მიღწეული აღარ აკმაყოფილებს. ამიტომ თურქეთიდან ბუდაპეშტში გავემგზავრე და ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოვხვდი "არტ ბალეტის" კერძო კომპანიაში, სადაც ნეო-კლასიკურ დადგმებში ვცეკვავდი. პარალელურად, ბუდაპეშტის ოპერისა და ბალეტის თეატრში მქონდა მიწვევები. "არტ ბალეტის" კომპანიის ხელმძღვანელია ფრანგი ბალეტმეისტერი მიშელ ბობოტი, რომელმაც ძალიან საინტერესო ნეო-კლასიკური ბალეტი, "მოცარტი," დადგა რექვიემის მუსიკაზე.

**- როგორ გგონიათ, კლასიკური ბალეტის მოცეკვავემ ყველა ტიპის დადგმაში უნდა გამოსცადოს თავი?**

- დიახ, და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ნეო-კლასიკაში რაღაც წვლილი მეც შევიტანე და შემოქმედებაშიც უფრო გამომადგა. ამან მეტი ელასტიურობა და პლასტიკა შემმატა. საერთოდ, რაც უფრო მრავალმხრივია ხელოვანი, მით უფრო საინტერესოა.

**- საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა გაქვთ მოვლილი. თქვენი აზრით, საქართველოში მეტად არის ბალეტი განვითარებული თუ ევროპაში?**

- რასაკვირველია, საზღვარგარეთ უფრო განვითარებულია, რადგან სახელმწიფოს მხრიდან იქ მეტი ყურადღება ექცევა საბალეტო ხელოვნებას, ვიდრე ჩვენთან. იქ ჩვეულებრივად არაფერი ხდება, მით უმეტეს - ბალეტში. იქ ყველა სპექტაკლი საუკეთესო განწყობით და დღესასწაულის განცდით მიმდინარეობს. უდიდესი ყურადღებაა მაყურებლის მხრიდანაც. ევროპაში ხალხი ზერელედ არაფერს უყურებს. აქ კი ყველაფერი გაუბრალოებულია. ჩვენს ხალხს თუ არ ექნება ზეიმის განცდა, არაფერი გამოვა. თურქეთში ძალიან დიდ პატივს სცემენ ბალეტს, კულტურას და, საერთოდ, ხელოვნების ყველა სფეროს.

**- ე.ი. იქ ბალეტი მაღალ დონეზეა ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ბალეტი თურქეთში საქართველოსთან შედარებით უფრო მაღალ დონეზეა, მაგრამ იქ სხვანაირი განწყობა, მოქცევა, შეხედულება და ურთიერთობაა. სახელმწიფოსგანაც მეტი მატერიალური დაფასება და ყურადღება აქვთ. მოკლედ, იქ ყველა თავის საქმეს აკეთებს და "თავის სკამზე ზის".

**- პარტნიორებს რაც შეეხებათ...**

- თავიდან ვასიკო ახმეტელთან (ჭიჭიაშვილი) ერთად ვცეკვავდი. შემდეგ ირაკლი ბახტაძე იყო ჩემი მუდმივი პარტნიორი და ჩვენ ერთადაც გავემგზავრეთ ჯერ თურქეთში და შემდეგ ბუდაპეშტში. ისე, სხვა მრავალ ბალეტის მოცეკვავესთან ერთად გამოვსულვარ თურქეთშიც და ბუდაპეშტშიც, მაგრამ მუდმივ პარტნიორებად ისინი მაინც არ ითვლებიან. ირაკლის რაც შეეხება, ძალიან დიდი მომავალი აქვს, ნიჭიერი მოცეკვავეა და თან სრულიად ახალგაზრდა. მწყინს, რომ პირველ საღამოს ირაკლი ვერ იცეკვებს. პარტნიორის უეცრად შეცვლა საკმაო სირთულეს წარმოადგენს.

**- ეს გასტროლები რასთანაა დაკავშირებული?**

- ზაფხულში დასასვენებლად ვიყავით ჩამოსულები. შვებულება რაღაც პრობლემების გამო გაგვიგრძელდა და, თეატრის შემოთავაზებით, გადავწყვიტეთ, "გედების ტბა" გვეცეკვა და ამით საბალეტო სეზონიც გაგვეხსნა. თბილისში ბოლოს ამ ორი წლის წინ ვიყავი გასტროლებზე ჩამოსული ბალეტებით "დონ კიხოტი" და "მაკნატუნა".

**სამომავლო გეგმები?**

- საქართველოში ვაპირებ დარჩენას, რადგან ჩემი შვილიც და ოჯახიც აქ მყავს. ოპერის თეატრი ყოველმხრივ ხელშეწყობას მპირდება. მეც მინდა, უკეთესობისკენ რაღაც შეიცვალოს და იქნებ ჩემი წვლილიც შევიტანო საბალეტო ხელოვნების გამოცოცხლებაში. საერთოდ, ჩვენთვის - მოცეკვავეებისთვის ყველაზე მთავარია, მაყურებელმა არ მიგვატოვოს იმ მომენტში, როდესაც როგორც შემოქმედს ძალიან გვჭირდება მისი თანადგომა. გასტროლები მაინც სხვა მოვლენაა – თითქოს, მაყურებელიც უფრო სხვანაირად გიყურებს, მაგრამ თუკი აქ იკიდებ ფეხს, იმ წუთში რაღაც უბრალო ხდები. იმედი მაქვს ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება და ქართული ბალეტის განვითარებაში ჩემს წვლილსაც შევიტან, მით უმეტეს, რომ ბალეტი კულტურაა და არა შოუ-ბიზნესი. ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

**P.S.** რაც შეეხება ირაკლი ბახტაძეს, რომელმაც, თითქმის, ისეთივე შემოქმედებითი გზა განვლო თურქეთში და ბუდაპეშტში, როგორც ლალი კანდელაკმა, კონტრაქტის თანახმად, ისიც ერთი სეზონის მანძილზე თბილისის ოპერის სცენაზე აპირებს მოღვაწეობას. მართალი გითხრათ, ამ ფაქტმა პირადად მეც ძალიან გამახარა, რადგან ბალეტომანები ყოველთვის მორიგი გასტროლების მოლოდინში იყვნენ, რაც არცთუ ისე ხშირად ხდება. ამიტომ, იმედია წლევანდელი საბალეტო სეზონი დიდ გამოცოცხლებას და უამრავ დღესასწაულს მოგვიტანს.

# ᲠᲐᲡ ᲩᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ

გუშინ ვერაზე, "ომეგას" შენობაში ამ შემთხვევაში ისტორიკოსმა ლაშა ბაქრაძემ მოხსენება წაიკითხა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქართული ემიგრანტული პრესის მიმოხილვით ამდენი ადამიანი დაინტერესდებოდა - ხალხიც მრავლად შეგროვდა და დისკუსიაც გაცხოველებული გაიმართა.

ახალი ქართული ისტორიის შესწავლა ქართული ემიგრანტული პრესის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. არადა, ქართული ემიგრანტული პრესა დიდ გეოგრაფიულ სივრცეში – ბუენოს აირესიდან ჰარბინამდეა გაბნეული. არ არსებობს არანაირი ბიბლიოგრაფია არც ქართული ემიგრანტული პრესის და, მითუმეტეს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა. ლაშა ბაქრაძე შეეცადა გერმანიაში გამოსული ქართული პრესის მოკლე ისტორია მოეთხრო და ბიბლიგორაფია შეედგინა.

ქართული პრესის ისტორია გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს იწყება – გაზეთით ქართველ ტყვეთათვის "კავკასია". ეს გაზეთი ხელით იყო

*პირველი ემიგრანტული გაზეთი გერმანიაში.*

დაწერილი და ვრცელდებოდა ტყვეთა ბანაკებში, ისევე როგორც გერმანელების მიერ სხვა ენებზე გამოცემული გაზეთები. ეს გაზეთი დიდად პოპულარული ქართველ ტყვეთა შორის, როგორც ჩანს, არ ყოფილა და ამიტომ ქართველმა ემიგრანტებმა, რომლებმაც 1914 წელს ჩამოაყალიბეს საქართველოს გათავისუფლების კომიტეტი (პეტრე სურგულაძე, მიხაკო წერეთელი, ძმები კერესელიძეები და სხვ.) გერმანელებს სთხოვეს ბეჭდური ტიპის ჟურნალის გამოცემა. 1916 წლის მარტიდან 1918 წლის სექტემბრამდე გამოდიოდა "ქართული გაზეთი". ამ გაზეთის შემდეგ დაგეგმილი იყო ახალი ქართულ-გერმანული ორგანოს "ევროპის მოამბის" გამოცემა. როგორც ჩანს, ეს გაზეთი არასდროს გამოსულა, რადგან 1918 წლის ნოემბერში გერმანიაში რევოლუცია მოხდა და გერმანიას აღარ ეცალა საქართველოსთან კონტაქტებისათვის.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციის ახალი ტალღა წავიდა ევროპაში. როგორც საქართველოს წარმომადგენელი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელი წერდა, გერმანიაში რამდენიმე ათასი ქართველი ემიგრანტი იყო 20-იანი წლების დასაწყისში. 1923 წელს ბერლინის ქართული კოლონია გამოსცემდა ზეპარტიულ ჟურნალ "საქართველოს მოამბეს". საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ემიგრანტებს შორის პროპაგანდა გაეწია სამშობლოში დაბრუნების მიზნით. ამ მიზანს ემსახურებოდა გრიგოლ ვეშაპელის მიერ პარიზში გამოცემული ყოველთვიური "ახალი საქართველო", რომლის ერთი ნომერიც 1925 წელს გერმანიაშიც გამოუციათ. ასევე პარიზული ჟურნალი "თეთრი გიორგის" რამდენიმე გერმანული ნომერიც არის ცნობილი. ნაციონალ-სოციალისტების გერმანიის სათავეში მისვლის შემდეგ გამოდიოდა ქართველ ნაციონალისტთა ორგანო "კლდე", რომელმაც ორი წელიწადი იარსება. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების წინ, 1940 წელს კი ჟურნალ "ახალი დროების" ერთი ნომერია გამოსული. ომის დროს გერმანიის უამღლესი მთავარსარდლობა პირველი მსოფლიო ომის მსგავსად გერმანიის მხარეზე მებრძოლ ქართველთათვის გამოსცემდა გაზეთ "საქართველოს". ომის დროს გამოდიოდა ჟურნალი "ქართველი ერიც", რომელიც ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდული გამოცემაა. გაზეთ "საქართველოს" დამატებად გამოსულია ერთი ნომერი ჟურნალი "საქართველოსი".

ასეთია ლაშა ბაქრაძის ბევრად უფრო ვრცელი მოხსენების მოკლე შინაარსი. იმედია, ლაშა ბაქრაძე თავის მოხსენებას უფრო ვრცელი სტატიის სახით გამოაქვეყნებს.

# წიგნის სამყარო

## ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 2003

ანა კორძაია-
სამადაშვილი

*2003 წლის 8-დან 13 ოქტომბრამდე ფრანკფურტში მსოფლიოს უდიდესი წიგნის ბაზრობა ტარდება. 178 ათასი კვადრატული მეტრის ფართობზე 100-ზე მეტი ქვეყნიდან 6.400-ზე მეტი გამომცემელი 350 ათას წიგნს წარმოადგენს. ბაზრობაზე 270 ათას დამთვალიერებელს ელიან, მათ შორის, 175 ათასი ადამიანის საქმიანობის სფერო წიგნი გახლავთ და 500 ლიტერატურული აგენტისა და საავტორო უფლებებით მოვაჭრისთვის ეს წლის ყველაზე მნიშვნელოვანი კვირაა.*

### ბაზრობათა ბაზრობა

ეს ერთი დიდი ბაზრობა მრავალ ბაზრობას მოიცავს. ამდენ განსხვავებულ წიგნს სხვაგან ვერსად შეხვდებით და ამიტომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ყოველ სფეროს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. წიგნები ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ბელეტრისტიკა, თანამედროვე ლიტერატურა, სასწავლო წიგნები – რომელი ერთი ჩამოვთვალოთ; რაც უნდა მოინდომოთ, ყველა დარბაზის შემოვლას და დათვალიერებას მაინც ვერ მოასწრებთ, გულდასმით შესწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თან წელს მთელ ამ სიკეთეს Plaza Latina ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფორუმებიც დაემატა.

მოკლედ, ვისაც გაუმართლა და ფრანკფურტში ამოყო თავი, მოწყენა ნამდვილად არ უწერია: პრეზენტაციები, ავტორებთან შეხვედრები, დისკუსიები და, რასაკვირველია, უამრავი წიგნი, რომლების შეძენაც მტკიცე, მაღაზიის ფასებად შეიძლება. ბაზრობის ბოლო დღეს, თუ წინასწარ განსაზღვრავთ, კონკრეტულად რა გაინტერესებთ – ეს კი, გარწმუნებთ, არცთუ იოლი ამოცანაა – გამომცემლობების ნაწილისგან შეიძლება წიგნები ნახევარ ფასად შეიძინოთ, და თუ ძალიან, ძალიან შეეხვეწებით, შეიძლება გაჩუქონ კიდეც.

### ფესტივალი ყველასათვის

იმ ხალხის გარდა, რომელიც ბაზრობაზე ფულის გაკეთებას გეგმავს, რიგით მოკვდავებსაც დიდძალი სიხარული ელით. სხვა თუ არაფერი, პარასკევს, 16-დან 20.30 საათამდე დიდი ზეიმი გაიმართება. ამ დღეს პაოლო კოელო მსოფლიოს უამრავ ენაზე თარგმნილ "ალქიმიკოსს" წარმოადგენს, ენა კი, მართლაც, უამრავია – ამ მაჩვენებლით ავტორი გინესის რეკორდთა წიგნშია შესული. იმავე დღეს ერთ-ერთ დარბაზში "რუსული დისკოთეკაც" გაიმართება.

შაბათს "დისკოთეკას" საპატიო სტუმარი, გიუნტერ გრასი შეცვლის. ის თავისი ახალი კრებულიდან, "უკანასკნელი ცეკვებიდან" წაიკითხავს ლექსებს, თან საკმაოდ უჩვეულოდ – მთელი ორკესტრის თანხლებით. ასე რომ, მიბრძანებული საზოგადოება ლირიკითაც დატკბება და ცეკვასაც შეძლებს.

### შემოსავლის წყარო იდეები

თუმცა, ამას ყველა ვერ ამჩნევს, მაგრამ ბაზრობაზე დიდი მუშაობაა გაჩაღებული – მისი ძირითადი მიზანი მაინც პროფესიონალთა შეხვედრაა. გამომცემლები, ბიბლიოთეკარები, წიგნით მოვაჭრენი, ლიტერატურის მთარგმნელები, ილუსტრატორები ამ დღისთვის მთელი წელი ემზადებიან ხოლმე. მათ ყოველი წუთი წინასწარ აქვთ დაგეგმილი. უნდა მოგახსენოთ, რომ ბაზრობის შემდეგ კარგახანს უწევთ სულის მოთქმა, წუწუნებენ და ამბობენ, - მომავალ წელს თავს ასეთ დღეში აღარ ჩავიგდებთო, მაგრამ არ დაიჯერო: ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობამ, ისევე, როგორც ყველა სხვა სიკეთემ, ნარკოტიკივით მიჩვევა იცის.

### საპატიო სტუმარი რუსეთი

წლევანდელი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანაა - რუსეთი. რუსეთის "საპრეზენტაციოდ" ოთხ ათასზე მეტი კვადრატული მეტრის ფართობია გამოყოფილი. 200 გამომცემლობა და 100 ავტორი, 20 დისკუსია, მრავალი გამოფენა და კონცერტი ამ დღეებში ფრანკფურტელებს და ბაზრობის სტუმრებს ახალი თვალით დაანახებს რუსულ კულტურას. გერმანიაში უკვე კარგად ცნობილ ავტორებთან ერთად, როგორებიც არიან - ეროფეევი, აკუნინი, პელევინი თუ სოროკინი; ფრანკფურტში ახალი თაობის რუსი ლიტერატორებიც წარდგებიან თავიანთი შემოქმედებით.

### საზეიმო გახსნა

მაშ, ასე: სამშაბათს, 7 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა ფრანკფურტის 55-ე წიგნის ბაზრობა. ფრანკფურტის მერიის შენობაში, "რომაელებში" გამართულ მიღებაზე სტუმარი ქვეყნის – რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლების სახელები ქალაქ ფრანკფურტის "ოქროს წიგნში" შეიტანეს.

ბაზრობის კონგრესის ცენტრში ფრანკფურტის მერმა პეტრა როთმა და კულტურის მინისტრმა დოქტორმა კრისტინა ვაისმა მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს. გამოფენის გახსნის მაუწყებელი ჩაქუჩის დაკვრის პატივი გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანების თავმჯდომარეს დიტერ შორმანს ხვდა წილად.

ძველ ოპერაში გალა-კონცერტი გაიმართა - "რუსული ხელოვნების ვარსკვლავი", შემდეგ კი – დიდი წვეულება, და ვინაიდან გერმანია ძალიან დემოკრატიული ქვეყანაა, გალა-კონცერტზე დასწრება, პრაქტიკულად, ყველას შეეძლო – ბილეთების ფასი 25-დან 45 ევრომდე მერყეობდა.

■ ■ ■

მსოფლიოს 80 ქვეყნიდან ჩასული 12 ათასი ჟურნალისტი თავის ქვეყანას ყოველდღიურად ახალ-ახალ მასალას მიაწვდის – მასალა კი უხვად ექნებათ. ჩვენც ვეცდებით, საქმის კურსში გამყოფოთ.



*წიგნის ბაზრობის კოშკი*

# ბონო პეტიას როლში

თამარ ბაბუაძე

21 ნოემბერს ნიუ იორკში აუქციონის სახლი "კრისტი" ერთ საინტერესო საღამოს მოაწყობს – "პეტია და მგელი": ირლანდიის უიმედო პაციენტთა საავადმყოფო-თავშესაფრისთვის გამართული საქველმოქედო აუქციონი.

ინტერესს არა თავად პროკოფიევის ნაწარმოები აღვივებს, არამედ ის, რომ აუქციონზე "პეტია და მგლისთვის" U2-ს ლიდერის, ბონოს მიერ დახატულ ილუსტრაციებს გაყიდიან. დიდ თეთრ ტილოებზე შავი ფერის სალებავით შესრულებული სასაცილო ფიგურები – შავსათვალიანი პეტია, ბოროტი მგელი, სექსუალური ფისო, ჩიტები, ყვავილები – ანუ, ყველაფერი ის, რაც ბონომ დახატა, ნიუ იორკში წაღებამდე ამ დღეებში ჯერ დუბლინში, შემდეგ კი ლონდონში გამოფინეს. თავად მუსიკოსმა კი გუშინ დუბლინის მერიის დარბაზში ჟურნალისტები შეკრიბა და ამ ახალი პროექტის შესახებ დიდხანს ისაუბრა.

ბონო აცხადებს: "ხელოვნება ისე ძლიერ მიყვარს, რომ ამ ნახატებს ფანქრის უბრალო მოსმას თუ ვუწოდებ, სხვას ვერაფერს".

თუმცა, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ბონოს მხატვრობა მის მუსიკალურ შემოქმედებასთან, გამოფენამ უკვე მოახერხა უდიდესი რეზონანსის გამოწვევა. ხალხისთვის ეს ხომ ცნობილი ადამიანის კიდევ ერთი დაფარული ნიჭის გამჟღავნებას ნიშნავს: გარდა იმისა, რომ მღერის, მუსიკას წერს, შიდსით დაავადებულებს ეხმარება, ბონო, თურმე, ხატავს კიდეც – აი, როგორ უდგება საკითხს პრესაც და "კრისტიც", რომლის მესვეურნიც ვარაუდობენ, რომ აუქციონი წარმატებით ჩაივლის.

რაც შეეხება "პეტია და მგელს", ეს საბავშვო სიმფონია 1936 წლიდან მოყოლებული ათასგვარი ექსპერიმენტის ობიექტია. სხვადასხვა დროს ჩაწერილ კომპაქტებზე პატარა პეტიას ამბავს ვინ აღარ გვიამბობდა: სტინგი, დევიდ ბოუი, სულ ბოლოს კი ბილ კლინტონი და მიხაილ გორბაჩოვი. ახლა ამ ნუსხას ირლანდიელი ბონოც შეუერთდა. თუმცა, მას, როგორც ყოველთვის, გამორჩეულად კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს – როგორც აუქციონის სათაურიდან ირკვევა, შესული თანხა მთლიანად გადაერიცხება საავადმყოფო-თავშესაფარს, სადაც ორი წლის წინ ბონოს მამა სიმსივნით გარდაიცვალა.

ასე რომ, ამ საინტერესო პროექტში ბონო მადლიერების გრძნობის გამო ჩაერთო. იდეა კი საავადმყოფოს თანამშრომლებს დაებადათ. ისინი დაუკავშირდნენ ბონოს და "პეტია და მგლის" ახალი გამოცემის დასურათება სთხოვეს, შემდეგ დაითანხმეს მუსიკოსები გევინ ფრაიდეი და მორის სიზერი და მათ "პეტია და მგლის" ახალი ვერსიის დისკზე ჩაწერა მიანდეს.

პროკოფიევის სიმფონიაზე ახალი ვარიაცია ბონოსაც ძალიან მოეწონა. ბანჯო, აკორდეონი, კლარნეტი, მანდოლინა, ჩელო, პერკუსია, ფლეიტა, ფორტეპიანო – ეს ინსტრუმენტები, მართლაც, საოცარ ჰანგებს ქმნიან. "მუშაობა 4 დღეში დავასრულეთ. ამ პერიოდში რაღაც განსაკუთრებული მოხდა. ასე გვეგონა, მუსიკის ლაბირინთებში დავიკარგეთ. თავს უკვე გარკვეული მელოდიის ავტორებად კი არ ვგრძნობდით, არამედ ცბიერ, გამომწვევ კატებად, ბოროტ მგლებად, საყვარელ ჩიტებად, სულელ ბატებად"... – იხსენებს გევინ ფრაიდეი.

*ბონოს შემოქმედებას ლონდონში ეცნობიან.*

სწორედ ამ დისკს ერთვის თან 64 გვერდიანი წიგნი, რომლის ილუსტრაციებზეც ბონო და მისი ორი ქალიშვილი 14 წლის ჯორდანი და 12 წლის ივი მუშაობდნენ. პატარა პეტიას როლში ბონო გვევლინება, ცბიერი და ეროტიკული კატის ნახატის მიღმა კი მისი მეუღლე, ელი მოიაზრება. "როცა მას ვუთხარი, ჩემს ნახატში უკვდავგყოფ-მეთქი, მგონი არ მოელოდა, რომ მთლად კატის როლს მოვარგებდი", - ხუმრობს ბონო.

"პეტია და მგლის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი ბონო უფრო სერიოზულად, მეტიც, ფილოსოფიურადაც კი განმარტავს ამ ახალი პროექტის კონცეფციას. მუსიკოსი ყველაფერს ბავშვობას უკავშირებს და იგონებს:

"კარგად მახსოვს, ბებიაჩემის პიანინოსთან რომ ვიდექი, თავით კლავიატურას ძლივს ვწვდებოდი. თუ ფეხის წვერებზე ავიწეოდი, შავ და თეთრ კლავიშებს ვეხებოდი კიდეც, მაგრამ დანახვით მათ ვერაფრით ვხედავდი. მახსოვს ის საოცარი ბგერაც, რასაც ჩაქუჩის სიმზე შეხება იწვევდა, ამ დროს თავში რაღაც ხდებოდა – ათასგვარი მელოდია მიტრიალებდა გონებაში. მაშინ უკვე ვხვდებოდი, რომ მუსიკა იყო ის სათამაშო მოედანი, რომლის მიტოვებასაც ვერასდროს შევძლებდი, ვერც ბავშვობის ხანიდან გამოსვლის შემდეგ.

მერე პიანინო გაყიდეს. დიდხანს ვიხვეწებოდი, დამიბრუნეთ ინსტრუმენტი-მეთქი, მაგრამ ამაოდ. ახლა, ალბათ, გაიფიქრეთ, პატარა, საცოდავი ბონოო, არა? ნურას უკაცრავად – ყველა შეიბრალეთ ჩემს გარდა, რადგან იმ წამიდანვე შურისძიება ჩავიდე გულში. ვფიქრობდი, რომ მალე დადგებოდა დრო, როდესაც ყველა მე მომისმენდა, როდესაც მათ, უბრალოდ, სხვა არჩევანის საშუალებაც არ ექნებოდათ. მსგავსი შურისძიების ასრულებას კი, ხომ იცით, ხანდახან მთელი ცხოვრებაც სჭირდება...

მაშინ ყველაზე მეტად დაბოღმილი მამაჩემზე ვიყავი – შესანიშნავ ტენორზე, რომელსაც ვერაფრით წარმოედგინა, რომ მუსიკა მისგან "დე ენ ემ"-ით ისევე გადმომეცა, როგორც ზურგის ტკივილები და ფეთქებადი ხასიათი. ასე რომ, შურის ძიებას პირველ რიგში მამაზე ვაპირებდი და კიდევ მუსიკალური განათლების სისტემაზეც, რომელიც ბავშვს მხოლოდ იმიტაციას ასწავლის და არა თხზვის, შემოქმედების სიამოვნებას...

"პეტია და მგელი", ჩემი აზრით, გაკვეთილია – როგორ ვასწავლოთ ბავშვებს. მე ეს საავადმყოფო-თავშესაფრისთვის გავაკეთე, სადაც საოცრად კეთილშობილი ადამიანები დიდხანს უვლიდნენ ჩემს მომაკვდავ მამას".

*ელი და ბონო – კატა და პეტია*

REUTERS

ბონოს ეს ამაღელვებელი აღსარება, ცხადია, ინტერესს პროკოფიევის მრავალგზის "ნაწვალები" სიმფონიის მიმართ კიდევ უფრო აღვივებს. მეტიც, ეს პროექტი გაცილებით უფრო საინტერესო ჩანს, ვიდრე კლინტონისა და გორბაჩოვის ჩანაფიქრი იყო. მართალია, პოლიტიკოსობა ხანდახან ბონოსაც ძალიან უყვარს, მაგრამ ის ხომ, პირველ რიგში, ხელოვანია, რაზეც თუნდაც მისი ვრცელი და პოეტური "ახსნა-განმრატებაც" მეტყველებს. ის გვაიძულებს, დავივიწყოთ პროექტის კომერციული მიზნები და ინტერესით დაველოდოთ 21 ნოემბერს – დიდი აუქციონის დღეს; მერე კი, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ ამბავი პეტიასი, ოდეს მგელს შეიპყრობდეს.

დაბოლოს, იმისთვის, რომ "პეტია და მგლის" ახლებური ვერსიის მოსმენა არც დიდებს შერცხვეთ, პროექტის ერთ-ერთი მონანილე, მორის სიზერი სტრავინსკის შემდეგ ციტატას იმოწმებს: "შემოქმედი კაცი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დიდ ბავშვად რჩება. თუ ის ოდესმე ვეღარ შეძლებს განიცადოს უნივერსალური გრძნობები, ე.ი. ის ხელოვანი აღარ არის".

# საიდან მოვდივართ, რანი ვართ, საით მივდივართ...

*ზვიად ბერიძე საკუთარი ნამუშევრების ფონზე.*

ნათია ვადაჭკორია

გალერეა "ჰობის" და გრიგოლ ხანძთელის საზოგადოების (ხელმძღვანელი მერაბ ბერიძე) ძალისხმევით, გუშინ ერთობლივად განხორციელდა ზვიად ბერიძის ფოტოგამოფენა სახელწოდებით "ქართლად ფრიადი ქვეყანანი აღირაცხების", რომელიც ამ ზაფხულს ტაო-კლარჯეთში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრეველის თაოსნობით განხორციელებულ მეცნიერთა ექსპედიციისას გადაღებულ ტაო-კლარჯეთის უნიკალურ ძეგლებს ეძღვნებოდა. ექსპედიციაში, რომელიც ივლისის თვეში მოეწყო, როგორც საერო, ისე საეკლესიო პირები – მეუფე სტეფანე და მეუფე თეოდორე მონაწილეობდნენ, რომელთაც ძირძველ ქართულ მიწაზე ყოფნის დროს ხანძთაში წირვა აღასრულეს. სწორედ ამ მოვლენას მიესადაგება გიორგი მერჩულეს სიტყვები: "ქართულითა ენითაი ჟამი შეინირვის და ჟამი აღესრულების"... ვერავინ იფიქრებდა, ალბათ, რომ ამდენი საუკუნის შემდეგ ეს სიტყვები ასეთი აქტუალური იქნებოდა.

ხელოვნებათმცოდნის, რესტავრატორისა და ხატმწერის ზვიად ბერიძის მიერ ექსპედიციის ხუთი დღის მანძილზე გადაღებული 500-მდე ფოტოდან გამოფენისთვის 150 შეირჩა, რომლებიც თავიანთი სახელწოდებიდან გამომდინარე – "ხანძთა", "წირვა ხანძთაში", "მეუფე სტეფანე", "მეუფე თეოდორე", "ზიარება", "ხანძთის წყარო", "ხახული", "ბანა", "ჭოროხის ხეობა", "ბერთაფრენა ბანაში", "პარხალი", "შხნის სიმშვიდე" და სხვანი – მართლაც, სიმშვიდის, ერთგვარი სიამაყის და, ამავე დროს, სინანულის გრძნობას ბადებს. სიმშვიდეს უკვდავი ძეგლები იწვევს, სიამაყეს ის, რომ ყველა მათგანი ქართველების ხელითაა თავის დროზე შექმნილი, ხოლო სინანულს - ამჟამად არც ერთი მათგანი რომ აღარ გვეკუთვნის. თავად ფოტოების ხარისხზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ზვიად ბერიძე მხოლოდ მოყვარული ფოტოგრაფი გახლავთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა, მხატვრის ხედვა და ხელოვნებათმცოდნის თვალი ფოტოების გადაღების რაკურსს ნამდვილად ემჩნევა.

რა განცდაა, როდესაც ტაო-კლარჯეთის მიწაზე ქართველი კაცი პირველად ადგამს ფეხს? ამ შეკითხვაზე ზვიად ბერიძემ ძალზედ კონკრეტული და ამომწურავი პასუხი გაგვცა – "როდესაც შედიხარ ეკლესიაში, მართალია, სხვა ქვეყანაში ხარ, მაგრამ ყველაზე დაცულ ადამიანად გრძნობ თავს - ამაზე დიდი რამ არ არსებობს".

**- რასაც ვერ იგრძნობ საკუთარ ქვეყანაში...**

- პარალელს ვერ გავავლებ, იქ სხვა მომენტია. საკუთარ ქვეყანაში იცი, რომ ყველაფერი შენია. ტაო-კლარჯეთში კი, პრაქტიკულად, არაფერი გეკუთვნის, არადა სისხლხორცეულად, გენეტიკურად შენია.

**- როგორც ვიცი, ხელოვან ადამიანს პოლიტიკაში გარევის სურვილი დაგბადებიათ და ასპინძის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად იყრით კენჭს. არადა, ამბობენ, - პოლიტიკოსები უბედური ხალხიაო. მაინც, რამ გაფიქრებინათ პოლიტიკაში ჩაბმა?**

- ჩემი აზრით, პოლიტიკაც ხელოვნებაა.

**P. S.** ყოველივე ამის გამგონეს და შემხედვარეს ნამდვილად დაგებადება აზრი – საიდან მოვდივართ, რანი ვართ, საით მივდივართ...

# "რეიდიოჰედის" წევრები სოლო პროექტებმა გაიტაცეს



*ჯონი გრინვუდი.*

როგორც ცნობილია, უამრავი მუსიკალური ჯგუფის დაშლის ძირითადი მიზეზი ცალკეული წევრების სოლო პროექტებით გატაცებაა. ასეთი მუსიკოსების გზას დაადგა "რეიდიოჰედის" გიტარისტი ჯონი გრინვუდიც. მუსიკოსი თვის ბოლოს ჰოლივუდის დაკვეთით ალბომს გამოუშვებს. ალბომზე "რეიდიოჰედის" კიდევ ერთმა წევრმა, ბას-გიტარისტმა კოლინ გრინვუდმაც მიიღო მონაწილეობა. საუნდთრეკი ფილმისთვის "სხეულის სიმღერა" 27 ოქტომბრამდე გამოჩნდება აუდიოდახლებზე. ამას მოყვება ვიდეოკლიპი, რომელსაც ალბომის ერთ-ერთი ძირითადი კომპოზიციისთვის გადაიღებენ. რეჟისორ საიმონ პამელის ნამუშევარი კი ეკრანებზე 5 დეკემბერს გამოვა.

# ჰოლივუდი იაპონიას არ ეშვება

მას შემდეგ, რაც ამერიკული ფილმის "ზარის" (რეჟისორი გორ ვერბინსკი. 2002 წ.) ვარიანტმა დიდი აღიარება მოიპოვა, ჰოლივუდში დაიწყო მუშაობა ჰიდეო ნაკატის ახალი მისტიკური თრილერის "მუქი წყლების" (2002 წ.) რიმეიქზე. ფილმში დედა და ქალიშვილი ახალ ბინაში გადადიან, სადაც მათ მოსვენებას არ აძლევს პატარა გოგონას სული. დედის როლს ამერიკულ ვერსიაში ჯენიფერ კონელი შეასრულებს, ხოლო რეჟისორი იქნება ბრაზილიელი ვალტერ სალესი. ეს ფილმი მისთვის ინგლისურენოვანი დებიუტი იქნება.

ფეხბურთი

# საქართველოს პრესტიჟის დასაცავად...

## კალაძის, ქინქლაძისა და ქეცბაიას გარეშე

აკა ტონია

რუსეთ-საქართველოს მატჩამდე სამი დღე დარჩა. 11 ოქტომბერს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის უკანასკნელი შეხვედრები ჩატარდება. საქართველოს ნაკრებს რომ ევროპის ჩემპიონატზე გასვლის არავითარი შანსი აღარა აქვს, ცხადია, ყველამ კარგად ვიცით. თუმცა, რუსეთის ნაკრებთან გაზაფხულზე ჩატარებულმა მატჩმა იმდენად კარგი მოგონებები დაგვიტოვა, რომ ზოგიერთ ქართველ გულშემატკივარს სადღაც, გულის სიღრმეში, "დიდ მეზობელთან" კიდევ ერთი წარმატების იმედი მაინც შერჩა. მაგრამ ჩვენი ქომაგების უმეტესობა მაინც პესიმისტურად არის განწყობილი. აქვე გვახსენდება რუსეთის ნაკრების უკანასკნელი მატჩი შვეიცარიის წინააღმდეგ (4:1). ზოგი იმასაც კი ფიქრობს, რომ საქართველოს მოტივაციადაკარგული ნაკრები რუსეთს "დაუწვება"...

რა შედეგით დასრულდება მომავალი მატჩი, წინასწარ არავინ იცის, თუმცა, იმის მტკიცება, რომ ჩვენი ნაკრები გამიზნულად წააგებს, პირველ რიგში, ალბათ, საკუთარი თავის უპატივცემულობა იქნება. ყოველ შემთხვევაში, საპირისპირო აზრის არიან ნაკრების ხელმძღვანელები და ფეხბურთელები. ისევე როგორც ყოველი პრინციპული მატჩის წინ, ჩვენი გუნდის რიგებში საბრძოლო განწყობაა, აღარავის ახსოვს, რომ მომავალი მატჩი, საატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით, აღარაფერს წყვეტს. ჩვენი ნაკრები მოსკოვში ფეხბურთის სათამაშოდ მიემგზავრება და არა რუსებთან გასარიგებლად. მერაბ ჟორდანიასთვის ეს მატჩი უკანასკნელი იქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე და ის აუცილებლად შეეცდება, მწვრთნელობას წარმატებული მატჩით დაემშვიდობოს.

რუსეთთან მატჩისათვის მზადება საქართველოს ნაკრებმა ოფიციალურად გუშინწინ დაიწყო. 6 ოქტომბერს გუნდი ახალ ბაზაზე შეიკრიბა, თუმცა, არა მთლიანი შემადგენლობით. მოსკოვის კლუბებში მოთამაშე ლომაია, აშვეთია და ასათიანი გუნდს მოსკოვში დახვდებიან. ასევე მოსკოვში შეუერთდებიან ნაკრებს შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი, რომლებიც რუსეთის დედაქალაქში დღეს ჩაფრინდებიან. მოსკოვში უკვე გაემგზავრა ჩვენი ნაკრების მეკარეების მწვრთნელი ოთარ გაბელია, რომელსაც მოსკოვში მყოფი ჩვენი ფეხბურთელების შეკრება აქვს დავალებული.

მომავალ მატჩს საქართველოს ნაკრები გაძლიერებული შემადგენლობით ხვდება. ალბანეთთან გამართული უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ გუნდს დაუბრუნდნენ ლევან ცქიტიშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი. ისევ არ ითამაშებს კახა კალაძე, რომელმაც ტრავმა ვერ მოიშუშა. ნაკრების ხელმძღვანელობამ რუსეთთან მატჩისთვის არ გამოიძახა გიორგი ქინქლაძე, რომელიც ამჟამად ისევ უგუნდოდაა.

შემადგენლობაში კი არის მატება, თუმცა, საპირისპირო მდგომარეობაა მწვრთნელთა შტაბში. მოსკოვურ მატჩში ჟორდანიას თანაშემწეობას აღარ გაუწევს თემურ ქეცბაია, რომელიც არც თბილისში ჩამოფრენილა და არც მოსკოვში აპირებს ჩასვლას. თბილისში არ იმყოფება მიხეილ ყაველაშვილიც, თუმცა, მეორე მწვრთნელის ფუნქციას ის კვლავ შეასრულებს. ისევე როგორც ლეგიონერები, ყაველაშვილიც მოსკოვში შეუერთდება გუნდს.

აკა ტონია დოდო

*ჟორდანიას ასისტენტობას ქეცბაია აღარ გაუწევს.*

საქართველოს ნაკრების თბილისში მყოფი კონტინგენტი თავის უკანასკნელ მატჩს დღეს საღამოს გამართავს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. ხვალ, დილაადრიან კი, ავიაკომპანია "აირზენას" რეისით, საქართველოს ნაკრები და გულშემატკივრები, დაახლოებით 125 კაცის შემადგენლობით, მოსკოვში გაფრინდებიან.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა**

**მეკარეები:**
გიორგი ლომაია
*("სპარტაკი", მოსკოვი)*
დავით გვარამაძე
*("დინამო", თბილისი)*

**მცველები:**
ზურაბ ხიზანიშვილი
*("რეინჯერსი", შოტლანდია)*
ოთარ ხიზანეიშვილი
*("დინამო", თბილისი)*
გიორგი შაშიაშვილი
*("დინამო", თბილისი)*
დავით კვირკველია
*("დინამო", თბილისი)*
რევაზ ქემოკლიძე
*("ლოკომოტივი" თბილისი)*
გივი დიდავა
*("ქოჯაელისფორი", თურქეთი)*

**ნახევარმცველები:**
გიორგი ნემსაძე
*("დანდი", შოტლანდია)*
გოჩა ჯამარაული
*("მეტალურგი", დონეცკი)*
ლევან ცქიტიშვილი
*("ფრაიბურგი", გერმანია)*
ლევან კობიაშვილი
*("შალკე", გერმანია)*
მალხაზ ასათიანი
*("ლოკომოტივი", მოსკოვი)*
ლადო ბურდული
*("დინამო", თბილისი)*
ვიტალი დარასელია
*("დინამო", თბილისი)*
ლევან კორღალიძე
*("სკონტო", რიგა)*

**თავდამსხმელები:**
შოთა არველაძე
*("რეინჯერსი", შოტლანდია)*
მიხეილ აშვეთია
*("ლოკომოტივი", მოსკოვი)*
გიორგი დემეტრაძე
*("მეტალურგი", დონეცკი)*
ალექსანდრე იაშვილი
*("ფრაიბურგი", გერმანია)*

# აშვეთია და ლომაია რუსეთთან მატჩზე საუბრობენ

## რუსული პრესა ჩვენი ფეხბურთელების აზრით დაინტერესდა

*გიორგი ლომაიას, მალხაზ ასათიანისა და მიხეილ აშვეთიას სახით, საქართველოს ნაკრებში სამი "მოსკოველი" ლეგიონერია გამოძახებული. თუმცა, აშვეთიას, ალბათ, ყველაზე უფრო კარგად იცნობს ჩვენი მეტოქე. სწორედ აშვეთიამ გაუღო "ლოკომოტივს" ჩემპიონთა ლიგის კარი, როდესაც მან ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში ორი გოლი გაუტანა დონეცკის "შახტიორს". 11 ოქტომბრის მატჩი "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება, ასე რომ, ეს შეხვედრა ნაწილობრივ საშინაოც არის აშვეთიასთვის, თანაც, მიხო თავისი თანაგუნდელის, სერგეი ოვჩინიკოვის კარს შეუტევს. ასევე ლოკომოტიველმა ასათიანმა, სამწუხაროდ, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია "სპარტაკში" ახლად გადასული ლომაიაც. ჩვენი ნაკრების მოსკოვური ლეგიონი გუნდს რუსეთის დედაქალაქში შეუერთდება, მანამდე კი გაზეთ "Советский спорт"-ის კორესპონდენტი აშვეთიას და ლომაიას ესტუმრა და ეს მოკლე ინტერვიუებიც ჩაწერა.*

### აშვეთია: "რუსეთს წარმატებას ვუსურვებ"

**- "ლოკომოტივში" შენს თანაგუნდელებს ხშირად ესაუბრებოდი მომავალი მატჩის თემაზე?**

- ყოველდღე (იცინის)... თანაც, ყოველთვის ერთი და იგივეს ვიმეორებ: რუსეთის ნაკრებს წარმატებას ვუსურვებ.

**- კი მაგრამ, ეს წარმატება ხომ საქართველოს ნაკრებზეა დამოკიდებული?**

- ჩვენზე? რას გულისხმობთ? ჩვენ პატიოსნად ვითამაშებთ და, დე, ძლიერმა გაიმარჯვოს. პირადად მე, მიუხედავად იმისა, რა შედეგით დასრულდება ეს მატჩი, ჩემს ყველა ლოკომოტიველ თანაგუნდელს გადავეხვევი, როგორც ახლო მეგობრებს.

**- თამაში თქვენთვის კარგად ნაცნობ "ლოკომოტივის" სტადიონზე მოგიწევთ. რაიმე რჩევებს ხომ არ მისცემთ თანაგუნდელებს?**

- აუცილებლად! ვეტყვი, თუ სად უფრო სწრაფად მოძრაობს ბურთი, სად უფრო კარგი მინდორია (იცინის)...

**- თქვენი აზრით, რატომ არის, რომ საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობენ, მუდამ წარუმატებლად გამოდის?**

- მთავარი მიზეზი მწვრთნელებთან დაკავშირებული ქაოსია. მწვრთნელებს განუწყვეტლივ ცვლიან. მაგალითისთვის შორს არ წავალ. შუშაკის ამბავი გაიხსენეთ. ის კარგი სპეციალისტია, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მას თბილისის "დინამომ" ნაკრებში მოღვაწეობა აუკრძალა, შუშაკი იძულებული იყო, გუნდი მიეტოვებინა. ნაკრები კი მწვრთნელის გარეშე დარჩა...

### ლომაია: "რუსეთთან წარმატების გამეორება შეგვიძლია"

**- "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში ჯერჯერობით ადგილი ვერ დაიმკვიდრეთ. ხომ არ ნანობთ აქ გადმოსვლას?**

- კლუბში ობიექტური და სამართლიანი კონკურენციაა, რომელსაც ჯერჯერობით ვაგებ. ზაფხულში კიევის "დინამოში" გადასვლის შანსი მქონდა. კონკურენცია იქაც დიდია – შოვკოვსკი, რევა... შევხვდი პრეზიდენტ სურკისსაც, რომელიც ძალიან კატეგორიულად იყო განწყობილი. მეპატიჟებოდა "მანჩესტერ სიტიც"... მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულია – ყველა დანარჩენ ვარიანტს "სპარტაკი" ვარჩიე, თანაც, გააზრებულად.

**- თქვენი კოლეგა ვოიცეხ კოვალევსკი, მართლაც, პირველია, თუ მწვრთნელები არ რისკავენ მეკარის შეცვლას?**

- ახლა კოვალევსკი ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას იოლი ცხოვრება არ ელის. ზამთრის შესვენების შემდეგ სერიოზულად ვიბრძოლებ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად. დარწმუნებული ვარ, შანსს მომცემენ.

**- როგორი რეაქცია აქვს საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბს იმ ფაქტზე, რომ მეკარე ლომაიას სათამაშო პრაქტიკა აკლია?**

- როდესაც გუნდს შევუერთდები, ამ ფაქტთან დაკავშირებით სანუგეშოს ვერაფერს მოვისმენ. ამაში დარწმუნებული ვარ. "რატომ არ თამაშობ?" – ამ კითხვას აუცილებლად დამისვამენ. თუმცა, თითქმის ყველა მატჩში საქართველოს ნაკრების კარს მე ვიცავდი, მათ შორის, იმ შეხვედრაშიც, რომელშიც რუსეთი დავამარცხეთ.

**- რა შედეგი დააკმაყოფილებს თქვენს გუნდს მოსკოვში?**

- წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ თუ ერთხელ უკვე დავამარცხეთ რუსეთი, რატომ არ უნდა გავიმეოროთ ეს წარმატება? ჩვენ ყოველ შეხვედრაში ვცდილობთ გამარჯვებას. არც მოსკოვური შეხვედრა იქნება გამონაკლისი. თუ ობიექტური ვიქნები, რუსეთის ნაკრების სათავეში გიორგი იარცევის მოსვლის შემდეგ თქვენი გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა.

**- თქვენ გამარჯვებაზე საუბრობთ, მაგრამ რაში გჭირდებათ სამი ქულა, როდესაც ჯგუფიდან გასვლის არავითარი შანსი აღარ გაქვთ?**

- ჩვენ ქვეყნის პრესტიჟისთვის ვთამაშობთ. თანაც, უკანასკნელი დამარცხებებით მიღებული წყენის გაქარწყლება გვსურს. ამ ტურნირში ყველა სიტუაცია ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ ალბანელებთან უკანასკნელ მატჩში სულელურად წავაგეთ და პორტუგალიის საგზურის მოპოვების ყოველგვარი შანსი დავკარგეთ.

# ყველა ბილეთი გაყიდულია

## მომავალი მატჩის გამო მოსკოვში არნახული აჟიოტაჟია. შავ ბაზარზე ბილეთის ფასი 300 დოლარს აღწევს

რუსეთ-საქართველოს მატჩი შაბათს მოსკოვის დროით 19:30 საათზე დაიწყება. "ლოკომოტივის" სტადიონზე დასასწრები 27.400 ბილეთი კი მთლიანად გაყიდულია. მომავალ მატჩთან დაკავშირებით რუსეთში, მართლაც, არნახული აჟიოტაჟია. "ლოკომოტივის" სალაროებთან ხალხმა ბევრად უფრო ადრე მოიყარა თავი, ვიდრე ბილეთების რეალიზაცია დაიწყებოდა. ციმბირიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ გულშემატკივრებს, ბილეთების მოლოდინში, ქუჩაშიც კი ეძინათ. გაყიდვა 4 ოქტომბერს დაიწყო და მალევე დასრულდა. ყველა ბილეთი გაყიდულია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ბილეთმა ვერ მიაღწია ნამდვილ გულშემატკივრებამდე, საკმაოდ დიდი ნაწილი გადამყიდველებმა ჩაიგდეს ხელში და ახლა ხელის მოთბობას აპირებენ. საუკეთესო ადგილებს სპეკულანტები 300 დოლარადაც კი აფასებენ. ვარაუდობენ, რომ მატჩის დღეს ფასი კიდევ უფრო აიწევს.

მაშინ, როდესაც მოსკოვში რუსეთ-საქართველოს მატჩის ბილეთებზე ნადირობენ, რუსეთის ნაკრები მოსკოვის მახლობლად მდებარე ბორის პანსიონატში გადის საწვრთნელ შეკრებას. ორშაბათს აქ მთავარი მწვრთნელის გიორგი იარცევის პრესკონფერენცია გაიმართა. იმ დღეს თავისი სიმშვიდით განთქმულ ბორში ადამიანების ტევა არ ყოფილა. თურმე, ქართველი ტელეჟურნალისტებიც მისულან, რის გამოც იარცევს ვარჯიშების ცხრილი შეუცვლია. ორშაბათს რუსეთის ნაკრებს საერთოდ არ უვარჯიშია. ამის ნაცვლად ფეხბურთელებმა აბანოს მიაშურეს.

ახლა ბორის პანსიონატში 18 რუსი ფეხბურთელია. ეს ის შემადგენლობაა, რომელსაც მთლიანად შეიყვანენ შაბათის მატჩის განაცხადში. იარცევის თქმით, ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. უკანასკნელი, ვინც რუსეთის ნაკრებს შეუერთდა, დმიტრი სიჩოვი იყო. "მარსელის" თავდამსხმელმა საკუთარი კლუბის შემადგენლობაში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც მოსკოვში ჩამოსვლა ორშაბათ ღამემდე ვერ მოახერხა.

მეტოქის ბანაკში ტრავმირებულებიც არიან. "მილანის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ტრავმა მიიღო ესპანური "სელტას" ნახევარმცველმა დმიტრი მოსტოვოიმ. ასევე ტრავმირებული ჩამოვიდა ინგლისური "პორტსმუთის" წევრი ალექსეი სმერტინი. თავად ფეხბურთელები და გუნდის ექიმები ოპტიმისტურად არიან განწყობილი, იმედი აქვთ, რომ ორივე ეს ფეხბურთელი შაბათს თამაშს შეძლებს. გუშინ სმერტინი გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა, ხოლო მოსტოვოი ჯერაც ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

"საქართველოსთან მატჩი ბევრად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე შვეიცარიასთან და ირლანდიასთან შეხვედრები იყო. მე ყოველთვის მომწონდა საქართველოს ნაკრების თამაშის სტილი. ქართველი ფეხბურთელები ძალიან ტექნიკურები და მდიდარი ფანტაზიისანი არიან. მათი უმრავლესობა ევროპის კლუბებში გამოდის. რაც მთავარია, ჩვენს მეტოქეს არ აღელვებს მატჩის ანგარიში. მოსკოვში ისინი მორალურად შეუზღუდავები ჩამოვლენ, ეს კი ორმაგად საშიშია", - ამ სიტყვებით დაიწყო იარცევმა ორშაბათის პრესკონფერენცია. რუსეთის ნაკრების დამრიგებელი მეტისმეტად კორექტული იყო როგორც ჟურნალისტებთან ურთიერთობაში, ისე მეტოქე გუნდის ხსენებისას. პრესკონფერენციამ ერთ საათს გასტანა. იარცევმა ბევრის თქმა მოასწრო და ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობაც სრულად დაკმაყოფილა. გთავაზობთ ნაწყვეტებს, რომლებიც საქართველოს ნაკრებს ეხება:

*გიორგი იარცევი მეტოქეს პატივისცემით მოიხსენიებს*

**- ნუთუ ასეთი მრისხანეა მეტოქე?**

- მე ვიყავი გუნდების პირველ მატჩზე თბილისში. ასე რომ, მეტოქეს ვერ გადავაფასებ. ქართველი ფეხბურთელები ინდივიდუალურად ყოველთვის ძლიერები იყვნენ, ტყუილად არ თამაშობენ ევროპის ძლიერ კლუბებში. სამწუხაროა, რომ ვერ ითამაშებს ისეთი შესანიშნავი ფეხბურთელი, როგორიც კახი კალაძეა. ყოველ შემთხვევაში, მატჩი ორივე გუნდისთვის უმძიმესი იქნება. ნულარ ვისაუბრებთ იმაზე, რომ ქართველებს მოტივაცია არა აქვთ. მათი მოტივაცია იქნება თუნდაც ის, რომ თბილისში მიღწეული გამარჯვება შემთხვევითი არ იყო.

**- როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ გასვლით მატჩებში საქართველოს ნაკრებმა ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა?**

- ეს მეტოქის მწვრთნელებს უნდა ჰკითხოთ. შესაძლოა, ქართველები რისკზე მიდიოდნენ, როდესაც სტუმრად შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ და საკუთარ კარში კი უშვებდნენ გოლებს. უახლოეს დღეებში ყოველივე ამას ყურადღებით განვიხილავთ.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ გამარჯვება პოლიტიკური თვალსაზრისითაც სჭირდება?**

- ეს ასპექტი ჩვენ საერთოდ ამოვიღეთ დღის წესრიგიდან. საქმე ეხება სპორტულ პაექრობას მეტოქესთან, რომელსაც დიდი პატივისცემით უნდა მოვექცეთ.

პრესკონფერენციის შემდეგ გიორგი იარცევმა საწვრთნელი ბაზის დახურვის ბრძანება გასცა. გუშინდელი დღიდან ბორის პანსიონატში შესვლა გარეშე პირთათვის სასტიკად აკრძალულია.

**რუსეთის ნაკრების შემადგენლობა**

**მეკარეები:**
სერგეი ოვჩინიკოვი
*("ლოკომოტივი", მოსკოვი)*
ვიაჩესლავ მალაფეევი
*("ზენიტი", სანკტ-პეტერბურგი)*

**მცველები:**
ანდრეი სოლომატინი
*("ცსკ", მოსკოვი)*
დმიტრი სენიკოვი
*("ლოკომოტივი", მოსკოვი)*
სერგეი იგნაშევიჩი
*("ლოკომოტივი", მოსკოვი)*
ვიქტორ ონოპკო
*("სპარტაკ-ალანია", ვლადიკავკაზი)*
ვადიმ ევსეევი
*("ლოკომოტივი", მოსკოვი)*

**ნახევარმცველები:**
ანდრეი კარიაკა
*("კრილია სოვეტოვ", სამარა)*
ეგორ ტიტოვი
*("სპარტაკი", მოსკოვი)*
ალექსეი სმერტინი
*("პორტსმუთი", ინგლისი)*
ალექსანდრ მოსტოვოი
*("სელტა", ესპანეთი)*
ავგენი ალდონინი
*("როტორი", ვოლგოგრადი)*
დმიტრი ლოსკოვი
*("ლოკომოტივი", მოსკოვი)*
როლან გუსევი
*("ცსკ", მოსკოვი)*
მარატ იზმაილოვი
*("ცსკ", მოსკოვი)*

**თავდამსხმელები:**
დმიტრი ბულიკინი
*("დინამო", მოსკოვი)*
დმიტრი სიჩოვი
*("მარსელი", საფრანგეთი)*
ალექსანდრ კერჟაკოვი
*("ზენიტი", სანკტ-პეტერბურგი)*

ინფორმაცია

**ფეხბურთი.** მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა გუნდის ბოლოდროინდელი შედეგებით. მილანურ დერბიში განცდილი მარცხის შემდეგ კი ექტორ რაულ კუპერის თავზეც გამოჩნდა ღრუბლები. იტალიური მედია იუწყება, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად გუნდის ხელმძღვანელობამ კუპერს უკანასკნელი შანსი მისცა. თუ ამ შანსს არ გამოიყენებს, მას თანამდებობის დატოვება ემუქრება. კუპერის შესაძლო მემკვიდრედ რობერტო მანჩინის ასახელებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ურუგვაის "ნასიონალის" ერთ-ერთმა ლიდერმა ჰორასიო პერალტამ განაცხადა, რომ ხელი მოაწერა მილანის "ინტერთან" ხელშეკრულებას და ამ გუნდში 2004 წლის იანვრიდან გამოჩნდება. "მე წარმატებით გავიარე ყველა სამედიცინო შემოწმება. ეს იმას ნიშნავს, რომ 2003 წელს ურუგვაიში ჩავამთავრებ, შემდეგ კი იტალიაში გავემგზავრები. იმედი მაქვს, ჩემი იტალიური კარიერა წარმატებული იქნება", - ამბობს პერალტა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კარდიფის სასამართლომ 750 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა ინგლისის ნაკრების წევრი კრეიგ ბელამი, რომელმაც მარტში უელსის დედაქალაქში მთვრალმა დებოში მოაწყო. ბელამი არა მარტო დათვრა და უკულტუროდ მოიქცა, არამედ ბარის დაცვის შავკანიანი წევრის მიმართ რისისტული გამონათქვამებიც მოიშველია და უცენზურო სიტყვებით შეამკო. კრეიგმა თავი დამნაშავედ ცნო და სასამართლოშივე მოიბოდიშა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა განაცხადა, რომ თავის ფეხბურთელებს, ბულგარეთის ნაკრების წინააღმდეგ, ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის წინ ჩადენილ უდისციპლინობაში ადანაშაულებს. ხორვატი სპეციალისტი სერიოზულად ფიქრობს, რომ მისი გუნდი მინდორზე უზალისოდ გამოვა, რადგან მეტოქეს - ბულგარეთის ნაკრებს მოტივაცია არა აქვს. ბულგარელებმა ვადამდე გაინაღდეს ჯგუფში პირველი ადგილი. "სრული მობილიზაცია, უბრალოდ, აუცილებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ გამარჯვებას ხონჩით არავინ მოგვართმევს", - დაასკვნა ბარიჩმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელმა ხუან სებასტიან ვერონმა "ჩელსის" მწვრთნელის კლაუდიო რანიერისგან მიიღო მითითება, დახვეწოს ფიზიკური კონდიციები. სწორედ არასაკმარისი ფიზიკური მზადყოფნის გამო არ წავიდა ვერონი ინგლისის ჩემპიონატის მატჩში "მიდლსბროს" წინააღმდეგ სათამაშოდ. გარკვეული ჩავარდნა იმან განაპირობა, რომ "ლაციოსა" და "ჩელსიში" წვრთნის სხვადასხვა პროცესია. შესაძლოა, სწორედ ამის გამო ვერ დაიმკვიდრა მან ადგილი "მანჩესტერ იუნაიტედში".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰასელბაინკი არ გამოიძახა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე მოლდოველთა წინააღმდეგ. თავისი გადაწყვეტილება მწვრთნელმა იმით ახსნა, რომ ჰასელბაინკს კლუბში საკმარისი სათამაშო პრაქტიკა არა აქვს. როტაციის პრინციპის გამო, რომელიც გუნდში კლაუდიო რანიერიმ შემოიღო, ჰასელბაინკს, მართლაც, ხშირად უწევს სათადარიგოთა სკამზე ყურყუტი. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელთათვის მოლდოვის წინააღმდეგ შეხვედრას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. ჩეხების შემდეგ "ნარინჯისფერები" მტკიცედ მოკალათდნენ მეორე ადგილზე.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მცველი მლადენ კრსტაიჩი წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ ბრემენის "ვერდერს" დატოვებს და თავისუფალი აგენტის სტატუსით ლევან კობიაშვილის "შალკე 04"-ს შეუერთდება. ფეხბურთელი "შალკესთან" ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. "ვერდერის" მწვრთნელი კლაუს ალოფსი ამბობს, რომ კრსტაიჩს გუნდში დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ ხელფასის პარამეტრი ახლოსაც ვერ მივა იმ დონესთან, რომელსაც ფეხბურთელს "შალკე 04" სთავაზობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიაში არ ცხრება სკანდალი, რომელიც "ალელინო" - "ნაპოლის" მატჩში დაფიქსირდა. შეგახსენებთ, რომ არეულობის დროს დაიღუპა ერთი გულშემატკივარი, რომელიც სტადიონის ზედა იარუსიდან გადმოვარდა. ამ საქმესთან დაკავშირებით 16 ადამიანი დააკავეს. მათ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "მიდლსბროს" ყოფილი მწვრთნელი ბრაიან რობსონი ნიგერიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაამტკიცეს. ახალ მწვრთნელს მიეცა დავალება, წარმატებით გამოვიდეს აფრიკის თასზე, რომელიც იანვარში გაიმართება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "ატლეტიკო" შესაძლო მწვრთნელის რანგში განიხილავს ფრანგული "პარი სენ-ჟერმენის" ყოფილ მწვრთნელს ლუის ფერნანდესს. ადრე გავრცელდა ცნობები, რომ ფრანგი სპეციალისტი შეიძლებოდა "მანჩესტერ იუნაიტედში" სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე გამხდარიყო. "ატლეტიკოს" მწვრთნელის ვაკანტური ადგილის პრეტენდენტებად, ფერნანდესის გარდა, ასახელებენ "ბენფიკას" მწვრთნელს ხოსე ანტონიო კამაჩოსა და მანეს, რომელმაც წინა კვირაში "მალიორკას" წინადადება უარყო.

## ინფორმაცია

**ჩოგბურთი.** "ჰოფმანის თასის" საჩოგბურთო ტურნირის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა იმ ჩოგბურთელთა გვარები, რომლებიც 2004 წლის იანვარში ტურნირში ითამაშებენ. მასპინძელი ავსტრალიელებისგან კორტზე გამოვლენ ლეიტონ ჰიუიტი და ალისია მოლიკი. აშშ-დან ჯერჯერობით მხოლოდ სერენა უილიამსმა გააკეთა განაცხადი. ტურნირის ორგანიზატორები სერენას ჩამოსვლაზე დიდ იმედებს ამყარებენ, მაგრამ უმცროსი უილიამსი დღემდე ძალიან განიცდის დის გარდაცვალებას.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ორშაბათს ყოფილი გერმანელი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გრაფს გოგონა შეეძინა. ეს უკვე მეორე შვილია ანდრე აგასის ოჯახში. გრაფმა ბავშვი პარასკევს ლას-ვეგასში გააჩინა და სახელად ჯაზი დაარქვა. ანდრე აგასი და შტეფი გრაფი 2001 წლის ოქტომბერში შეუღლდნენ. ჯაზის გარდა, ისინი ვაჟსაც ზრდიან.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ინდიანა პეისერსის" საწვრთნელ ბანაკში ორმა კალათბურთელმა ტრავმა მიიღო. ენტონი ჯონსმა თითი მოიტეხა და 4-6 კვირით გამოვიდა მწყობრიდან. კენი ანდერსონს კი ფეხის კუნთები დაეჭიმა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ხნით გამოაკლდა თავის გუნდს ანდერსონი. ორივე მოთამაშე მცველია.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** ხორვატ სამთო-მოთხილამურეს იანიცა კოსტელიჩს მარჯვენა ფეხის ოპერაცია გაუკეთეს. 2002 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მორიგი მსოფლიო თასის სასტარტო ეტაპებს გამოტოვებს. ეს უკვე მეოთხე ოპერაციაა უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში. ვარაუდობენ, რომ იანიცა 28 დეკემბერს, ავსტრიულ ლინცში დადგება სტარტზე.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ დაადასტურა, რომ ერაყის, ავღანეთისა და აღმოსავლეთ ტიმორის სპორტსმენებს ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ. მეტიც: საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს განზრახული აქვს, ამ ქვეყნებში დახმარების სახით 200 ათასი დოლარი გაგზავნოს, რაც სპორტსმენთა მომზადებას შეუწყობს ხელს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი მიხაელ გროსი სათავეში ჩაუდგება ბრძოლას 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ლაიპციგში. ადრე საორგანიზაციო კომიტეტს დირკ ტერიხენი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ახლახან ცნობილი გახდა მისი კავშირი ყოფილი გდრ-ის საიდუმლო პოლიციასთან. ლაიპციგის მერი შეეცადა, ტერიხენი დაეცვა, მაგრამ არ გამოუვიდა.

■ ■ ■

**მოტოსპორტი.** ავსტრიული ზალცბურგი უმასპინძლებს 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატს მოტოსპორტში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჰამილტონში მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ. ზალცბურგმა კონკურენტ ქალაქს, შვეიცარიულ კუცაკს, პრაქტიკულად, ყველა კომპონენტში აჯობა. მომავალ წელს მსოფლიო პირველობა იტალიურ ვერონაში გაიმართება, ხოლო 2005 წელს ჩემპიონატს მადრიდი უმასპინძლებს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "დეტროიტის" ჩეხმა მეკარემ დომინიკ ჰაშეკმა კეთილი ნება გამოიჩინა და გუნდის ხელმძღვანელობას ხელფასის შეკვეცაზე დათანხმდა. კონტრაქტის მიხედვით ჰაშეკს 8 მილიონი უნდა გამოემუშავებინა, ხოლო გუნდის მიერ სტენლის თასის მოგების შემთხვევაში, ბონუსის სახით, კიდევ ერთი მილიონი მიეთვალა. ახალი შეთანხმების საფუძველზე, ჰაშეკი 6 მილიონ დოლარს მიიღებს. გათვალისწინებულია ბონუსებიც. მაგალითად, დასავლეთ კონფერენციაში გამარჯვებისთვის "დომინატორი" - 500 000 დოლარს მიიღებს. ჰაშეკის ჯიბეში კიდევ ნახევარი მილიონი ჩაჩხრიალდება იმ შემთხვევაში, თუ გუნდი პლეი-ოფის ორ რაუნდს გადალახავს, ხოლო სტენლის თასის მოგების შემთხვევაში ჩეხი დამატებით მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "პიტსბურგ პინგვინზმა" კონტრაქტი გააფორმა 2003 წლის დრაფტის პირველ ნომერ მარკ-ანდრე ფლერისთან. კონტრაქტის პირობები ცნობილი არ არის. "პინგვინებს" რომ კონტრაქტის გაფორმება ამერიკის დროით 15 საათამდე არ მოესწროთ, ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მეკარე იძულებული გახდებოდა, იუნიორთა შორის ეთამაშა (ფლერი მხოლოდ 18 წლისაა). 2005 წელს ის თავისუფალი აგენტი უნდა გამხდარიყო. შეგახსენებთ, რომ ფლერის კონტრაქტამდე უფრო ადრე "კაროლინამ" ხელშეკრულება გაუფორმა 2003 წლის დრაფტის მეორე ნომერ ერიკ სტალემს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ბარის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა იმ მრბოლის გვარი, რომელიც 2004 წელს ჟაკ ვილნევის ადგილს დაიკავებს. ის იაპონელი ტაკუმა სატოა. "ნებისმიერ ურთიერთობაში დგება დრო, როცა უნდა წახვიდე, - თქვა "ბარის" მმართველმა დირექტორმა დეივ რიჩარდსმა, - ბევრი მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინათ მივიღეთ, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ იგი ხანგრძლივი განხილვების შედეგად დაიბადა". 26 წლის სატო შარშანდელ სეზონში "ჯორდანის" ღირსებას იცავდა. თუმცა, წლეულს "ბარში" ტესტ-პილოტის რანგში დაბრუნდა. კვირას, იაპონიის გრან-პრიზე, ვილნევი გუნდში თავის უკანასკნელ რბოლას გამართავს.

## ჭიდაობა

# ტრიუმფატორთა მრავალჟამიერი

გიგა გურასაშვილი



ბერიტა ბუსარიძე. ფოტორეპორტი

*კვირკველია (ზევით) და ნოზაძე ათენშიც ყურადღების ცენტრში იქნებიან.*

დრო და სახეობაა სხვა, თორემ სურათი იგივეა. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ბერძენ-რომაელთა ნაკრებს ისევე შეეგებნენ, როგორც მათი ოჯახის "თავისუფალ" წევრებს. შედეგებიც ხომ იდენტური აქვთ – "ოქრო", "ბრინჯაო" და, რაც მთავარია, გუნდური პირველი ადგილი. ასეთი რამ ქართული საჭიდაო სკოლის ისტორიაში არასდროს მომხდარა. თუმცა, საამისო დროც არ იყო – დამოუკიდებლობამდე, გვინდოდა თუ არა, საბჭოთა კავშირის ღირსებას ვიცავდით.

"პლანეტის დაპყრობას ხმამაღალ და პომპეზურ სიტყვებად ნუ ჩათვლით, - სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მოწყობილ პრესკონფერენციაზე თქვა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა. - ის, რაც წლეულს შევძელით, უდიდესი მიღწევაა. დე, ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც იგივე გაგვეკეთებინოს".

როგორც მიხვდით, პრესკონფერენცია საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველ ფალავანთა წარმატებას ეძღვნებოდა. შედეგები კი, მართლაც, საამაყოა. ბერძენ-რომაელებმა საქართველოს ჰიმნი ორჯერ ააჟღერეს. პირველად მაშინ, როდესაც 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მანუჩარ კვირკველია ჩემპიონი გახდა. არ გეგონოთ, კვირკველიას ხელწამოსაკრავი მეტოქეები ჰყავდა. ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი რიშარდ ვოლნი და ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი თურქი სერეფ ეროღლუ, რახანია, ამ წონაში არიან. კვირკველიამ ორივე ბეჭებზე გააკრა. მეტიც: პოლონელს ნეკნი გაუტეხა, ხოლო თურქს თავბედი აწყევლინა. ტიტულოვანი ფალავნების გზიდან ჩამოშორების შემდეგ, რა თქმა უნდა, მისგან ყველა ჩემპიონობას ელოდა. მანამდე ჩეხი და კანადელი მოჭიდავეები დაამარცხა, ნახევარფინალსა და ფინალში კი უნგრელი და უკრაინის სახელით მოასპარეზე სომეხი არმენ ვარდანიანი (ფინალურ ორთაბრძოლაზე ჩვენ თავის დროზე ვიუწყებოდით).

რაც შეეხება მეორედ აჟღერებულ საქართველოს ჰიმნს, ის მთლიანად ნაკრების დამსახურებაა. საქართველოს ნაკრებს, როგორც ჩემპიონატის ტრიუმფატორს, სრული შემადგენლობით კვარცხლბეკზე უხმეს, რასაც თან ახლდა დროშის აღმართვა და ჰიმნი.

მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიებზე სასაუბროდ, უმჯობესია, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია მოვიშველიოთ:

"55 კილოგრამ წონაში ირაკლი ჭოჭუას კენჭისყრით აშკარად არ გაუმართლა. ერთბაშად ორ მსოფლიო ჩემპიონთან მოუწია შერკინება. სამწუხაროდ, რამდენიმე შეცდომა დაუშვა და ამისთვის დაისაჯა კიდეც.

60 კილოგრამში აკაკი ჩაჩუას, გარკვეულწილად, მსაჯებმაც შეუშალეს ხელი. თუმცა, მეხუთე ადგილისა და ოლიმპიური ლიცენზიის დაუფლებით პროგრამა მინიმუმი მაინც შეასრულა.

კვირკველიაზე იმას ვიტყვი, რომ ყველაზე რთულ მეტოქედ თავიდანვე მიგვაჩნდა თურქი ეროღლუ, რომლისთვისაც კვირკველიას აქამდე არასდროს მოუგია (შეგახსენებთ, რომ შარშან, ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ქართველი ფალავანი სწორედ მასთან დამარცხდა, წლეულს კი, ამავე რანგის ასპარეზობაზე, - მეოთხედფინალში.-რედ.)

თურქული ბარიერის გადალახვის შემდეგ აშკარა იყო, რომ ფინალში იჭიდავებდა. თუმცა, ფინალში საკმაოდ გვანერვიულა.

რაც შეეხება ბადრი ხასაიას, მისგან ყველანი მეტს მოვითხოვთ. ამჯერად ეპატიება, რადგან წვრთნის დროს ანგინა ჰქონდა და ბოლომდე ვერ იტვირთებოდა. მიუხედავად ამისა, ჯგუფიდან გავიდა, თუმცა, ათეულში მაინც ვერ მოხვდა. იმედია, მისი პოტენციალის მოჭიდავე, მომავალ ასპარეზობებზე საქმეს სათუოდ არ გაიხდის.

რამაზ ნოზაძემ (97კგ) ეგვიპტელ ფინალისტთან წააგო, თუმცა, მისი დამარცხება შეეძლო... მას ჩემპიონის სული აქვს და ამაში თავადაც დარწმუნდებით.

სამწუხაროდ, არ გაამართლა მძიმე წონამ – მირიან გიორგაძემ.

საფრანგეთში ჩვენთვის საინტერესო ბევრი სხვა რამეც ხდებოდა. როგორც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ალეკო ჯიბლაძემ გვითხრა, ნაკრების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ საქართველოს დელეგაციასთან ფინეთის წარმომადგენელი მისულა და უკმაყოფილოს უთქვამს: წესებს არღვევთ. ორი გუნდით რატომ გამოდიხართ. რა ამბავია, თქვენმა გოჩა ციციაშვილმა ისრაელს ჩემპიონობა მოუტანა, ხოლო გიორგი წურწუმიამ - ყაზახეთს ბრინჯაოო. არც უკრაინის სახელით მოასპარეზე დავით სალდაძე დავიწყებია, რომელიც მესამე ადგილისთვის რამაზ ნოზაძესთან დამარცხდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

გოჩა ძასოხოვმა ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) საზეიმო ბანკეტი გაიხსენა. ამერიკის ჭიდაობის ფედერაციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან პირად საუბარში ამ უკანასკნელს უთქვამს: დღეს თქვენ ხართ პირველები, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ პირველობა ჩამოგართვათ და მას ჩვენ დავეუფლოთო.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იგივე მიზანი ამოძრავებდა აშშ-ის ნაკრების ცნობილ მწვრთნელს დან გეიბლს. ამერიკელს პირობა დაუდია, საბჭოთა კავშირის ჰეგემონიას დავამხობო. როგორც პრესკონფერენციაზე მყოფმა ვეტერანმა ფალავნებმა აღნიშნეს, გეიბლის მუქარა მუქარად დარჩა.

პრესკონფერენციამდე მოჭიდავეთა ამალა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სეოკ) მიიღეს და წარმატება მიულოცეს. ტრიუმფატორთა პატივსაცემად სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გურამ საღარაძემ "მრავალჟამიერი" დააგუგუნეს.

## ფორმულა 1

# ახალი სისხლის მოლოდინში

*ფერნანდო ალონსომ Ferrari დაინტერესა.*

სამეფო რბოლების მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპამდე ფორმულა 1-ის სამყაროში საკადრო ცვლილებებზე ალაპარაკდნენ. ფაქტია: საჯინიბოები უკვე შეუდგნენ ახალი სეზონისთვის სამზადისს და რამდენიმე პილოტს თვალიც დაადგეს, ზოგიც სამომავლოდ შეიგულეს. მივყვეთ თანმიმდევრობით. ჯერ "ფერარის" საჯინიბოს სიახლეებსა თუ პერსპექტივებზე ვთქვათ.

არცთუ დიდი ხნის წინათ, როდესაც იტალიელთა გერმანელ პილოტს მიხაელ შუმახერს ფორმულა 1-იდან წასვლის თაობაზე ჩამოუგდეს სიტყვა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა უპასუხა, ვიდრე საჭესთან ჯდომა არ მომბეზრდება, არსად წასვლას არ ვაპირებო. ახლა კი ირკვევა, რომ შუმის სამეფო რბოლებიდან წასვლა გადაუწყვეტია. ყოველ შემთხვევაში, eurosport.com-ი ამის შესახებ იტყობინება. მისივე ინფორმაციით, უფრო სწორად, გერმანელის მენეჯერ ვილი ვებერზე დაყრდნობით, ასეთი რამ მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს "ფერარისთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურება. კონტრაქტი კი 2006 წლამდე ძალაშია.

"ფერარის" თემა ამით არ ამოწურულა. ესპანური სპორტული გამოცემების "AC" და "მარკაზე" დაყრდნობით, იტალიელთა საჯინიბო მზადაა, 22 წლის "რენოს" ესპანელ პილოტში ფერნანდო ალონსოში 10 მილიონი ევრო გადაიხადოს. ალონსოს აგენტის ადრიანო კამპოს თქმით, ახლა მისი კლიენტი არსად წასვლას არ აპირებს. თუმცა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ 2005 წელს ალონსო "ფერარის" კოკპიტში მოკალათდეს.

აშშ-ის გრან-პრის შემდეგ, ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში, ალონსო საჯინიბოს ტაქტიკით ერთობ უკმაყოფილო ჩანდა. "რენოს" ესპანელი პილოტის აზრით, ინდიანაპოლისის ტრასისთვის მისი თანაგუნდელის იარნო ტრულის ბოლიდი უკეთ იყო გამართული.

მათგან განსხვავებით, ყველაფერი გარკვეულია BAR-ჰონდას საჯინიბოში. გადაწყვეტილი ამბავია, ამ გუნდში აღარ იასპარეზებს კანადელი ჟაკ ვილნევი. მის ადგილს დაიკავებს იაპონელი ტაკუმა სატო. უფრო სწორად, 2004 წლიდან იაპონელი BAR-ის მოქმედი პილოტი გახდება. ასე რომ, კანადელს ბარგის ჩალაგება მოუწევს. BAR-სა და ვილნევს შორის დადებული კონტრაქტი ისედაც დღეებს ითვლიდა.

"გუნდი აფასებს ჟაკ ვილნევის მიერ ბოლო ხუთ წელიწადში გაწეულ სამსახურს, - აცხადებს BAR-ის შეფი დევიდ რიჩარდსი. – ვფიქრობთ, დადგა დრო, როდესაც მრბოლთა შემადგენლობას გადახალისება სჭირდება. 2004 წლის სეზონიდან ტაკუმა სატო ჯეისონ ბატონის თანაგუნდელი იქნება. მან წლეულს ბრწყინვალედ იმუშავა ტესტებზე და, დარწმუნებული ვართ, დიდ პოტენციალს ფლობს...

სატო ცნობილია სწრაფი რბოლის მანერით. 2002 წელს, როდესაც "ჯორდანის" ღირსებას იცავდა, მას ავტოსპორტში ყოფნის ოთხწლიანი გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. ამ ხნის განმავლობაში მან, მართლაც, ბევრს მიაღწია. BAR-ში ერთწლიანი ტესტირებების შემდეგ დავრწმუნდით, რომ იგი იმსახურებს შანსს, საკუთარი სისწრაფე სარბოლო პირობებშიც გამოავლინოს".

თავის მხრივ, კმაყოფილი ჩანდა სატოც: "ამისთვის მთელი წლის განმავლობაში ვმუშაობდი. ახლა, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია, წინ ვიყურები და იმედი მაქვს, საკუთარ შესაძლებლობებს გუნდსაც დავუმტკიცებ. მჯერა, რომ მომავალი სეზონი წარმატებული იქნება. მოუთმენლად ველი მომენტს, როდესაც ავსტრალიის გრან-პრისთვის დავიწყებ მზადებას".

## მოკლედ

### რიო ფერდინანდი დოპინგ-სკანდალში გაეება

ბოლოს და ბოლოს, გაირკვა მიზეზი, რის გამოც ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი შემადგენლობას არ აცხადებდა. საქმე რიო ფერდინანდში ყოფილა.

გულშემატკივარი მიიჩნევდა, რომ შვედი სპეციალისტი შემადგენლობას მაიკლ ოუენის ტრავმის გამო არ ასახელებდა, მაგრამ გაირკვა, რომ ერიქსონი ელოდებოდა გადაწყვეტილებას ფერდინანდის შესახებ, რომელსაც დოპინგ-ტესტზე გამოუცხადებლობაში ედება ბრალი.

23 სექტემბერს რიო ფერდინანდი არ დაემორჩილა ფედერაციის მოთხოვნას და დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდა. მართალია, ორ დღეში ანალიზის პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა, მაგრამ ფედერაციამ მაინც მოსთხოვა ფეხბურთელს, 13 ოქტომბერს დანიშნულ მოსმენაზე გამოცხადდეს.

საინტერესოა, რომ ანალოგიურ შემთხვევებში ინფორმაცია ფედერაციის ფარგლებს არ უნდა გასცდეს, მაგრამ ამჯერად ინფორმაციამ გაზეთის ფურცლებზე გადაინაცვლა. შეგახსენებთ, რომ თუ ფერდინანდი თავის სასარგებლოდ დამაჯერებელ დასკვნებს წარმოადგენს, მას მხოლოდ დააჯარიმებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ფერდინანდს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

### რეკორდსმენი ნაკრებში დაბრუნდა

კლაუდიო სუარესი მსოფლიო რეკორდსმენია თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით. მის ანგარიშზე მექსიკის ნაკრების შემადგენლობაში გამართული 170 შეხვედრაა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ (სუარესს ფეხი ჰქონდა მოტეხილი) ის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს.

ტრავმის გამო ფეხბურთელმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა. ამჯერად სუარესი გამოძახებულია ურუგვაის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩზე, რომელიც 15 ოქტომბერს ჩიკაგოში გაიმართება. "ეროვნულ ნაკრებს თავს ვანაცვალებ, მაგრამ არ ვიცი, ნაკრებში 2006 წლამდე დავრჩები თუ არა", - განუცხადა ჟურნალისტებს 34 წლის ფეხბურთელმა.

სუარესმა, რომელიც ცნობილია, როგორც "იმპერატორი", ისიც განაცხადა, რომ ჯანმრთელობა მსოფლიო ჩემპიონატამდე აღიდგინა, მაგრამ ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ სხვა ფეხბურთელების წაყვანა არჩია. მერვედფინალში აშშ-ის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ აგირემ თანამდებობა დატოვა. მის ადგილზე რიკარდო ლავოლპე დაინიშნა. მას კი მიაჩნია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის სასარგებლო იქნება ისეთი გამოცდილი ოსტატების გვერდით თამაში, როგორიც კლაუდიო სუარესია.

### ჰიტლის მეგობრის მკვლელობაში ადანაშაულებენ

"ატლანტას" თავდამსხმელს დენი ჰიტლის თავისი მეგობრის, დენ სნაიდერის მკვლელობაში ედება ბრალი. სნაიდერი საავადმყოფოში, მრავალრიცხოვანი ტრავმებით გარდაიცვალა, რაც ავარიის შედეგად მიიღო. რამდენიმე დღის წინ სნაიდერი თავისი მეგობრის დენი ჰიტლის "ფერარით" მგზავრობდა. ჰიტლიმ 130 კმ-სთ სიჩქარე განავითარა და საჭე ველარ დაიმორჩილა. მანქანა გზიდან გადავარდა და ბორდიურს შეასკდა. ჰიტლის გაუმართლა. სნაიდერს კი ოპერაციამაც ველარ უშველა. ჰოკეისტი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ახლა ჰიტლის, რომელიც მეგობრის გარდაცვალებას განიცდის, მართლმსაჯულების წინაშე მოუწევს წარდგომა. პოლიციას ყველა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ ჰიტლი ეგრეთ წოდებული სატრანსპორტო მკვლელობისთვის დააპატიმროს. ამგვარი დანაშაული რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ჯერჯერობით კი ლაბორატორიაში ტესტებს სწავლობენ და ცდილობენ, დაადგინონ, იყო თუ არა ჰიტლი ნასვამი. თვითმხილველი პოლიციელები ამტკიცებენ, რომ დაზარალებულებს სიმთვრალის კვალი არ ეტყობოდათ.

### ჩინელებმა ორი ფრანგი მთამსვლელის გარდაცვალება დაადასტურეს

ორი ფრანგი ალპინისტი, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება, ტიბეტში, შიშა-პანგმას მთაზე ზვავმა შეინირა. ალპინისტები ზვავმა 27 სექტემბერს, 5,7 კილომეტრ სიმაღლეზე წალეკა. მათი გვამები ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა ორი დღის შემდეგ აღმოაჩინეს.

ფრანგებმა გვამები ვერტმფრენით გადაასვენეს ნეპალში, საიდანაც დაიწყეს კიდეც ასვლა. პეკინში, საფრანგეთის საელჩოში, მომხდარზე კომენტარისგან თავი შეიკავეს. შიშა-პანგმას მწვერვალი (8012 მეტრი ზღვის დონიდან) მე-14 ადგილზეა მსოფლიოში, ტიბეტის სისტემაში კი მე-4 ადგილზეა. პიკი, რომელსაც სხვანაირად გოსაინტანასაც უწოდებენ, ნეპალ-ჩინეთის საზღვარზე, ევერესტიდან დასავლეთით, 180 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

### ათენში სამეცნიერო სპორტული კონგრესი დაიწყება

7-დან 11 ოქტომბრამდე ათენში გაიმართება ოლიმპიური სპორტული სამეცნიერო კონგრესი. მისი ათასამდე მონაწილე იმუშავებს სპორტულ-სამეცნიერო ფორუმის სხვადასხვა სექციაში ისეთ თემებზე, როგორებიცაა სპორტული მედიცინა, წვრთნების ბიოლოგიური ასპექტები, ფსიქოლოგია, ბიომექანიკა და ინფორმაციული ტექნოლოგია.

როგორც 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში იტყობინებიან, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიასთან ერთად, რომელიც კონგრესის ორგანიზატორის როლში გამოდის, ვარაუდობენ 450-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენების განხილვას.

ამას გარდა, კონგრესის ფარგლებში გაიმართება ფარმაცევტული პრეპარატების გამოფენა, რომელშიც საბერძნეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას.

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 8 ოქტომბერი

**NTB + ფუტბალი**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
14:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ატლეტიკო მინეირო" – "ვასკუ და გამა"
15:55 "ევროფანკლუბი". "არსენალი"
16:25 "დარტყმა გოლისთვის"
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" – "ვიზ-სინარა"
18:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
20:10 "FUTBOL MUNDIAL"
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 "დარტყმა გოლისთვის"
21:15 იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" – "მილანი"
22:55 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:55 თავისუფალი დარტყმა
00:10 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
01:05 "FUTBOL MUNDIAL"
01:35 01:35-დან 05:35-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "ფლამენგო". პირდაპირი ტრანსლაცია

**NTB + სპორტ**
11:00, 14:00, 17:10, 20:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კუბა. ვაჟები. ქალები. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:40 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:40 სპიდვეი. ნორვეგიის გრან-პრი
17:25 "რკინის ფაქტორი"
17:55 "NHL-პლუსი"
18:10 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. ინგლისი
19:00 "ბორის მაიოროვის არქივი"
19:30 როდეო. "Bull Riders"
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ესპანეთში
21:00 "ათენის გზაზე"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "Power week – NHL-ის კვირა"
23:05 ველოსპორტ-შოსე. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 პროფესიული კრივი. საერთაშორისო ტურნირი. "ჩემპიონთა რინგი"
02:55 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კუბა. ვაჟები. ქალები. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ფეხბურთი. ევროგოლები
12:30 ფეხბურთი. უეფა
13:30 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი კუბაში
14:30 სნუკერი. პრესტონის თასი დიდ ბრიტანეთში
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
17:30 სნუკერი. პრესტონის თასი დიდ ბრიტანეთში
20:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
22:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა
01:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:15 ცხენოსნობა. ნაციის თასი. საბერძნეთი
02:15 გოლფი. ჩელენჯ ტური
02:45 აფროსნობა
03:15 ახალი ამბები
03:30 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი კუბაში
05:30 ახალი ამბები

# ბოჰემიური ბროლის მოკლე ისტორია

ჩეხეთი და საკუთრივ ბოჰემია ევროპულ კულტურაში ბევრი რამითაა ცნობილი. XVI საუკუნეში აქ იმპერატორ რუდოლფის კარზე მოღვაწეობდა ცნობილი ინგლისელი ალქიმიკოსი და ოკულტისტი ჯონ დი. პრაღა არის ფრანც კაფკას ქალაქი, მის განსაკუთრებულ მისტიკურ პოეზიას მიუძღვნა თავისი რომანები გუსტავ მეირინკმა.

მაგრამ არაფერი შეედრება არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ბოჰემიურ ბროლს.

## შუა საუკუნეები

მინისა და ბროლის წარმოება ბოჰემიაში, ძირითადად, ლუჟანის მთებშია თავმოყრილი. შუა საუკუნეებიდან ეს მხარე ძალიან ხელსაყრელი იყო ამისთვის, რადგანაც კვარცის საბადოების გარდა აქ უხვად მოიპოვებოდა ხე-ტყე — უმთავრესი სამშენებლო მასალა და საწვავი. მინისა და ბროლის საწარმოები თანდათანობით იცვლიდნენ ადგილმდებარეობას იმის მიხედვით, თუ როგორ იშრიტებოდა საბადოები. საწარმოების ეს გადაადგილება ხელს უწყობდა ტერიტორიის ათვისებასაც.

შუა საუკუნეებში მინისა და ბროლის მოპოვება და წარმოება დაკავშირებული იყო რონოვეცის საგვარეულოსთან. სარეწებით მოფენილი მიწები დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. უძველესი სარეწი დაარსდა მწვერვალ ბუჟნის სამხრეთ ფერდობზე (703 მ ზღვის დონიდან) და მისი ისტორიის დასაწყისი 1250 წლით თარიღდება. სხვა ბოჰემიური სარეწებიც XIII საუკუნის მეორე ნახევარშია დაარსებული.

XV საუკუნიდან სარეწები უკვე ლუჟანის მთების დასავლეთ კალთებს

იპყრობს, სადაც დღემდე არსებობს სარეწი ჰორი ხჟიბსკა, რომელიც ცენტრალური ევროპის უძველესი მოქმედი საწარმოა. მისი დაარსება 1414 წლით თარიღდება, მაგრამ ეს მხოლოდ სიმბოლურია, რადგან ზუსტი წელი ცნობილი არაა. მინისა და ბროლის აყვავებული წარმოება პირველად მხოლოდ ჰუსიტური ომების დროს შეწყდა, როცა იან ჰუსის მიმდევრები გერმანელი იმპერატორის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

## რენესანსის პერიოდი

აღორძინების ხანაში მინისა და ბროლის ნაწარმის ფორმებს ვენეციური გემოვნება კარნახობდა. სწორედ ვენეციაში შეიქმნა მინის დეკორატიული დამუშავების ახალი ტექნოლოგიები. ვენეციურმა სიახლეებმა ბოჰემიაშიც შეაღწია და საკმაოდ მალე იქნა შეთვისებული. ბოჰემიურმა ბროლმა კონკურენციას გაუძლო და საწარმოები უკვე აღარ იცვლიდა ადგილს, არამედ მათი ეკონომიკური რენტაბელობა უზრუნველყოფდა ნედლეულს, საწვავსა და ადამიანურ რესურსებს.

ჰორნი ხჟიბსკას უძველესი სარეწის მახლობლად 1530 წელს ახალი საწარმო გახსნა პაველ შიურერმა. დღეს მინისა და ბროლის ეს ქარხანა კიტლიცეს სახელითაა ცნობილი. შიურერი ეროვნებით გერმანელი იყო და ბოჰემიაში ქალაქ ანშპრუნგიდან ჩამოვიდა. მალე მისი გვარი ბოჰემიაში მინისა და ბროლის უმთავრეს მწარმოებლად იქცა.

1570 წლიდან შიურერის საწარმოებში დამწვარი მინანქრის გამოყენებას იწყებენ, მაგრამ ეს წარმოებაც შეწყდა ცენტრალურ ევროპაში დაწყებული ოცდაათწლიანი ომის მიზეზით. ამ ომის დამთავრების შემდეგ ბოჰემიური მინისა და ბროლის წარმოება ახალ ბუმს განიცდის, მაგრამ ეს ისტორია უკვე ახალ, ბაროკოს ეპოქას მიეკუთვნება.

## ბაროკოს ხანა

ამ პერიოდის ძირითადი ნაწარმი დეკორატიული მინაა. მინის მოხატვასა და დაწახნაგებასთან ერთად დიდ გავრცელებას პოულობს დამუშავების ახალი მეთოდი — გრავირება. მართალია, დეკორატიული მინის წარმოებაში ჩრდილოეთ ბოჰემიის ოსტატები ძალიან დახელოვნებულები იყვნენ, ბოჰემიური ნაწარმი თავის წარმატებას, ძირითადად, კარგად ორგანიზებულ ვაჭრობას უნდა უმადლოდეს.

მინის უდიდესი ბაზრობები იყო განლაგებული საწარმოების ახლო მდებარე ქალაქებში: კამენიცკი შენოვ და ნოვი ბორ. აქედან უკვე ბოჰემიური მინა გზას იკვლევდა მთელ ევროპაში, აღწევდა ამერიკისა და აღმოსავლეთის შორეულ ბაზრებზეც.

XVII საუკუნეში პირველად მოხდა მინის წარმოებისა და მისი დამუშავების ერთმანეთისაგან გამოყოფა. ადგილობრივი ოსტატები მინის საწარმოებიდან იღებდნენ მასალას და საკუთარ სახელოსნოებში ახდენდნენ მის დეკორირებას. შრომის ამგვარმა განაწილებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი მიმდებარე რეგიონების მცხოვრებთა კეთილდღეობას, რადგან მანამდე მათი მოკრძალებული შემოსავლები მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე იყო დამოკიდებული. XVII საუკუნეში დაარსდა მინის დამმუშავებელთა პირველი გილდია, რასაც ადგილობრივმა წარჩინებულმა მემამულეებმაც შეუწყვეს ხელი.

სწორედ ამ პერიოდში იღებს სათავეს ახალი ტექნოლოგია: გამჭვირვალე მაღალხარისხიანი მინის წარმოება, რომელიც დღემდე ჩეხური ბროლის სახელითაა ცნობილი. ეს საუკეთესო მასალაა დაწახნაგებისათვის, მაგრამ კარგად ხდება მისი გრავირებაც სპილენძის მბრუნავი საჭრეთლების საშუალებით. 1700 წლიდან ჩრდილოეთ ბოჰემიის გრავირებულმა ბროლმა მიაღწია ხარისხის უმაღლეს მწვერვალს, რომელმაც უზრუნველყო მისი ძალიან დიდი პოპულარობა ბაზარზე XVIII საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ ჩეხური ბროლის მწარმოებლები მაშინაც გერმანული წარმოშობისა იყვნენ. სახელი გაითქვეს იან კაშპარ კიტელმა, რომელმაც 1724 წელს დააარსა იედლოვას საწარმო (774 მ ზღვის დონიდან) და არა მარტო აწარმოებდა, არამედ წარმატებით ვაჭრობდა კიდეც ბროლით. 1687 წლიდან მუშაობს მაჟენიცეს სარეწი, დაარსებული იულიუს ფრანცის მიერ, რომელიც საქსონიისა და ლაუენბურგის ჰერცოგს ეკუთვნოდა. აქ იწარმოებოდა ჩეხური ბროლი და ოქროთი გაწყობილი ლალისფერი მინა.

XVIII საუკუნის განმავლობაში წარმოების მნიშვნელოვანმა გაზრდამ გაჩეხვის პირას მიიყვანა ლუჟანის მთების ტყეები. აინია ხე-ტყის ფასმა და ამის გამო მინის მრავალი საწარმო დაიხურა. ადგილობრივმა ოსტატებმა დაიწყეს ბოჰემიისა და მორავიის სხვა რეგიონებიდან შემოტანილი მინის დამუშავება. ერთადერთი გამონაკლისი იყო ნოვა ჰუტის საწარმო, რომელიც 1750 წელს იან კრიშტოფ მიულერმა გახსნა სვორის ტყეებში. მხოლოდ ამ საწარმომ განაგრძო მუშაობა XIX საუკუნემდე, როცა შეშის საწვავი ქვანახშირმა შეცვალა.

იმ დროისათვის მინის ვაჭრობის ორგანიზაცია უნიკალური იყო. კერძო პირების მიერ გახსნილი ტრადიციული სავაჭრო მისიები გამოდევნეს ახალმა კომერციულმა მეთოდებმა: მთისწინეთის სოფლებში მცხოვრები ოსტატები აარსებდნენ სავაჭრო კომპანიებს უკვე XVIII საუკუნის დასაწყისიდან. კონტრაქტით შეკრული კომპანიები უფრო ეფექტურად ახდენდნენ ნედლეულის შეძენასა და ტრანსპორტირებას. გარდა ამისა, ისინი ამყარებდნენ კონტაქტს ადგილობრივ ოსტატებსა და დამკვეთებს შორის, რის წყალობითაც ნაწარმი უფრო სრულყოფილი გამოდიოდა. კომპანიები უწევდნენ ორგანიზაციას ნაწარმის გატანას შორეულ ბაზრებზე.

ამავე ეპოქაში გაიზარდა ნაწარმის ასორტიმენტიც და დიდი წარმატება მოიპოვა ბოჰემიურმა სარკეებმა.

# რეფორმაციის გარიჟრაჟზე

## იან ჰუსი

### ისტორიული პროლოგი

შუა საუკუნეებში **ბოჰემია** და **პოლონეთი** ერთადერთი ქვეყნები იყვნენ, სადაც სლავი ტომების მღელვარე ზღვა ოდნავ დაწყნარდა და სახელმწიფოს მაგვარი რამის შექმნა მოახერხა. სლავთა დანარჩენი ნაწილი, ჯერ გაუცივებელი მაგმის მსგავსი, დროდადრო გადმოლახავდა ხოლმე ელბას, აოხრებდა ევროპის ქალაქებს და შემდეგ უკვალოდ ქრებოდა, მაგრამ საკუთარ წიაღში ურდოზე უფრო სტაბილური წესრიგის განხორციელება არ შეეძლო. ბოჰემიის ტერიტორია კი სოლივით იყო შეჭრილი ევროპის გულში და იქ XI საუკუნიდან მეფობდა **პშიმისლიდების** დინასტია.

XIV საუკუნეში ეს სამეფო საგვარეულო ჩაქრა და ბოჰემიელებმა თავის ქვეყანაში სამეფოდ **იოჰან ლუქსემბურგელს** მოუწოდეს. სამწუხაროდ, ეს თავადი უფრო უნაგირს სცნობდა, ვიდრე სამეფო ტახტს და საშინლად სძულდა კანცელარია და სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებული სხვა საქმეები. სამაგიეროდ, იოჰანი ძალიან წარმატებული იყო საერთაშორისო პოლიტიკის მოგვარებაში და ამით არა მარტო ბევრი შემოსავალი მოუტანა თავის სამეფოს, არამედ მთელ ევროპაში გაავრცელა ანდაზად ქცეული აზრი, რომ "არაფერი კეთდება ღვთისა და ბოჰემიელთა მეფის დაუხმარებლად". ეს დახმარება, ძირითადად, იმაში გამოიხატებოდა, რომ თავისი მმართველობის განმავლობაში იოჰანმა ყველა შესაძლო ომში მიიღო მონაწილეობა და მაშინაც კი, როდესაც სიფილისისგან თითქმის დაბრმავდა, მაინც არასოდეს უთქვამს უარი, ძლიერის წინააღმდეგ სუსტის მხარე დაეჭირა.

სწორედ ამისთვის სასწრაფოდ გაეშურა საფრანგეთში, როგორც კი ინგლისელთა თავდასხმის ცნობა მოვიდა. კრესის მახლობლად ბრძოლაში ინგლისური ჯარის შეტევას მხოლოდ ხუთასი ბოჰემიელი რაინდი დახვდა, რომელთა შორის იოჰანის ვაჟი **კაროლ ლუქსემბურგელიც** იყო. როცა ცხადი გახდა, რომ ბრძოლა წაგებულია, იოჰანმა უბრძანა, მისი ცხენისთვის კიდევ ორი ულაყი გამოებათ და ასე ეკვეთა მტერს. მებრძოლის სულ მთლად დაჩეხილი სხეული ინგლისის მეფეს, **ედვარდს** მიუტანეს ნადავლის სახით. ედვარდმა მამის ცხედარი კაროლს დაუბრუნა და შეუთვალა: "დღეს დაჭკნა რაინდობის ყვავილი".

მამისეულ ტახტზე ასული კაროლი ნაკლებ თვალშისაცემი და ფათერაკების მოყვარული მეფე იყო, მაგრამ უფრო ბრძენი და განათლებული ადმინისტრატორი გამოდგა. სწორედ მისი წყალობით იქცა პრაღა ევროპის უბრწყინვალეს დედაქალაქად, როგორადაც ყოფნას დღესაც განაგრძობს. აქ ჰუმანისტური კულტურის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ჩამოყალიბდა. კაროლმა თავის ძეს, **ვენცესლავს** მდიდარი და მოწესრიგებული ქვეყანა უანდერძა, სადაც უკვე საკმაოდ განვითარებული იყო მრეწველობა და მთელ ევროპაში სახელგანთქმული უნივერსიტეტიც არსებობდა. სწორედ მისი სტუდენტების თავისუფალმა და შემოქმედებითმა ცხოვრების წესმა წარმოშვა ტერმინი "ბოჰემა", რომელიც ბოჰემიიდან იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებში გადავიდა. ასე რომ იოსებ გრიშაშვილის ცნობილი წიგნი — "ძველი თბილისის პოეტური ბოჰემა" — თავის სათაურს კაროლ ლუქსემბურგელის ღვაწლს უნდა უმადლოდეს.

მაგრამ მხოლოდ ეს როდი აკავშირებს ახალი დროის დასაწყისის ბოჰემიას ჩვენს ნაცნობ რეალობასთან. დღევანდელი აღმოსავლეთი ევროპის ახალგაზრდობის მსგავსად მაშინაც პრაღის უნივერსიტეტის გამორჩეული სტუდენტები გრანტებს იღებდნენ სხვაგან სასწავლებლად. მათ შორის, ლონდონშიც. სწორედ მათ შემოიტანეს სამშობლოში **ჯონ უიკლიფის** რეფორმისტული აზრები. ეს აზრები პრაღაში ბეთლემის სახელობის ეკლესიაში იბუდებდა და სწორედ ამ ეკლესიის კათედრაზე ავიდა 1402 წელს ახალგაზრდა და მგზნებარე მქადაგებელი, **იან ჰუსი**.

### ცხოვრება

ჰუსი, რაც ჩეხურად ბატს ნიშნავს, წარმოშობით სოფელ ჰუსინეციდან იყო. ბავშვობიდან სიღატაკეში იზრდებოდა, მაგრამ ამას სწავლაში ხელი არ შეუშლია. ადრევე იგრძნო სასულიერო მოღვაწეობისკენ ნამდვილი მოწოდება. ამ მოწოდებამ და ღრმა რელიგიურობამ გადაატანინა სიცივე და შიმშილი. სტუდენტის მერხიდან უშუალოდ პროფესორის კათედრაზე გადავიდა და იმდენად პოპულარული გახდა, რომ როდესაც კაროლის მეუღლემ, დედოფალმა სოფიამ აღთქმა დადო, იან ჰუსი აირჩია თავის პირად მოძღვრად.

უფრო გვიან, როცა მას ერესი დაბრალდა, მისმა მტრებმა თქვეს, რომ მღვდლად კურთხევამდეც გამოეთქვა ჰუსს ეჭვი ნაკურთხი ძღვენის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდასახვის თაობაზე. მაგრამ ეს თემა უფრო უიკლიფის სწავლებიდან იყო აღებული, ვიდრე თვითონ ჰუსის ადრეული აზრებიდან. ერთადერთი, რაც ჰუსმა აღიარა მის წინააღმდეგ გამართულ პროცესზე, რომ ერთხელ, უიკლიფის შრომების კითხვისას, წამოიძახა: "აჰა, საღვთო მადლით აღბეჭდილი კაცი. მაგრამ წასარწყმედადაც რომ იყოს განწირული, ვისურვებდი, ჩემი სული მასთან ერთად იყოს".

ერთი რამ უეჭველია: ჰუსის ქადაგებებმა მალე საოცარი წარმატება მოიპოვა. მით უმეტეს, რომ იგი, საეკლესიო ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ლათინურად კი არ ქადაგებდა, არამედ ბოჰემიურად. ქადაგებათა შინაარსის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან მათი ტექსტი მოგვიანებით თითქმის სრულიად განადგურდა. გადარჩა მხოლოდ ორმოცდახუთი მცირე ზომის ფრაგმენტი, რომლებიც ეკლესიის სამღვდელოებამ აირჩია უნივერსიტეტში წარსადგენად, რათა იქაურ დოქტორებს განესაჯათ მათი სჯულიერება. პროფესორთა შორის დიდი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ხმათა უმრავლესობით მაინც გადაწყდა, ჰუსის ქადაგებები ერეტიკულად გამოცხადებულიყო და მათი გავრცელებაც აკრძალულიყო.

ჰუსმა უგულებელყო ეს აკრძალვა და ცოტა ხნის შემდეგ მას მთავარეპისკოპოსთან უჩივლეს, როგორც უიკლიფის იდეათა გამავრცელებელს. ეპისკოპოსმა განკვეთა ურჩი მღვდელი და მისი მიმდევრები, ბრძანა ქადაგებათა კონფისკაცია და საჯარო დაწვა ქალაქის მთავარ მოედანზე. მაგრამ განკვეთილი ჰუსი მაინც განაგრძობდა მორწმუნეებით სავსე ეკლესიაში ღვთისმსახურებას. ამიტომ მთავარეპისკოპოსმა მთელი ქალაქი განკვეთა, ანუ აკრძალა ღვთისმსახურება ქალაქის ეკლესიებში, რაც იმ დროისათვის არა მარტო რელიგიური, არამედ მძიმე ეკონომიკური სასჯელიც იყო, რადგან ევროპის ქრისტიანული საზოგადოების წინაშე კანონგარეშე აყენებდა ქალაქს.

ჰუსმა პაპს მიმართა, მაგრამ

*იან ჰუსი კოცონზე*

რომში ჩასვლა არ ისურვა. და როდესაც ცოტა ხანში პაპმა თავისი ცარიელი სალაროების ასავსებად ვინ იცის მერამდენედ გამოაცხადა ინდულგენციების გაყიდვა, ჰუსმა და მისმა უახლოესმა მეგობარმა, იერონიმე პრაღელმა წმიდა საყდრის ამ მოწოდებას მრისხანე ქადაგებით უპასუხეს: განსაწმენდელი არ არსებობს, და რომც არსებობდეს, მისი თავიდან არიდება ფულის საშუალებით შეუძლებელია; ფულს სამღვდელოება მხოლოდ საკუთარ ფუფუნებასა და მანკიერებას ახარჯავს.

აქ უკვე მეფეს შეეშინდა. ვენცესლავის უკან არ იდგა პარლამენტი და ეროვნული სახელმწიფო ინსტიტუციები, როგორც ინგლისში. ამიტომ პაპის რისხვის წინაშე ის სრულიად უძლური იყო. მეფემ ბრძანა ქადაგების შეწყვეტა და ჰუსის სამი ყველაზე აქტიური მხარდამჭერის დაპატიმრება. ჰუსმა მთელი დანაშაული საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ მის სიტყვებს ყური არ უგდეს და დაპატიმრებულებს თავები მოჰკვეთეს.

პაპისაგან განკვეთილი ჰუსი ვენცესლავის რჩევით სოფელში განმარტოვდა და ორი წელი წიგნების წერას მიუძღვნა. ზოგი წიგნი ლათინურად დაწერა, ზოგიც — ბოჰემიურად. როგორც სხვა რეფორმისტები, ჰუსიც აღიარებს ბედის წინასწარგანსაზღვრულობას, ამტკიცებს, რომ ეკლესიას არა აქვს უფლება ამქვეყნიურ სიმდიდრეზე და კალვინზე უფრო ადრე აცხადებს, რომ ეკლესია არაა პაპი, არც სამღვდელოება და არც მორწმუნეთა სრული კრებული, არამედ მადლით ცხებულ რჩეულთა მცირე ჯგუფია. რომის წინააღმდეგ კამათში ჰუსი სერიოზულად მიიჩნევს შუასაუკუნეობრივ ლეგენდას მდედრობითი სქესის პაპზე, იოანაზე, რომლის ნამდვილი სახე თითქოს მხოლოდ მშობიარობის შედეგად განცხადდა. ეს გამონაგონი ჰუსს იმის საბუთად მოჰყავს, რომ პაპიც შეიძლება სცდებოდეს, ხოლო როცა იგი ცდება, მაშინ "მისი ურჩობა ღვთის მორჩილებას ნიშნავს". ქრისტიანებისთვის კი ერთადერთი გზამკვლევი საღვთო წერილია.

უიკლიფისგან კი ჰუსის ნაზრევი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ პოლიტიკური მიზეზების გამო ბოჰემიელი მქადაგებელი თავის დოქტრინაში ნაციონალისტურ ელფერს ურევს. წარმოშობით სლავი ჰუსი გმობს ბოჰემიაში გერმანული ელემენტების შეღწევას და ნაციონალური ეკლესიის მოთხოვნას აცხადებს.

ამასობაში რომის ეკლესია ცდილობს გადაწყვიტოს პაპის არჩევნებთან დაკავშირებული გაჭიანურებული სკანდალი და 1414 წელს იწვევს კრებას ქალაქ კონსტანცაში. ამ კრებაზე ჰუსსაც იწვევენ. მეფე ვენცესლავი მას წასვლას ურჩევს და უკან დაბრუნების უსაფრთხოებას თავისი სიგელით უმტკიცებს. ეს რჩევა ბუნებრივი იყო: ვენცესლავს არ ჰყავდა მემკვიდრე, ამიტომაც მისი ტახტი იმპერატორ **სიგიზმუნდის** გვირგვინის ქვეშ გადადიოდა. ვენცესლავს არ სურდა ეკლესიასთან დაპირისპირება და იმედოვნებდა, რომ ასე მშვიდობას მოუტანდა თავის ქვეყანას.

ჰუსმა არ დაუჯერა თავის მიმდევრებს და მეფის რჩევა მიიღო. მოგზაურობაში მას რამდენიმე მეგობარი და მეფის სამი რაინდი გაჰყვა. კონსტანცაში იგი პატივით მიიღეს, როგორც საპატიო სტუმარს ეკადრება, და რამდენიმე დღეში საეპისკოპოსო კრებულის წინაშე გამოსვლაზე მიიწვიეს. იქ ჰუსისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა: მას ლაპარაკი არ აცალეს, ბრალი დასდეს ერესში და იქვე დააპატიმრეს.

საპყრობილეში ისე ექცეოდნენ, რომ ექიმებმა ორჯერ ძლივს იხსნეს სიკვდილისაგან. კაცი, რომელიც შვიდი თვის შემდეგ კვლავ წარდგა საეკლესიო კრების წინაშე, ძველი ჰუსის აჩრდილიც კი არ იყო. მაინც იპოვა ძალები და ყველაფერი არ დაუთმია. თქვა მხოლოდ, რომ კიდევ ერთხელ გადაამოწმებდა თავისი ნაწერების თანხმობას საღვთო წერილთან. კრება არ დაკმაყოფილდა ამგვარი პასუხით და ყველაფრის უარყოფა მოსთხოვა.

ჰუსი კვლავ საპყრობილეში დააბრუნეს და შიმშილითა და მუქარით კვლავ ამაოდ სცადეს მისი დამარცხება. იქვე, მეზობელ საკანში მისი მეგობარი იერონიმე იტანჯებოდა. 1415 წლის 5 ივლისს გამოცხადდა განაჩენი: ჰუსი აღიარებულ იქნა ერეტიკოსად და გადაეცა საერო სამართალს. ნაგვემ მქადაგებელი კოცონზე ავიდა და ფსალმუნთა გალობით აღესრულა.

ერთი წლის შემდეგ იერონიმეს ჯერი დადგა. წამების ქვეშ მან ჰუსი უარყო, მაგრამ სასამართლოს წინაშე კვლავ აღიარა თავისი მოძღვარი და თან ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ მოსამართლეებს წამით ელდა ეცათ. იერონიმეს მონანიება და სიცოცხლის გადარჩენა შესთავაზეს, მაგრამ მან კოცონი არჩია და ისიც გალობით გაეხვია ცეცხლის ალში.

### კოცონის შემდეგ

გერმანიის იმპერატორმა სიგიზმუნდმა პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ დარღვეული იქნა სამეფო სიგელით დადასტურებული უსაფრთხოების გარანტია. მაგრამ ეკლესიამ მშრალად მიუგო, რომ ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში არაფრად აგდებს საერო მთავართა ნებას. სიგიზმუნდიც დამორჩილდა: მიუხედავად იმპერატორის ტიტულისა, მას ზურგს არ უმაგრებდა ეროვნული სახელმწიფოს ინსტიტუციები.

ამით არ დამთავრებულა. ჰუსის მიმდევრებმა ვენცესლავის სახელით ბოჰემიაში ამბოხი წამოიწყეს. თვით ვენცესლავი გულის შეტევით გარდაიცვალა. ამბოხებულებმა სახელმწიფო გვირგვინი სიგიზმუნდს შესთავაზეს, ოღონდ მოსთხოვეს, რომ ჰუსის თეზისები ეცნო. პასუხი საწინააღმდეგო იყო: ერთი მხრივ, სიგიზმუნდმა ბოჰემიას თავისი ჯარი შეუსია, მეორე მხრივ კი, პაპმა **მარტინ V-მ**, მთელი ქვეყანა ეკლესიისგან განკვეთა. ამ დროიდან ჰუსის რელიგიური დოქტრინა ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხს გაუიგივდა. აქედან დაიწყო სისხლისმღვრელი **ჰუსიტური** ომები.

ნაციონალ-მორწმუნეებმა ორგზის დაამარცხეს იმპერიული შეიარაღებული ძალები და ჩვიდმეტი წლის განმავლობაში დაეპატრონენ ბოჰემიას. ამის შემდეგ კი სექტებად დაიყვნენ (ეს ამ პროცესებში სრულიად ბუნებრივი პროცესია) და ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა. ერთმანეთს პურიტანულ რადიკალიზმში ეჯიბრებოდნენ. ამ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მათ ბოჰემიაში რაღაც კომუნიზმის მაგვარი რეჟიმი დაამყარეს, რომელიც იმდროინდელი ტექნიკური მონაპოვრების დონეზე თითქმის სრულყოფილად ახორციელებდა ტოტალიტარიზმის ყველაზე ბნელ ოცნებებს. საერთოდ, თუ ისტორიიდან რაიმეს სწავლა მართლაც შეიძლება, ერთ-ერთი ასეთი ჭეშმარიტება ისაა, რომ სარწმუნოებისა და ნაციონალიზმის ყოველგვარი შეხამება უსაშინლეს ტოტალიტარულ კოშმარს იწვევს.

ჰუსიტებს ბოჰემიაში ამქვეყნად საღვთო სასუფევლის დამყარების პრეტენზია ჰქონდათ. ეს "სასუფეველი" მოქალაქეთა აბსოლუტურ თანასწორობაზე იყო დაფუძნებული და ეროვნულ ეკლესიაზე, რომლის ღვთისმსახურება შეძლებისდაგვარად იმეორებდა პირველი სამოციქულო თემის რიტუალს. ბოლოს და ბოლოს სიგიზმუნდის ჯარებმა ჰუსიტების კომუნა დაანგრიეს.

ჰუსის ისტორიის ეს პოსტსკრიპტუმი კი იმას ამტკიცებს, რომ რეფორმა შეუძლებელია ეროვნული სახელმწიფოს გარეშე, ეროვნული სახელმწიფოს აგება კი შეუძლებელია ნაციონალისტურ საფუძველზე.

***ნოდარ ლადარია,***
***ლეილა ბეზარაშვილი***

# კედელი!

ანა კორძაია-
სამადაშვილი

გაცხარებული ჭორაობის დროს ერთმა ბერლინელმა მეგობარმა თავისი თხრობის გმირის ამომწურავ დახასიათებად (ანუ მიწასთან გასასწორებლად) ამის თქმაც იკმარა: "წარმოიდგინე, როგორი იდიოტია: დილდილობით ტრეპტოვერ პარკში ძუნძულებს და თავის შვილს ჯესიკა დაარქვა" – ამიხსნა, რომ ის ამერიკანიზირებული გარეწარი იყო. დავინტერესდი, ამერიკელებს რაღას ერჩოდა (რუსები რომ ეჯავრებოდნენ, უკვე ვიცოდი). "შენ რა გგონია," მკითხა მან, "გერმანია რუსებმა და რუსებმა გაიყვეს?" ვერაფერს ვიტყვი. მართალია. ამ ჩემს მეგობარს მეტისმეტად კარგად ახსოვდა ბერლინის კედელი.

ბერლინის კედელი, რომლის დაცემასაც გერმანია და მასთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა 3 ოქტომბერს ზეიმობს, და ამ თარიღის პატივსაცემად პატარა საქართველოშიც კი ყოველწლიურად ფესტივალი "ღვინობისა" იმართება, ცივი ომისა და ბერლინის და გერმანიის დაყოფის სიმბოლო იყო.

უკვე 30-ზე მეტი წლის განმავლობაში ტურისტები ბერლინში ამ კედლის სანახავად ჩადიოდნენ. დღეს მათ იმედის გაცრუება ელით, რადგან ბერლინის კედელი როგორც ასეთი, აღარ არსებობს. ამჟამად ქალაქს რამდენიმე ნანგრევი და სამი საგუშაგო კოშკიღა შემორჩა, რაც, მე რომ მკითხოთ, სავსებით საკმარისია.

**1961-მდე**. აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინს შორის საზღვარი ღიაა. ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. ყოველდღიურად სექტორის საზღვარზე მილიონზე მეტი ადამიანი გადადის. მრავალი აღმოსავლეთბერლინელი დასავლეთ ბერლინში კინოში დადის ან საღამოობით იქაურ დისკოთეკაზე ცეკვავს, დასავლეთ ნაწილში მუშაობს და სანოვაგესაც იქ იძენს. ქალებმა პირველი თხელი, უნაკერო წინდა დასავლეთ ბერლინში იყიდეს. ეგზოტიკური ხილით პირის ჩატკბარუნება მხოლოდ დასავლეთში შეიძლება.

სწორედ ამ დროს აღმოსავლეთის ბლოკის კომუნისტური პარტიების ლიდერები მოსკოვში შეიყარნენ და გადაწყვიტეს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის, ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინს შორის საზღვარი ჩაეკეტათ.

**1961 წლის 12-13 აგვისტო**. დაახლოებით, შუაღამისას ჯარმა და პოლიციამ ქალაქის "გამაგრება" დაიწყეს. ასე დაიწყო კედლის მშენებლობა, რომელმაც შემდგომი 28 წლის განმავლობაში ქალაქი ორ ნაწილად გაჰყო.

ქუჩები, ტრამვაის ხაზები, მატარებლის ლიანდაგები – ყველაფერი გადაიტიხრა. მეტროს სადგურები დაიკეტა და ზოგი სასაფლაოც გაანადგურეს. ამიერიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს 1989 წლამდე დედაქალაქის დასავლეთში მოგზაურობა აკრძალული ჰქონდათ.

**1989 წლის 9 ნოემბერი**. გამოცხადდა, რომ ამიერიდან გდრ-ს მცხოვრებლებს თამამად შეეძლოთ დასავლეთში გადასვლა. იმ ღამეს აღმოსავლეთბერლინელები კედელს მიაწყდნენ და დასავლეთში გადავიდნენ. ასიათასობით ადამიანი ერთად ზეიმობდა დედაქალაქის გაერთიანებას. იმ დღეს ბერლინელებმა თავიანთი ქალაქის მეორე ნაწილის ათვისება დაიწყეს – აღმოსავლელებმა – დასავლეთისა, დასავლელებმა – აღმოსავლეთის...

**დღეს**. დღეს კედლის პოვნა უკვე საკმაოდ რთულია. ერთი-ორი ნანგრევი და მარკირებული გზები – აქ ოდესღაც კედელი იყო.

**კედლის ხელოვნება**. 1976 წელს კედლის ახალი ტიპის შენება დაიწყეს, ე.წ. "საზღვრის გალავანი 75"-ისა. ეს ბეტონის კედელი იყო, ძირითადად, თეთრად შეფერილი. ალაგ-ალაგ მისი სიმაღლე 3,60 მეტრს აღწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ კედლის მოხატვა სასტიკად იყო აკრძალული, ბერლინელმა მხატვრებმა მისი მსოფლიოში უდიდეს სახატავ სივრცედ გამოყენება განიზრახეს. ტერი ნორმა და კეიტ ჰარინგმა მისი მოხატვა 80-იან წლებში დაიწყეს – დასავლეთისკენ მიმართული მხრიდან. მათ მრავალმა სხვა ცნობილმა თუ უცნობმა ხელოვანმაც მიბაძა, ერთი ისაა, რომ ისინი სულ რამდენიმე დღითა თუ კვირით ახორციელებდნენ თავიანთ პროექტებს – შემდგომ მათ სხვა მხატვარი "გადახატავდა" ხოლმე, რადგან კედლის მხატვრობა არაფრით არ იყო დაცული.

კედლის დაცემის შემდეგ ამ უფუნქციოდ დარჩენილ ნაგებობას მოსახატად აღმოსავლეთის მხრიდანაც მიადგნენ. მაგრამ 1990-დან კედელს ანგრევდნენ, და მასთან ერთად ისტორიას ხელოვნების ნიმუშებიც ჩაბარდა.

რაღაც-რაღაცეები, ცხადია, მაინც დარჩა. მაგალითად, East Side Gallery – მიულენშტრასეზე კედელი მთელი მსოფლიოდან ჩასულმა 100-მა ხელოვანმა მოხატა; მაუერპარკში გრაფიტის ოსტატებმა იმუშავეს; ბერნაუს ქუჩაზე დარჩენილ კედლის ნანგრევს კი "ქუჩის მხატვრობას" არ აკარებენ – ჩანს, ძეგლად ითვლება.

ესღა დარჩა ბერლინის კედლისგან. მე რომ მკითხოთ, სავსებით საკმარისია.



"გერმანიის გაერთიანება", კარიკატურა.

უცნობი მხატვრის ნამუშევარი ბერლინის კედელს ამშვენებს.

კედელი დღეს.

# კეიტ მოსი პოეზიის, ოპიუმისა და სიმღერის შესახებ

ბოლო ხანს კეიტ მოსი ამტკიცებს, რომ შესანიშნავად მღერის. გუშინ კი ჟურნალი "ვოგი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ სუპერმოდელი შესანიშნავ ლექსებსაც წერს. უფრო ზუსტად, საუბარია "ბავშვთა სიმსივნის ფონდზე", რომელიც ხვალ ლონდონში მართავს აუქციონს და გასაყიდად გაიტანს - "ჰარი პოტერის" პირველი ხელმოწერილი გამოცემა, ჩარლზ დიკენსის პირველი გამოცემა და ვარსკვლავების მიერ სახელდახელოდ დაწერილი ლექსები.

კეიტ მოსთან ერთად პოეზიაში ბედი სტელა მაკარტნიმ, დენიელ დეი ლუისმა და სხვებმაც სცადეს. კეიტმა ლექსის თემად მოდა აარჩია და, დაახლოებით, ასეთი სტრიქონები შეთხზა: "მომეცით ნება, გითხრათ უცებ; ჩემი ცხოვრებისეული კრედოს შესახებ; შეიძლება, გიტაცებდეთ მოდა და სილამაზე, მაგრამ ის, რაც სინამდვილეში მნიშვნელოვანია, ამ ყველაფრის მიღმა ეძიეთ".

"ვოგი" წერს იმასაც, რომ მოსი ძალიან ბევრს ფიქრობს მსახიობობაზე. დადის სიმღერისა და დრამის გაკვეთილებზე და, სავარაუდოდ, დიდ ეკრანზეც მალე გამოჩნდება.

თუმცა, ამ მრავალფეროვანი გეგმების ფონზე, მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კეიტი, უპირველეს ყოვლისა, სუპერმოდელია. მართალია, ის სამი წელია პოდიუმზე არ გამოჩენილა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ მოსმა "ბარბერის" კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა და ყველას დაუმტკიცა, რომ, ხანგრძლივი შესვენების მიუხედავად, მაინც ერთ-ერთი საუკეთესოა.

"ოპიუმის" ახალი სახე.

ამ აზრს ეთანხმებიან ისინიც, ვინც კეიტ მოსის ბოლო რეკლამა ნახა. ივ სენ ლორანის "ოპიუმის" სარეკლამო კამპანია სწორედ მოსის შესანიშნავმა ფიგურამ გახადა ძალზედ შთამბეჭდავი და დახვეწილი. "ვოგის" კრიტიკოსები კი ასკვნიან, რომ ასე სექსუალურად მოდელი არც ერთ პლაკატზე არ გამოიყურება. მისი სილამაზე თვით ძველისძველ სუნამოს "ოპიუმსაც" სიახლის განცდას ანიჭებს.

თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთათვისაც "ოპიუმის" სარეკლამო კამპანია ერთადერთ ქალთან – სოფი დალთან ასოცირდება და ამ აზრს მათ ვერც კეიტ მოსის ეფექტური პოსტერი აცვლევინებს. წლების წინ ხომ სრულიად შიშველი სოფი დალის გამოჩენამ სარეკლამო ინდუსტრიაში დიდი სკანდალი გამოიწვია. ის ბრიტანეთში აკრძალეს კიდეც. დღეს კი "ოპიუმის" ეს რეკლამა, ლამის, კლასიკადაა აღიარებული და მას ისეთივე სიმწვავით განიხილავენ, როგორც გამოსვლის პირველ დღეს.

ივ სენ ლორანის ისტორიაში ნუდიზმთან დაკავშირებული კიდევ ერთი სკანდალი, დაახლოებით, ერთი წლის წინათაც აგორდა, როდესაც მამაკაცების სუნამოს M7-ს რეკლამა საბძოლო ხელოვნების გაშიშვლებულმა დიდოსტატმა სემუელ დე კუბერმა გაუკეთა. სამოდელო სახლის მაშინდელმა მთავარმა დირექტორმა ტომ ფორდმა თავისი ჩანაფიქრი ასე დაიცვა: "სუნამოს შიშველ სხეულზე, კანზე ვიპკურებთ ხოლმე, და რა საჭიროა მისი დამალვა?"

თუმცა, როგორც ჩანს, ახლა ივ სენ ლორანი "პორნო-ვარსკვლავის" ტაქტიკას ცვლის და კეიტ მოსს სხეულს შავი საცვლებით ნაწილობრივ უფარავს – ალბათ, ფანტაზიის გასაღვივებლად.

## სკანვორდი




TV პროგრამა
7 ოქტომბერი

რუსთავი - 2
07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი „პაწაწინა ონავრები“ 09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“ 10.20 დოკ. ფილმი „ბურმანთა მეგზური“ 11.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა. „ლოკომოტივი“-“არსენალი“ 17.30 სერიალი „პაწაწინა ონავრები“ 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.25 სერიალი „მაშველები“ 19.10 „საქართველო-უახლესი ისტორია“ 19.50 სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“ 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. „პორტო“-“რეალი“ 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

პირველი არხი
07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯიტუ“ 10.10 მხ. ფილმი „წუთისოფელი“ 11.50 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „კორდიების ოჯახი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი „ცაცოცხლებული ქვები“ 15.15 მხ. ფილმი „საბოტაჟი“ 16.50 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ 17.10 50-50 17.45 მულტსერიალი „ჯიტუ“ 18.00 „ვესტნიკი“ 18.25 ტელესერიალი „კორდიების ოჯახი“ 19.15 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 ტელეთამაში „იმღერე რამე“ 21.35 ავიაშოუ 21.45 „მათი შვილები“ 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი „ნუ გაალვიძებ მძინარე პოლიციელს“.

პირველი სტერეო
08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი „მოდი ვისიყვარულითან“ მთ. რ-ში კირილ მალოვი, ანდრეი ნოვიკოვი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 პროფათეული 22.35 პაპარაცი 23.00 სოლო 00.00 „ბრავო“ „დრაკულა-2: აღმასვლა“. მთ.რ-ში ჯეისონ სკოტ ლი, კრეიგ მეფერი. 02.00 „ღამურა“ „სრული დაბნელება“ მთ. რ-ში ლეონარდო დი კაპრიო, დევიდ ტოულისი. 03.00 პაუზის გარეშე.

მზე
09.00 „ღამის მზერა“ (გან) 10.00 სერიალი „მარია ემილია“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები“ 19.00 სერიალი „მარია ემილია“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 20.45 მხ. ფილმი „სრული 9 იარდი“ 22.45 საინფ. გამოშვება „ღამის მზერა“ 23.45 მხ. ფილმი „ომის ხელოვნება“.

მეორე არხი
19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.35 მხ. ფილმი „შანხაის სიურპრიზი“ 21.00 და არს მუსიკა 21.30 ჩვენი მისამართია 22.10 მხ. ფილმი „წუთისოფელი“.

კავკასია
12.00 მხ. ფილმი „გლადიატორი“ 15.00 მხ. ფილმი „ნილოსის მარგალიტი“ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მხ.ფილმი „მარვინის ოთახი“ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „დიდი დედოფლის სახელი“ 22.30 მხ. ფილმი „გაქცევა“.

იბერია
08.00 ანონსი 08.05 დილაობა 10.00 დოკ. ფილმი 11.00 სერიალი „საპაერო პოლიცია“ 12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი „კაპიტანი სინბინი და კოსმიური მაიმუნები“ 13.30, 18.00 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი „მერცხლების ბულვარი“ 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 დოკ. ფილმი 21.00 მხ. ფილმი „საპაერო პოლიცია“ 22.15, 23.00 დილაობა 23.45 მხ. ფილმი „ბრილიანტის მახვილი“.

მეცხრე არხი
08.00 პროგრამა „დილა“ 10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.10 მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ 10.35 სერიალი „პატარა აინშტაინები“ 11.05 სერიალი „ღამის ექიმები“ 12.00 „ცხელი ცხრიანი“ 12.40 მხ. ფილმი „საიდუმლო საზოგადოება“ 13.55, 15.20, 17.50, 20.20 მუსიკა 14.15 „ტელემეტრი“ (განმ.) 14.50 „ევროპის სტადიონებზე“ 15.30 მხ. სერიალი „ფორმულა-1“ 16.30 დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია“ 1-ლი ს. 17.00 მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ 18.00 მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ 18.30 სერიალი „პატარა აინშტაინები“ 19.00 სერიალი „ღამის ექიმები“ 20.00 „ევროპის სტადიონებზე“ 21.15 სერიალი „ფორმულა-1“ 22.05 მხ. ფილმი „ლავკაჩი და ჰიპოზა“ 23.30 კინოგადაცემა „ნუმერატორი“ 00.30 მხ. ფილმი „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“.

იმედი
07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.45 ქრონიკა 07.15, 09.10, 15.15, 17.45, 02.15 იმედის მელოდიები 07.45 „იმედის“ დილა 09.30 სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ 10.30 მერიდიანი 11.05 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ 13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ 14.05 სერიალი „გაიხსენო ყველაფერი“ 15.15 ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 17.30 მულამები 18.00, 19.00, 22.00, 01.05 ქრონიკა 18.05 სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ 19.20 სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ 20.15 არტ-ბულვარი 20.40 დროებითი ზღვარი 23.15 ფანების კინოკლუბი „ბადრაგი“ 01.00 ქრონიკა .

აჭარა
08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ 09.10, 12.10, 16.10 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ 09.20 მუსიკა 09.30 ისტორიული ფილმი „ლეგენდა ენეოსზე“ 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.20 ბოევიკი „სიჩქარე“ 14.00, 18.00 საინფორმაციო დაიჯესტი 14.05 ბოევიკი „სიჩქარე“ (გაგრძ.) 14.20 მუსიკა 14.30 კომედია „პრეზიდენტის მეგობარი ქალები“ 16.20 მულტფილმი „Земля до начала времени1 „ 17.25 „ქართული კინო“ 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ 19.15, 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.20, 02.40, 05.50 მუსიკა 20.30 თრილერი „რემბო-2“ 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.45 საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე 01.00 მხატვრული ფილმი „კლასიკოსი“ 03.40 მელოდრამა „საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა“ 1 ს.

VII არხი
09.10 მელოდია 09.20 „აჩიკუდა“ 09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.00 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 10.30 მობილურები 11.15 ავტომრეკინგი (განმეორებით) 12.15 ტელესერიალი - „გრაფინია დე მონსორო“ - მე-7 სერია 13.05 ფისნეი და მისი მეგობრები 13.25 აუდიო-ვიდეო-ტელე 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 18.55 მოკლედ... უცხოეთი 19.00 „აჩიკუდა“ 19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.45 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.20 „ნანა-ნა“ - კარაოკე 22.20 მობილურები 23.00 „კინოკლუბი „ - „აღვირახსნილი ვნება“. თრილერი. რეჟ: კრეიგ ბაგსლი. როლებში: მელისა ჰოან ჯარტი, დენიელ ბოლდუინი. 00.25 მელოდია 00.30 ტელესერიალი - „ვარსკვლავური კარიბჭე“- მე-15 სერია 01.20 აუდიო-ვიდეო-ტელე.

1 ОРТ
07.00 „Доброе утро“ 09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Спецназ“ 11.30 Худ.фильм „Огнем и мечом“, 2 с. 12.40 Дисней-клуб: „Чудеса на виражах“ 13.20 „Город женщин“ 14.00 Худ.фильм „Стэнли и Айрис“ 16.20, 01.50 „Фабрика звезд 3“ 16.40 „Ералаш“ 17.00 Сериал „Берег мечты“ 18.00 „Большая стирка“ 19.30 „Смехопанорама“ 20.50 „Убойная сила: Курс молодого бойца“ 22.00, 00.30 „Время“ 22.30 Худ.фильм „Спецназ“ 23.40 Док.фильм „Секты .в законе“ 00.50 „Крылья“ 01.20 „Большие гонки“. Н.Фоменко 02.10 Триллер „Пиранья“ 04.05 Комедия „Том Джонс“.

РТР
06.00 „Доброе утро, Россия!“ 09.45, 21.55 Сериал „Каменская 3“ 10.50 „Сам себе режиссер“ 11.50, 14.50, 17.25, 00.50 „Вести. Дежурная часть“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 „Вести“ 12.30, 15.10, 17.40, 21.30 „Местное время. Вести - Москва“ 12.50 Ток-шоу „Короткое замыкание“ 13.50, 22.55 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ 15.30 Ток-шоу „Что хочет женщина“ 16.30 Сериал „Леди Бомж“ 18.10 Сериал „Бандитский Петербург“ 19.10 Мелодрама „Ундина“ 20.00 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50 „Спокойной ночи, малыши!“ 00.00 „Вести+“ 00.20 „Без гапстука“. Дм. Хворостовский 01.05 „Народный артист“ 01.20 Детектив „Фуфель“ 03.25 „Кинескоп“ Кинофестиваль в Сан-Себастьяне 04.10 „Дорожный патруль“ 04.25 Сериал „Ангелы Чарли“.

НТВ
07.00 „Утро на НТВ“ 09.50 Сериал „Черный ворон“ 11.00 „Сегодня утром“ 11.25 „Кулинарный поединок: кумиры эстрады. Б.Краснов - М.Амаев 12.20 Ток-шоу „Страна советов“ 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20 „Сегодня“ 13.35 Детектив „Разорванный круг“ 15.35 „По праву“ 16.35 Ток-шоу „Принцип „домино“. „Если любишь - простишь?“ 18.30 Сериал „Кодекс чести“, 3 с. 19.35 „Чистосердечное признание“ 20.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 21.45 Сериал „Черный ворон“, 18 с. 23.00 „Страна и мир“ 23.35 „Красная стрела“ 23.50 Сериал „Клиент всегда мертв“, 3 с. 01.05 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 02.40 „Гордон“ 03.40 „Ленивая ночь“.

## პიკასო ბრაზილიაში

აღმოჩენების სერია გრძელდება - ბრაზილიის მთავრობა აცხადებს, რომ მათ ქვეყანაში ახალი პიკასო აღმოაჩინეს. ეს არის ქალის ჩანახატი. ბრაზილიის ისტორიული ძეგლების და ხელოვნების ნიმუშების განთავსებისა და იდენტიფიკაციის საბჭოს წარმომადგენელი მარჩელო დე სილვა შემდეგს აცხადებს: "ამ ხელოვნების ნიმუშის აღმოჩენა და მის ჩარჩოსთან შეხება, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ამაღლებული გრძნობა იყო. ეს ნამდვილი საგანძურია". ბრაზილიაში იმდენი დაუკვალიანებელი ხელოვნების ნიმუში დაგროვებიათ, რომ ბატონი დე სილვა ახალი მუზეუმის დაარსებას მოითხოვს.

## Offspring-ის ატომური შენაძენი

კალიფორნიელმა პანკებმა გადაწყვიტეს ბოლოს და ბოლოს შეცვალონ დროებითი რიტმ-სექცია მუდმივით. ასე რომ, Offspring-ს ახალი წევრი ჰყავს. ჯგუფის ახალი დრამერია ატომ ვილარდი, რომელმაც რონ უელტი შეცვალა. უელტმა ჯგუფი შარშან კოლეგებთან შემოქმედებითი უთანხმოების გამო დატოვა. Offspring-ის ახალი წევრი ბოლო დროს Rocket From The Crypt-თან ერთად გამოდიოდა.

## ოზი მიუზიკლს დგამს

ოზი ოსბორნმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა გააოგნოს თაყვანისმცემლები. ცნობილი როკ-ვარსკვლავი ამჯერად მიუზიკლის ავტორად მოევლინება თაყვანისმცემლებს. როგორც თავად ოსბორნი ამბობს, გრიგორი რასპუტინისადმი მიძღვნილი ნაწარმოების მასალა თითქმის უკვე მზადაა. პარტიტურას იმ სტუდიაში ჩაწერს, რომელიც ოსბორნების ოჯახის მახლობლად, სამხრეთ კალიფორნიაში შენდება. სპექტაკლი კი სავარაუდოდ, ბროდვეის რომელიმე თეატრში დაიდგმება.

ოზი ჟანრს იცვლის

# პიერ რიშარის მემუარები

პიერ რიშარმა წიგნი დაწერა

საფრანგეთში ცნობილი მსახიობის პიერ რიშარის მოგონებების წიგნი – "როგორც თევზი წყლის გარეშე" გამოვიდა. წიგნი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს "მაღალი ქერათმიანის" უამრავ თავყვანისმცემელს შორის.

მემუარებში პოპულარული მსახიობი მოგვითხრობს საკუთარი სამსახიობო კარიერის დასაწყისზე – 1960-იანი წლების კაბარე მონპარნასსა და სენ-მიშელის ბულვარზე. მაშინ რიშარი მსახიობ ვიქტორ ლანთან ერთად იუმორისტული დიალოგებით ართობდა აუდიტორიას. დუეტი დღეში საშუალოდ ხუთ წარმოდგენას დგამდა. რიშარის თეატრალური კარიერა კი მოგვიანებით, მესამეხარისხოვანი როლით დაიწყო.

მსახიობი თავის წიგნში დაწვრილებით იგონებს ცნობილი ფილმების გადაღებისას მომხდარ საინტერესო ისტორიებს. აი, მაგალითად ერთ-ერთი მათგანი: ფილმის "მაღალი, ქერათმიანი შავ ფეხსაცმელში" გადაღებისას გაშიშვლებულმა მსახიობმა მირეი დარკმა მოსთხოვა პარტნიორს მხოლოდ თვალებში ეცქირა მისთვის. "თითქმის გამომივიდა", - იხსენებს პიერ რიშარი.

რიშარი ცხოვრებაში ძალიან წააგავს თავის გმირებს. ხშირი მოგზაურობის წყალობით მსახიობის ცხოვრება სავსეა ათასგვარი თავგადასავლებით. ტაილანდში მას პიენიც კი შეარქვეს, რაც ნიშნავს ადამიანს, რომელსაც ყველაფერი შეიძლება შეემთხვეს. ახალგაზრდობაში რიშარი გმირის როლზე ოცნებობდა, თუმცა რეჟისორებმა დაასკვნეს, რომ საამისოდ მსახიობი ნაკლებად სიმპათიურია.

კინოში პიერ რიშარის გადაღება 1967 წლიდან დაიწყეს. მისი ყველაზე ცნობილი როლებია ფილმებიდან: "სათამაშო", "გაქცეულნი", "მაღალი, ქერათმიანი შავ ფეხსაცმელში"...

ფაუერლინ-ქლა

სრულიად ახალი სიტყვა გუნებრივი საკვები დანამატების ნარმოებაში!

მოდელთა ცნობილმა ინტერნეტ-შეკვეთების კომპანია "ეპიკურეამ" მიიღებლიანი ბუნებრივი კვლევის საფუძველზე გამაფრთხილებელი ტექსტიანად გამოაქვეყნა შეშლა დიეტური დანამატი "ფაუერლინ-ქლა", რომელიც სრულიად ბუნებრივი და ეფექტური ბრალდებულია და მას უნიკალური თვისებები აქვს: ამცირებს ზურგის, ბრინჯაოსა და სხვა სიმსუქნეში წარმოქმნილის გამოთავისუფლებას, მაქსიმალურად ამცირებს ინსულინ სისტემას, ამცირებს "ეპიდ" ტოქსიკურობის დონეს, ხელს უშლის ათრომბოციტობის და ეფექტურად ეფექტურია დიეტიკების გამოთავისუფლებას, შეიცავს დიასტოლ სანაცვლო ეფექტს შეტრეტს, ეხმარება ტოქსიკურ ეფექტურად ეფექტურს, არ იყენებს ეხმარ ეფექტს ზრდის სიშელე